

შპს „აღფა“ (ს/ნ 401943929) ინდივიდუალური ფინანსური და
მმართველობის ანგარიშგება,
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა
2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

სარჩევი

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა	2
მმართველობის ანგარიშგება	5
ფინანსური ანგარიშგება	
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	8
მოგების ან/და ზარალის და სხვა სრული შემოსულობების ანგარიშგება	9
ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება	10
კაპიტალის მოძრაობის ანგარიში	11
ფინანსურ მდგომარეობასთან არსებული განმარტებითი შენიშვნები	12

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა
შპს ალფას (ს/ნ 401943929) 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
დასრულებული საანგარიშო პერიოდის ინდივიდუალური ფინანსური და მმართველობის
ანგარიშების შედეგების შესახებ

აუდიტორის მოსაზრება ფინანსურ ანგარიშგებაზე

ჩვენ ჩავატარეთ შპს ალფას (401943929) (შემდგომში „კომპანია“) ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც მოიცავს 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით დასრულებული საანგარიშგებო პერიოდის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას, აღნიშნული თარიღით დასრულებული წლის მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებას, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებას, ფულადი ნაკადების მოძრაობის შესახებ ანგარიშგებას და ფინანსურ ანგარიშგებაზე დართულ განმარტებით შენიშვნებს, მათ შორის მნიშვნელოვანი საადრიცხვო პოლიტიკების მოკლე მიმოხილვას.

ჩვენი აზრით თანდართული ფინანსური ანგარიშგება უტყუარად და სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას მსს ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად და სათანადოდ მომზადდა ბუღალტრული ადრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად;

მოსაზრების საფუძველი

ჩვენ ჩავატარეთ აუდიტი აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობები დეტალურად აღწერილია ჩვენი ანგარიშის - „აუდიტორთა პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“ ნაწილში. ჩვენ დამოუკიდებელი ვართ კომპანიისგან ბუღალტერთა ეთიკის სტანდარტების საერთაშორისო საბჭოს „პროფესიონალ ბუღალტერთა ეთიკის კოდექსის“ (IESBA კოდექსი) შესაბამისად და შევასრულეთ ჩვენი სხვა ეთიკური ვალდებულებები, მოცემული მოთხოვნების თანახმად. დარწმუნებული ვართ, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

ჩვენი ანგარიშის გამოყენება

წინამდებარე ანგარიში მასში მოცემული მოსაზრების ჩათვლით, მომზადდა მხოლოდ კომპანიის ხელმძღვანელობისათვის და არა სხვა მიზნებისთვის. აღნიშნული მოსაზრების გამოთქმით ჩვენ არ ვიღებთ პასუხისმგებლობას რომელიმე სხვა მიზნისთვის ან რომელიმე სხვა პირის წინაშე, ვისაც აღნიშნული ანგარიში შეიძლება წარედგინოს, ან ვის ხელშიც ის შეიძლება აღმოჩნდეს გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც აღნიშნული ცალსახად, წინასწარ იყო შეთანხმებული წერილობითი ფორმით.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა ფინანსურ და მმართველობის ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური და მმართველობის ანგარიშგებების მომზადებასა და უტყუარად და სამართლიანად წარდგენაზე მსს ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, ასევე ისეთ შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება შეაფასოს კომპანიის ფუნქციონირებადობის უნარი და აუცილებლობის შემთხვევაში გაასაჯაროვოს ინფორმაცია, რომელიც დაკავშირებულია საწარმოს ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არ

აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის ანგარიში, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ყველა არსებით უზუსტობას, რომლებიც შეიძლება არსებობდნენ.

უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაეყრდნობიან მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებას.

ასს-ების შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. გარდა ამისა, ჩვენ:

ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ, ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას;

ჩვენ შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერისი შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავეგემოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე;

ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებულ საადრიცხვო პოლიტიკის მიზანშე-წონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრულ საადრიცხვო შეფასებების დასაბუ-თებულობასა და შესაბამისი ინფორმაციის გასაჯაროებას;

დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა კომპანიის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის ანგარიშში ყურადღების გამახვილება ფინანსურ ანგარიშგებაში შესაბამის ინფორმაციის გასაჯაროებას, ან, თუ ამგვარი გასაჯაროებული ინფორმაცია ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის ანგარიშის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება კომპანია უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო;

ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, ინფორმაციის გასაჯაროებას და ასევე, ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს, სხვა საკითხებთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

ანგარიში სხვა საკანონმდებლო და მარეგულირებელ მოთხოვნებზე

ჩვენი ვალდებულებაა ჩატარებული პროცედურების საფუძველზე გამოვთქვათ მოსაზრება 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით დასრულებული საანგარიშგებო პერიოდის მმართველობის ანგარიშგების „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, ამავე მუხლის მე-3, მე-6 და მე-10 პუნქტების მოთხოვნებთან შესაბამისობაზე და არსებითი უზუსტობების შემთხვევაში მიუთითოთ მათ არსზე, ასევე განვაცხადოთ მმართველობის ანგარიშგებაში კანონით განსაზღვრული რაიმე ინფორმაციის წარმოუდგენლობის შესახებ.

მოსაზრება მმართველობის ანგარიშგებაზე

ჩვენი აზრით კომპანიის 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით დასრულებული საანგარიშგებო პერიოდის მმართველობის ანგარიშგების კანონით განსაზღვრული ნაწილები შეესაბამება კანონის მოთხოვნებს ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით.

კონსტანტინე ჭანტურიძე

რეგისტრირებული აუდიტორი,

ინდ. რეგ. ნომ. № SARAS-A-768413

შპს ბიზნეს კონსალტინგის (სკ 402191953, აუდიტორული ფირმის სარეგ. ნომ: SARAS-F-604338) სახელით

29 სექტემბერი 2025 წ.

**მმართველობის ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული პერიოდისათვის
შპს ალფა ს/კ 401943929**

საქმიანობის განვითარება, შედეგებისა და მდგომარეობის აღწერა, საზოგადოების განვითარების გეგმა

კომპანიის საქმიანობის ძირითადი მიმართულებებია საკვები პროდუქტების: ბურღულეულის, მაკარონის, სუფრის მარილის, საკვები ცხიმების, შაქრის იმპორტი, მსხვილი საბითუმო რეალიზაცია, დისტრიბუცია.

კომპანიის მიერ დაკავებული ბაზრის წილი ძირითად მიმართულებებზე 20-25%-ის ფარგლებშია.

კომპანიის საქმიანობის ძირითადი მარეგულირებელი დოკუმენტებია:

- საქართველოს საგადასახადო კოდექსი;
- საბაჟო კოდექსი;
- საქართველოს კანონი „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“;
- საქართველოს კანონი „სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის კოდექსი“;
- საქართველოს კანონი „პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი“;
- საქართველოს კანონი „სურსათად/ცხოველის საკვებად განკუთვნილი გენეტიკურად მოდიფიცირებული ორგანიზმებისა და მათგან წარმოებული გენმოდიფიცირებული პროდუქტის ეტიკეტირების შესახებ“;
- საქართველოს მთავრობის 2018 წლის 5 ივნისის დადგენილება №317-„მოთხოვნები სურსათთან შეხებისათვის განკუთვნილი მასალებისა და საგნების მიმართ“;
- საქართველოს მთავრობის 2016 წლის 1 ივლისის დადგენილება №301-„ტექნიკური რეგლამენტის - მომხმარებლისათვის სურსათის შესახებ ინფორმაციის მიწოდების თაობაზე დამტკიცების შესახებ“;
- სხვა ნორმატიული აქტები.

კომპანია საქონელს საბითუმოდ (მათ შორის წვრილი საბითუმო პარტიებით) ყიდის საქართველოს მთელ ტერიტორიაზე, აგრეთვე ახორციელებს ექსპორტს მცირე რაოდენობით.

ინფორმაცია კომპანიის ობიექტების შესახებ: კომპანიის იურიდიული მისამართია თბილისი, თევდორე მღვდლის #53. შენობები ხელახლა გადაინომრა და ახალი ნუმერაციით შენობას მიენიჭა N55. აღნიშნულ მისამართზე მდებარეობს კომპანიის ძირითადი საწყობი და ადმინისტრაციული ოფისი. დაქირავებულ ფართებში დასაწყობებულია საქონელი თბილისში, ბათუმსა და ქუთაისში.

კვლევების სფეროში საანგარიშგებო პერიოდში რაიმე სამუშაო არ ჩატარებულა.

საქმიანობის ძირითადი მაჩვენებლები
ფინანსური მაჩვენებლები

კომპანიის საქმიანობის ბოლო წლების ძირითადი ფინანსური მაჩვენებლები წარმოდგენილია ქვემოთ მოყვანილ ცხრილში

	31/12/24	31/12/23	ზრდა / კლება	
მიმდინარე აქტივები	20,281,185	19,111,898	6%	↑
გრძელვადიანი აქტივები	3,073,518	1,464,099	110%	↑
სულ აქტივები	23,354,703	20,575,997	14%	↑
მიმდინარე ვალდებულებები	1,530,613	1,272,597	20%	↑
გრძელვადიანი ვალდებულებები	4,086,364	3,683,124	11%	↑
სულ ვალდებულებები	5,616,978	4,955,721	13%	↑
საწესდებო კაპიტალი				
გაუნაწილებელი მოგება	17,737,725	15,620,275	14%	↑
სულ კაპიტალი	17,737,725	15,620,275	14%	↑
შემოსავალი რელიზაციიდან	53,084,947	48,683,247	9%	↑
რპთ	-45,344,377	-42,210,665	7%	↑
საერთო მოგება	7,740,569	6,472,582	20%	↑

საანგარიშო წელს შემოსავლები გასულ წელთან შედარებით გაუმჯობესებულია როგორც თანხობრივად, ასევე რაოდენობრივად. გაზრდილია საერთო (საოპერაციო) მოგებაც, გაზრდილია ადმინ და ზედნაღები ხარჯები შრომის ანაზღაურების ხარჯზე.

ფინანსური მდგრადობის ძირითადი მაჩვენებლები

მაჩვენებელი	მნიშვნელობა		ცვლილება
	წინა წელი	მიმდინარე წელი	
ავტონომიურობის კოეფიციენტი	0.76	0.77	0.01
ფინანსური ლევერიჯის კოეფიციენტი	0.32	0.31	-0.01
საკუთარი საბრუნავი სახსრებით უზრუნველყოფის კოეფიციენტი	0.74	0.72	-0.02
მუდმივი აქტივების ინდექსი	0.09	0.17	0.07
ინვესტიციის დაფარვის კოეფიციენტი	0.94	0.94	0.00
საკუთარი კაპიტალის მანევრირების კოეფიციენტი	0.91	0.80	-0.11
ქონების მობილობის კოეფიციენტი	0.93	0.87	-0.06
საბრუნავი საშუალებების მობილობის კოეფიციენტი	0.01	0.01	0.00
მარაგის უზრუნველყოფის კოეფიციენტი	2.85	2.86	0.01
მოკლევადიანი დავალიანების კოეფიციენტი	0.26	0.27	0.02

ლიკვიდობის კოეფიციენტები

მაჩვენებელი	მნიშვნელობა	ცვლილება
-------------	-------------	----------

	წინა წელი	მიმდინარე წელი	
მიმდინარე (საერთო) ლიკვიდობის კოეფიციენტი	15.02	15.26	(0.24)
სწრაფი (შუალედური) ლიკვიდობის კოეფიციენტი	11.04	9.85	1.20
აბსოლუტური ლიკვიდობის კოეფიციენტი	0.15	0.15	0.00

ძირითადი რისკები და გაურკვევლობები

საბაზრო რისკი

საბაზრო რისკი არის იმის რისკი, რომ კომპანიის მოგება ან კაპიტალი, ან მისი უნარი, მიაღწიოს ბიზნეს ამოცანებს, გაუარესდება საბაზრო განაკვეთების, ფასების ცვლილების ან მერყეობის შედეგად. საბაზრო რისკი მოიცავს მარჟის განაკვეთის რისკს, სავალუტო რისკს და ფასდადებასთან დაკავშირებულ სხვა რისკებს, რომელსაც ექვემდებარება კომპანია. კომპანიის ხელმძღვანელობა აწარმოებს კომპანიის მიმდინარე ფინანსური მდგომარეობის მონიტორინგს, აფასებს მის დამოკიდებულებას მარჟის ცვალებადობის მიმართ და მის ზეგავლენას კომპანიის მომგებიანობაზე.

სავალუტო რისკი

კომპანია ექვემდებარება ძირითადი უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსების რყევის გავლენას მის ფინანსურ მდგომარეობასა და ფულად ნაკადებზე. ხელმძღვანელობა სავალუტო რისკს აკონტროლებს ლარის გაუფასურების და სხვა მაკროეკონომიკური ინდიკატორების მონიტორინგით, რაც მას აძლევს საშუალებას მინიმუმამდე დაიყვანოს ეროვნულ ვალუტასთან მიმართებაში სავალუტო კურსის ცვალებადობის შედეგად განცდილი დანაკარგები.

საფასო რისკი

საფასო რისკი არის საბაზრო ფასების ცვალებადობის შედეგად შემოსავლების მერყეობის რისკი, მიუხედავად იმისა, აღნიშნული ცვალებადობა გამოიწვევლია ინდივიდუალური ფაქტორებით, თუ ბაზარზე არსებული ფაქტორებით. კომპანიაზე გავლენას ახდენს მისი საქონლის საფასო რისკი, რომელიც ექვემდებარება ძირითად და სპეციფიურ საბაზრო რყევებს. საფასო რისკს პოტენციური დანაკარგების პერიოდული შეფასებით მართავს. აღნიშნული დანაკარგები შესაძლებელია გამოიწვიოს საბაზრო პირობების გაუარესებამ და დანაკარგების შესაჩერებელი შესაბამისი ღონისძიებების, მარჟებისა შენარჩუნებამ.

საოპერაციო რისკი

საოპერაციო რისკი წარმოადგენს რისკს, რომელიც წარმოიშვება სისტემის მოშლის, ადამიანური შეცდომის, თაღლითობისა და გარე მოვლენების შედეგად. კონტროლის არარსებობის შემთხვევაში საოპერაციო რისკმა შეიძლება გამოიწვიოს რეპუტაციის გაუარესება, იურიდიული სირთულეები, ფინანსური ზარალი და საქმიანობის შეჩერება. კომპანია ვერ შეამცირებს ყველა საოპერაციო რისკს, მაგრამ უნდა ეცადოს ამ რისკების მართვას კონტროლის გარემოსა და პოტენციური რისკების მონიტორინგისა და მათზე ადეკვატური რეაგირების საშუალებით. კონტროლი გულისხმობს მოვალეობების გადანაწილებას, წვდომის, ავტორიზაციისა და შედარების პროცედურებს, შიდა და გარე აუდიტს, პერსონალის განათლებასა და პროცესების შეფასებას.

ღირექტორი:

ი. ციხისტავი

29/9/2025

შპს ალფა (სკ 401943929)

ფინანსური მდგომარეობის ანგარიში 2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

ვალუტა: ლარი

დასახელება	31/12/24	31/12/23	შენიშვნა
ფული და ფულის ექვივალენტები	222,888	190,711	ა1
მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	13,026,944	11,851,663	ა2
სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	80,398	92,543	ა3
სასაქონლო მატერიალური მარაგი	5,127,402	4,966,004	ა4
გადახდილი ავანსები	1,823,555	2,010,977	ა5
სულ მიმდინარე აქტივები	20,281,185	19,111,898	
ძირითადი საშუალებები	2,408,137	630,247	ა6
აქტივის გამოყენების უფლება	659,975	824,969	ა7
არამატერიალური აქტივები	5,406	8,884	ა8
სულ გრძელვადიანი აქტივები	3,073,518	1,464,099	
სულ აქტივები	23,354,703	20,575,997	
მიმდინარე ვალდებულებები მოწ. და მომს.	1,123,247	1,101,010	ა9
საგადასახადო ვალდებულებები	300,689	73,032	ა10
გადასახდელი ხელფასები	105,978		ა11
სხვა მიმდინარე ვალდებულებები	700	98,555	ა12
სულ მიმდინარე ვალდებულებები	1,530,613	1,272,597	
გრძელვადიანი საიჯარო ვალდებულებები	584,707	769,561	ა7
გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები	3,501,658	2,913,563	ა13
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები	4,086,364	3,683,124	
სულ ვალდებულებები	5,616,978	4,955,721	
საწესდებო კაპიტალი			
გაუნაწილებელი მოგება	17,737,725	15,620,275	ა14
სულ კაპიტალი	17,737,725	15,620,275	
სულ ვალდებულებები და კაპიტალი	23,354,703	20,575,996	

დირექტორი:

ირაკლი ციხისთავი

შპს ალფა (სკ 401943929)

მოგების ან/და ზარალის და სხვა სრული შემოსულობების ანგარიში 2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

ვალუტა: ლარი

დასახელება	2024 წ	2023 წ	შენიშვნა
შემოსავალი საქონლის რეალიზიციიდან	53,084,947	48,683,247	ბ1.1
რეალიზებული საქონლის თვითღირებულება	-45,344,377	-42,210,665	ბ2.1
საერთო მოგება	7,740,569	6,472,582	
სხვა საოპერაციო შემოსავლები	47,940	51,313	ბ1.2
მიწოდების ხარჯები	-523,454	-449,263	ბ2.2
ადმინისტრაციული და ზედნადები ხარჯები	-4,265,883	-3,596,093	ბ2.3
საოპერაციო მოგება	2,999,171	2,478,539	
სხვა არასაოპერაციო შემოსავლები	45,407	13,757	ბ1.3
სხვა არასაოპერაციო ხარჯები	-223,103	-88,244	ბ2.4
სხვა სრული შემოსულობები და ხარჯები	-74,625	-77,608	ბ2.5
მოგება დაბეგვრამდე	2,746,850	2,326,445	
მოგების გადასახადი			
წმინდა მოგება	2,746,850	2,326,445	

დირექტორი:

ირაკლი ციხისტავი

შპს ალფა (სკ 401943929)
ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიში 2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული
წლისათვის

ვალუტა: ლარი

საოპერაციო საქმიანობა	31/12/24	31/12/23
მომხმარებლებისაგან მიღებული ფულადი სახსრები	62,811,526	57,539,738
მომწოდებლებზე, თანამშრომლებზე გადახდილი ფულადი სახსრები და გადასახადები	-60,246,689	-56,100,230
საოპერაციო საქმიანობა სულ	2,564,838	1,439,509
საინვესტიციო საქმიანობა		
კაპიტალური დანახარჯები	-2,357,700	-396,325
საინვესტიციო საქმიანობა სულ	-2,357,700	-396,325
საფინანსო საქმიანობა		
გაცემული დივიდენდები	-629,400	-1,326,300
მიღებული/დაბრუნებული სესხები	505,908	-856,010
შენატანები კაპიტალში		
საფინანსო საქმიანობა	-123,492	-2,182,310
ფულადი სახსრების შემოსვლა/გასვლა	83,646	-1,139,126
ვალუტის კურსის ცვლილების გავლენა ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე	-51,469	-52,320
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	190,711	1,382,157
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	222,888	190,711

დირექტორი:

ირაკლი ციხისთავი

შპს ალფა (სკ 401943929)

კაპიტალის მოძრაობის ანგარიში 2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

ვალუტა: ლარი

	საწესდებო კაპიტალი	მოგება ან/და ზარალი	სულ კაპიტალი
	ბალანსი 31.12.2022 მდგომარეობით		
		14,689,936	14,689,936
2023	წმინდა მოგება პერიოდში	2,326,444	
	გადახდილი დივიდენდი	-1,396,105	
	საწესდებო კაპიტალის ზრდა/კლება		
	სააღრიცხვო შეფასების ცვლილება		
	ბალანსი 31.12.2023 მდგომარეობით		
		15,620,275	15,620,275
2024	წმინდა მოგება პერიოდში	2,746,850	
	გადახდილი დივიდენდი	-629,400	
	საწესდებო კაპიტალის ზრდა/კლება		
	სააღრიცხვო შეფასების ცვლილება		
	ბალანსი 31.12.2024 მდგომარეობით		
		17,737,725	17,737,725

დირექტორი:

ირაკლი ციხისთავი

**შპს „ალფა“ ფინანსურ ანგარიშგებასთან არსებული შენიშვნები 2024 წლის 31 დეკემბრით
დასრულებული წლისათვის**

1. ზოგადი ინფორმაცია

საფირმო სახელწოდება: შპს ალფა
სამართლებრივი ფორმა: შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
საიდენტიფიკაციო ნომერი: 401943929
რეგისტრაციის ნომ, თარ: 10/02/2010
მარეგისტრირებული ორგანო: სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო
იურიდიული მისამართი: საქართველო, თბილისი, დიდუბის რაიონი, თევდორე მღვდლის ქუჩა, N53

ხელმძღვ./წარმომადგ: დირექტორი ირაკლი ციხისთავი, 20001018110

პარტნიორები:

კობა კურდელაშვილი, 01005002328 100 ცალი, 100% წილი

ცვლილებები:

საანგარიშო პერიოდში სარეგისტრაციო მონაცემებში ცვლილებები არ განხორციელებულა.

კომპანიის საქმიანობის ძირითადი მიმართულებებია საკვები პროდუქტების: ბურღულეულის, მაკარონის, სუფრის მარილის, საკვები ცხიმების, შაქრის იმპორტი, მსხვილი საბითუმო რეალიზაცია, დისტრიბუცია საქართველოს ტერიტორიაზე. იშვიათ შემთხვევებში ადგილი აქვს საქონლის ექსპორტს.

კომპანიის მიერ დაკავებული ბაზრის წილი ძირითად მიმართულებებზე 20-25%-ის ფარგლებშია.

2. მომზადების საფუძველი

მოცემული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების კომიტეტის (ბასკ) მიერ გამოშვებული მსს ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად. ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია კომპანიის საქმიანობის უწყვეტობის საფუძველზე იმ დაშვებით, რომ კომპანია განაგრძობს ფუნქციონირებას პროგნოზირებად მომავალში. კომპანიის ხელმძღვანელობასა და დამფუძნებლებს სურვილი აქვთ განავითარონ კომპანიის საქმიანობა საქართველოში. ხელმძღვანელობას სჯერა, რომ უწყვეტობის პრინციპის გამოყენება შესაფერისია კომპანიისთვის. კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს კალენდარულ წელს. ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე. ანგარიშგების სტანდარტის მიხედვით მომზადება კომპანიის ხელმძღვანელობისაგან ითხოვს გარკვეული შეფასებების გაკეთებას, რაც გავლენას იქონიებს აქტივებისა და ვალდებულებების საანგარიშო ღირებულებაზე ანგარიშგების შედგენის თარიღისათვის, ასევე იმოქმედებს შემოსავლისა და ხარჯების ოდენობაზე საანგარიშო პერიოდის განმავლობაში. ფაქტობრივი შედეგები შესაძლოა განსხვავდებოდეს მიმდინარე შეფასებისაგან. შეფასებები პერიოდულად გადაიხედება. კორექტირებები, რამაც სააღრიცხვო შეფასებების ცვლილებები გამოიწვია, მიეკუთვნება იმ პერიოდის ფინანსურ შედეგებს, როცა ეს ცვლილებები მოხდა. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებების შესახებ განმარტებები მოცემულია მე-3 შენიშვნაში. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკა მოცემულია მე-4 შენიშვნაში.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები

კომპანია ახდენს გარკვეული სააღრიცხვო შეფასებებისა და გადაწყვეტილებების შემუშავებას მომავალი პერიოდებისათვის. ისინი შემუშავებულია გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, რომელიც ითვალისწინებს კომპანიის ფუნქციონირებას განსაზღვრული მომავლის პირობებში. ქვემოთ მოყვანილია შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მომდევნო ფინანსურ წელში აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებში არსებითი ცვლილებების რისკის მატარებელია:

ა) ძირითადი საშუალებების და საინვესტიციო ქონების სასარგებლო მომსახურების ვადები - ძირითადი საშუალებების და საინვესტიციო ქონების ცვეთის დარიცხვა ხდება მათი სასარგებლო მომსახურების ვადის მიხედვით. სასარგებლო მომსახურების ვადების განსაზღვრა დამოკიდებულია ხელმძღვანელობის შეფასებებზე. სასარგებლო მომსახურების ვადები პერიოდულად გადაიხედება. შეფასების ცვლილებამ შესაძლოა არსებითი ცვლილება გამოიწვიოს ცალკეულ პერიოდებში საბალანსო ღირებულებასა და სრული შემოსავლის ანგარიშგებაში ასახულ თანხებში.

ბ) ფინანსური აქტივების გაუფასურება - კომპანია ხელმძღვანელობს „მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგების“ (ECL) მოდელით. ეს საჭიროებს მსჯელობას იმის შესახებ თუ როგორ იმოქმედებს ეკონომიკური ფაქტორები ECL მოდელზე, რაც განისაზღვრება შეწონილი ალბათობის საფუძველზე. ზარალის ანარიცხის განსაზღვრა ხდება შემდეგნაირად: ა) 12-თვიანი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი - მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი, რომელიც გამოწვეულია იმ დეფოლტის მოვლენებისგან ფინანსური ინსტრუმენტებზე, რომელთა მოხდენაც შესაძლებელია შემდგომი 12 თვის განმავლობაში. ბ) არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი - მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი, რომელიც გამოწვეულია ყველა შესაძლო დეფოლტის მოვლენისგან, რომელთა მოხდენაც შესაძლებელია ფინანსური ინსტრუმენტის მოსალოდნელი არსებობის მანძილზე. არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასების მოდელი მოქმედებს მაშინ, როდესაც ფინანსური აქტივის საკრედიტო რისკი ანგარიშგების პერიოდისათვის მნიშვნელოვნად გაზრდილია მის თავდაპირველ აღიარებასთან შედარებით, ხოლო თუ არ არის გაზრდილი 12-თვიანი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი. კომპანიას შეუძლია განსაზღვროს რომ ფინანსური აქტივის საკრედიტო რისკი არ გაზრდილა მნიშვნელოვნად, იმ შემთხვევაში თუ აქტივს აქვს დაბალი საკრედიტო რისკი საანგარიშგებო წლისთვის. ზემოაღნიშნული მიდგომა აქვს გამოყენებული კომპანიას გაცემული სესხების გაუფასურების ანალიზისას. არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის მოქმედება ყოველთვის ვრცელდება სავაჭრო და სხვა მოთხოვნებზე. დეტალები სავაჭრო და სხვა მოთხოვნების და გაცემული სესხების გაუფასურების შესახებ იხილეთ მე-4 და მე-5 შენიშვნაში. მომავალ პერიოდთან დაკავშირებული განუსაზღვრელობებიდან გამომდინარე ფაქტობრივი შედეგი შესაძლებელია მნიშვნელოვნად განსხვავდებოდეს იმ შედეგისგან, რომელიც აღრიცხულია ფინანსურ ანგარიშგებაში.

გ) იჯარის ვადა, ზღვრული სასესხო განაკვეთი და საიჯარო გადასახდელები - კომპანია იყენებს მსჯელობას იჯარის ვადის დადგენისას. განიხილავს ყველა სათანადო ფაქტს და გარემოებას, რომელიც მოიჯარეს ეკონომიკურ სტიმულს უქმნის, გამოიყენოს იჯარის გაგრძელების უფლება, ან არ გამოიყენოს იჯარის ვადამდე შეწყვეტის უფლება. კომპანია ხელახლა აფასებს, საკმარისად სარწმუნოა თუ არა, რომ ის გამოიყენებს იჯარის გაგრძელების არჩევანის უფლებას, ან არ გამოიყენებს იჯარის ვადამდე შეწყვეტის უფლებას, იმ შემთხვევაში, თუ მოხდება რაიმე მნიშვნელოვანი მოვლენა, ან მნიშვნელოვნად შეიცვლება გარემოებები, რომლებიც: ა) მოიჯარის კონტროლს ექვემდებარება; და ბ) გავლენას ახდენს იმის შეფასებაზე, საკმარისად სარწმუნოა თუ არა, რომ მოიჯარე გამოიყენებს უფლებას, რომელიც ადრე გათვალისწინებული არ ჰქონდა ან არ გამოიყენებს ისეთ უფლებას, რომელიც ადრე გათვალისწინებული ჰქონდა. კომპანია იყენებს მსჯელობას ზღვრული სასესხო განაკვეთის დადგენისთვის. დაკვირვებადი მონაცემების გამოყენებით განისაზღვრება ძირითადი განაკვეთი, რომელიც კორექტირდება მოიჯარისთვის დამახასიათებელი სპეციფიკური ფაქტორებით და უზრუნველყოფის (იჯარის ობიექტის) მახასიათებლებით. საქართველოში ხშირად იჯარის ხელშეკრულება არ მოიცავს ჩანაწერს იჯარის გაგრძელების შესახებ. ზემოთხსენებული უფლების არსებობა გამყარებულია მიღებული საქმიანი პრაქტიკით. კომპანია ამგვარ საქმიან პრაქტიკას განიხილავს ხელშეკრულების შემადგენელ ნაწილად. ასეთი შემთხვევებისთვის საიჯარო ვალდებულების განსაზღვრისას შეფასებული საიჯარო გადახდები არის უცვლელი მთელი საიჯარო ვადის განმავლობაში განახლებადი პერიოდის ჩათვლით. მომავალ პერიოდთან დაკავშირებული განუსაზღვრელობებიდან გამომდინარე ფაქტობრივი საიჯარო გადახდები შესაძლებელია მნიშვნელოვნად განსხვავდებოდეს იმისგან, რაც წარდგენილია ფინანსურ ანგარიშგებაში.

დ) ინვესტიცია წილობრივ ინსტრუმენტებში სამართლიანი ღირებულების შეფასება - წილობრივ ინსტრუმენტებში არსებული ინვესტიციების სამართლიანი ღირებულება განისაზღვრა ფულადი სახსრების დისკონტირების ტექნიკის გამოყენებით, მოსალოდნელი ფულადი სახსრების საფუძველზე, რომელიც კლასიფიცირებულია როგორც სამართლიანი ღირებულების შეფასების მე-3 დონის იერარქია, შეფასების გაკეთებისას გამოყენებული მონაცემების მნიშვნელობიდან გამომდინარე.

4. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

4.1 შეფასების და წარდგენის ვალუტა

ფინანსური ანგარიშგების შეფასების და წარდგენის (პრეზენტაციის) ვალუტად კომპანია იყენებს ქართულ ლარს. ოპერაციები შეფასების ვალუტისგან განსხვავებულ ვალუტაში განიხილება, როგორც ოპერაცია უცხოურ ვალუტაში და აღირიცხება „სავალუტო კურსების ცვლილებათა გავლენა“ მოთხოვნების შესაბამისად. უცხოურ ვალუტაში ასახული მონეტარული აქტივები და ვალდებულებები გადაიანგარიშება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ვალუტის გაცვლის ოფიციალური კურსის შესაბამისად ბალანსის შედგენის თარიღისათვის. კონვერტაციის დროს წარმოშობილი კურსთაშორის სხვაობები აისახება მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში. უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები აღირიცხება ოპერაციის განხორციელების დღეს არსებული გაცვლითი (სპოტ) კურსის შესაბამისად.

4.2 ინვესტიციები შვილობილ საწარმოში

კომპანიას გააჩნია კონტროლი საწარმოზე, როდესაც ის ექვემდებარება რისკებს, რომლებიც დაკავშირებულია ინვესტირებულ საწარმოში მისი მონაწილეობიდან ცვალებადი შემოსავლების მიღებასთან, ან გააჩნია ინვესტირებული საწარმოდან ცვალებადი შემოსავლების მიღების უფლება და ასევე ამ შემოსავალზე ზემოქმედების შესაძლებლობა, ინვესტირებულ საწარმოსთან მიმართებით თავისი უფლებამოსილების მეშვეობით. შვილობილი (ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაში) და მკავშირე (ერთობლივი საწარმოები არ აქვს) კომპანიების ინვესტიციის აღრიცხვა ხდება თვითღირებულებით.

4.3 ამონაგები

კომპანია აღიარებს შემოსავალს საქონლისა და მომსახურების მომხმარებლებისთვის გადაცემისას, იმ ანაზღაურების ოდენობით, რომლის მიღების უფლებასაც კომპანია მოელის ამ საქონლისა და მომსახურების გადაცემის სანაცვლოდ. კომპანია იყენებს ხუთსაფეხურიან მოდელს მომხმარებელთან გაფორმებული ხელშეკრულებების მიმართ:

- მომხმარებელთან ხელშეკრულების იდენტიფიცირება;
- სახელშეკრულებო ვალდებულებების დადგენა;
- გარიგების ფასის განსაზღვრა;
- გარიგების ფასის მიკუთვნება სახელშეკრულებო ვალდებულებასთან;
- შემოსავლის აღიარება, როდესაც პირი სახელშეკრულებო ვალდებულებას შეასრულებს.

კომპანია შემოსავალს აღიარებს სახელშეკრულებო ვალდებულების შესრულებისას, ანუ მაშინ, როდესაც კონტრაქტით გათვალისწინებულ მისაწოდებელ საქონელზე “კონტროლი” მომხმარებელს გადაეცემა ან შესრულება ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურება.

შესასრულებელი ვალდებულება და შემოსავლის აღიარების მომენტი

კომპანიას შემოსავლის ძირითად ნაწილს იღებს პროდუქციის გაყიდვიდან, რომელიც აღიარდება დროის იმ მომენტში, მაშინ როცა ხდება მოცემულ საქონელთან დაკავშირებული კონტროლის მომხმარებლისთვის გადაცემა. კონტროლი შესაძლოა გადავიდეს მომხმარებელზე, როგორც გაგზავნის ისე მიღების ადგილას. ეს განსაზღვრულია მომხმარებელთან წერილობითი ან ზეპირი ხელშეკრულების საფუძველზე.

საკონტრაქტო ღირებულების განსაზღვრა

კომპანიის შემოსავლის ძირითადი საკონტრაქტო ღირებულება არის ფიქსირებული და შესაბამისად, თითოეული კონტრაქტიდან მისაღები შემოსავლის განსაზღვრა ხდება მოცემული ფიქსირებული ფასების მიხედვით.

კომპანია არ განიხილავს დაფინანსების მნიშვნელოვან კომპონენტს, როდესაც აქტივზე მომხმარებლისთვის კონტროლის გადაცემის თარიღსა და მიღებული ანაზღაურების თარიღებს შორის სხვაობა არის ერთ წელზე ნაკლები;

4.4 ფინანსური ინსტრუმენტები

კომპანია ფინანსურ აქტივებსა და ვალდებულებებს აღიარებს მაშინ, როდესაც ხდება ინსტრუმენტთან დაკავშირებული სახელშეკრულებო ვალდებულების მხარე. კომპანია ფინანსურ აქტივებს ჰყოფს შემდეგ კატეგორიებად - „ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივი“, „რეალური

ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივი, ცვლილებების მოგებაში ან ზარალში ასახვით“, „რეალური ღირებულებით შეფასებული, ცვლილებების სხვა სრულ შემოსავალში ასახვით“. კომპანიის ხელმძღვანელობამ შეაფასა, თუ რომელი ბიზნეს მოდელი შეესაბამება კომპანიის ფინანსურ აქტივებს და ფინანსური აქტივები დააკლასიფიცირა შემდეგ კატეგორიებად - „ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივი“ და „რეალური ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივი, ცვლილებების მოგებაში ან ზარალში ასახვით“. წინა საანგარიშო პერიოდებში მომზადებულ ფინანსურ ანგარიშგებაში კომპანიის ფინანსური აქტივები წარმოდგენილია სავაჭრო და სხვა მოთხოვნებით, გაცემული სესხებით და ფული და ფულის ეკვივალენტებით. ფული და ფულის ეკვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულსა და ფულს მიმდინარე საბანკო ანგარიშებზე.

- ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივები

მოცემული აქტივები წარმოიქმნება მომხმარებლებისთვის საქონლისა და მომსახურების მიწოდებიდან, ასევე მოიცავს სხვა სახის ფინანსურ აქტივებს, რომლის ფლობის მიზანია სახელმეკრულებო ფულადი ნაკადების მიღება და ეს ფულადი ნაკადები წარმოადგენს მხოლოდ ძირს და მასზე დარიცხულ პროცენტს. ისინი საწყისი აღიარებისას შეფასებულია რეალური ღირებულებით დამატებული გარიგების ის დანახარჯები, რომლებიც უშუალოდ დაკავშირებულია ფინანსური აქტივის შეძენასთან ან გამოშვებასთან და შემდგომში აღრიცხულია ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით, შემცირებული გაუფასურების რეზერვის მოცულობით.

- ინვესტიციები წილობრივ ინსტრუმენტებში

ფინანსური აქტივები, რომლებიც აკმაყოფილებენ კაპიტალის განმარტებას ემიტენტის მხრიდან ე.ი. ინსტრუმენტები, რომლებიც არ შეიცავს ხელშეკრულებით ვალდებულებას ფულადი სახსრების გადახდაზე და წარმოადგენს ნარჩენ პროცენტს, კომპანიის მიერ განიხილება, როგორც ინვესტიცია წილობრივ ინსტრუმენტებში. კომპანიის პოლიტიკით ინვესტიციები წილობრივ ინსტრუმენტებში აღირიცხება რეალური ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით (FVTPL), რადგან მათი ფლობის მიზანი არის საინვესტიციო შემოსავლის მიღება და არ არის გამიზნული სავაჭროდ. კომპანია მოგებაში ან ზარალში აღიარებს ინვესტიციებიდან მიღებულ დივიდენდებს. თავდაპირველი აღიარებისას ფინანსური ინსტრუმენტის რეალური ღირებულების საუკეთესო შეფასება არის გარიგების ფასი. არ ყოფილა შმთხვევა, როდესაც კომპანიას გადაწყვიტოს, რომ თავდაპირველი აღიარებისას შეფასებული რეალური ღირებულება განსხვავდება გარიგების ფასისგან.

- გაუფასურება

კომპანიას ევალება მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგების აღრიცხვა თავის ფასიან ქაღალდებზე, სესხებსა და სავაჭრო მოთხოვნების ანგარიშებზე 12 თვიანი პერიოდისთვის ან მათი მთლიანი ვადისთვის. გაუფასურებასთან დაკავშირებული მოთხოვნების მიზანია, ფინანსური ინსტრუმენტების არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის აღიარება ყველა ფინანსურ ინსტრუმენტთან მიმართებით, რომლის საკრედიტო რისკი თავდაპირველი აღიარების შემდეგ მნიშვნელოვნად გაიზარდა, მიუხედავად იმისა, გაუფასურება ინდივიდუალურად შეფასდა თუ ჯგუფურად, რისთვისაც კომპანია ითვალისწინებს ყველა გონივრულ ინფორმაციას.

- სავაჭრო და სხვა მოთხოვნები და სახელმეკრულებო აქტივები

კომპანია იყენებს გამარტივებულ მიდგომას და მოსალოდნელ ზარალს აღრიცხავს სავაჭრო და სხვა მოთხოვნების მუხლზე და სახელმეკრულებო აქტივზე. აღნიშნული მიდგომის მიხედვით არსებობის მანძილზე სავაჭრო მოთხოვნების მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი გამოითვლება რეზერვების მატრიცის გამოყენებით. გამარტივებული მიდგომა განიხილავს ზარალს სრულად მთელი პორტფელისთვის, განურჩევლად იმისა ადგილი ჰქონდა თუ არა საკრედიტო რისკის მნიშვნელოვან ზრდას პირველადი აღიარების შემდგომ. კომპანია სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურებას ახორციელებს მეთოდოლოგიის საფუძველზე:

- ინდივიდუალურად განიხილავს დაკავშირებული მხარეებისგან მისაღებ თანხებს;
- ინდივიდუალურად განიხილავს მნიშვნელოვანი დებიტორული დავალიანების მქონე დებიტორებს;
- ჯგუფურად ფასდება ყველა სხვა დებიტორული დავალიანება, რადგან კომპანიის გამოცდილებით დარჩენილი ერთობლიობა არ მოიცავს ინდივიდუალურად მნიშვნელოვან ელემენტებს;

- დაკავშირებული მხარეებისგან მისაღები თანხები

კომპანია ინდივიდუალურად განიხილავს გაუფასურებაზე დაკავშირებულ მხარეებთან არსებულ მოთხოვნებს და მხედველობაში იღებს სხვადასხვა ფაქტორებსა და ინდივიდუალურ გარემოებებს,

რომელიც კომპანიას შესაძლოა გააჩნდეს მის დაკავშირებულ მხარეებთან ბიზნეს საქმიანობის პროცესში. აღნიშნული ანალიზის საფუძველზე კომპანიის ხელმძღვანელობა აფასებს მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის მოცულობას, რომელიც განისაზღვრება წარსულის გამოცდილების საფუძველზე. კომპანია არ აღიარებს დაკავშირებული მხარეების მიმართ არსებული სავაჭრო და სხვა მოთხოვნების გაუფასურების რეზერვს, რადგან კომპანიას არ გააჩნია აღნიშნული მოთხოვნების საკრედიტო გაუფასურების ნეგატიური გამოცდილება.

- მნიშვნელოვანი დავალიანების მქონე დებიტორები

შეფასებისას კომპანია მხედველობაში იღებს სხვადასხვა ფაქტორებსა გარემოებებს, რომელიც შესაძლოა მოიცავდეს: ა) დებიტორის რეიტინგს, ბ) ფინანსურ მდგომარეობას, გ) მისაღები თანხების ვადაგადაცილების ხანგრძლივობას, დ) ნებისმიერ ხელმისაწვდომ სხვა, მ.შ. არაფინანსურ ინფორმაციას.

- ჯგუფურად შეფასებული სავაჭრო მოთხოვნები

იმისათვის, რათა განისაზღვროს მოსალოდნელი გაუფასურების დანაკარგი ჯგუფურად შეფასებულ სავაჭრო მოთხოვნებზე, მოთხოვნები ჯგუფდება მსგავსი საკრედიტო რისკისა და ხანდაზმულობის მიხედვით. სავაჭრო და სხვა მოთხოვნებს აქვს მსგავსი რისკიანობის მახასიათებელი. მოსალოდნელი გაუფასურების დანაკარგის განაკვეთები ეფუძნება კომპანიის საკრედიტო გაუფასურების წარსულ გამოცდილებას. ისტორიული მოსალოდნელი გაუფასურების დანაკარგის განაკვეთი კორექტირდება არსებული და სამომავლო მაკროეკონომიკური ფაქტორების გათვალისწინებით, რომელიც გავლენას ახდენს კომპანიის მომხმარებლებზე.

- ფულადი სახსრების და მათი ეკვივალენტების გაუფასურება

ფულადი სახსრების და მათი ეკვივალენტების მუხლზე კომპანია არ ახორციელებს გაუფასურების აღიარებას.

- ფინანსური აქტივების აღიარების შეწყვეტა

კომპანია წყვეტს ფინანსური აქტივის აღიარებას მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც: ფინანსური აქტივიდან მისაღები ფულადი სახსრების მიღების საკონტრაქტო უფლებებს ვადა გასდის ან იგი გადასცემს ფინანსურ აქტივთან დაკავშირებული ფულადი ნაკადების მიღების უფლებას, ან შედის ისეთ გარიგებაში, როდესაც: ა) აქტივის გასვლასთან ერთად ხდება ყველა არსებითი რისკისა და სარგებლის კომპანიიდან გასვლა; ბ) კომპანია არ გადასცემს აქტივის ფლობასთან დაკავშირებულ არსებით რისკსა და სარგებელს, მაგრამ ასევე არ ინარჩუნებს კონტროლს ამ აქტივზე.

- ფინანსური ვალდებულებები

კომპანია მის ფინანსურ ვალდებულებებს აკლასიფიცირებს შემდეგი კატეგორიებიდან ერთ-ერთით: რეალური ღირებულებით, მოგებაში ან ზარალში ასახვით და სხვა ფინანსურ ვალდებულებებად. ფინანსური ვალდებულებები მოიცავს სავაჭრო და სხვა ვალდებულებებს, საიჯარო ვალდებულებებს. ფინანსური ვალდებულებები საწყისი აღიარებისას შეფასებულია რეალური ღირებულებით დამატებული გარიგების ის დანახარჯები, რომლებიც უშუალოდ დაკავშირებულია ფინანსური ვალდებულებების გამოშვებასთან. მსგავსი პროცენტის მატარებელი ვალდებულებები შემდგომში აღრიცხულია ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით, რომელიც უზრუნველყოფს მუდმივი განაკვეთით ფინანსური ვალდებულების საბალანსო ღირებულებაზე საპროცენტო ხარჯის დარიცხვას. ნებისმიერი ფინანსური ვალდებულებისთვის საპროცენტო ხარჯი მოიცავს საწყის გარიგების ხარჯებს და ნებისმიერ დამატებით გადასახდელს ვალდებულების გამოსყიდვისთვის. ფინანსური აქტივები და ვალდებულებები ერთმანეთში გაიქვითება და ფინანსურ ანგარიშგებებში წარდგება სალდირებულად, თუ არსებობს შესაბამისი იურიდიული საფუძველი აღნიშნული თანხების ურთიერთჩათვლისთვის.

4.5 საპროცენტო შემოსავალი

1-ელ და მე-2 ეტაპზე მყოფი ფინანსური ინსტრუმენტებისთვის კომპანია საპროცენტო შემოსავალს აღრიცხავს ეფექტური საპროცენტო განაკვეთის (EIR) გამოყენებით მთლიან საბალანსო თანხაზე. მე-3 ეტაპზე არსებული ფინანსური ინსტრუმენტებისთვის საპროცენტო შემოსავალი დაიანგარიშება EIR-ის გამოყენებით სესხების ამორტიზებულ ღირებულებაზე.

4.6 ხარჯები

ხარჯების აღიარება ხდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, თუ წარმოიშობა მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირება, რაც დაკავშირებულია აქტივის შემცირებასა ან ვალდებულების ზრდასთან, რაც შეიძლება საიმედოდ განისაზღვროს. ხარჯები გაწევისთანავე აღიარდება მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში, თუ ხარჯებისგან ეკონომიკური სარგებლის მოტანა მომავალში აღარ არის მოსალოდნელი ან თუ მომავალი ეკონომიკური სარგებელი აღარ აკმაყოფილებს ბალანსში აქტივად აღიარების კრიტერიუმებს. თუ ეკონომიკური სარგებელი მოსალოდნელია, რომ წარმოიქმნება რამდენიმე სააღრიცხვო პერიოდის განმავლობაში, მასთან დაკავშირებული ხარჯები სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარდება გონივრული, სარგებლის მიღების პროპორციული განაწილების საფუძველზე.

4.7 იჯარა

- იდენტიფიკაცია

ხელშეკრულების დაწყებისას კომპანია აფასებს, მთლიანად ხელშეკრულება არის თუ არა იჯარა, ან შეიცავს თუ არა იჯარას. ხელშეკრულება არის საიჯარო ხელშეკრულება, ან შეიცავს იჯარას, თუ ხელშეკრულების მეშვეობით ხდება იდენტიფიცირებული აქტივის კონტროლის უფლების გადაცემა გარკვეული პერიოდის განმავლობაში ანაზღაურების მიღების სანაცვლოდ. იმის დასადგენად, ესა თუ ის ხელშეკრულება გადასცემს თუ არა მომხმარებელს იდენტიფიცირებული აქტივის გამოყენების კონტროლის უფლებას გარკვეული პერიოდის განმავლობაში, კომპანია აფასებს, გამოყენების პერიოდის განმავლობაში მომხმარებელს გააჩნია თუ არა უფლებები: - ხელშეკრულებაში იდენტიფიცირებული აქტივიდან პრაქტიკულად მთლიანი სარგებლის მიღების უფლება და - იდენტიფიცირებული აქტივის გამოყენების წესის განსაზღვრის უფლება.

- თავდაპირველი აღიარება

იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის კომპანია აღიარებს აქტივების გამოყენების უფლებას და საიჯარო ვალდებულებას, გარდა იჯარისა, რომლის საიჯარო აქტივს დაბალი ღირებულება აქვს და - იჯარისა, რომლის ვადა 12 თვეზე ნაკლებია. იჯარა კომპანიის ანგარიშგებაში აღიარდება როგორც აქტივი, რომელიც წარმოადგენს იჯარის ვადის განმავლობაში, იჯარის ობიექტის გამოყენების უფლებას და ვალდებულება საიჯარო გადასახდელების ანაზღაურებისთვის.

იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის კომპანია საიჯარო ვალდებულებას აფასებს იმ საიჯარო გადახდების დღევანდელი ღირებულების მიხედვით, რომლებიც ამ თარიღისთვის განხორციელებული არ არის. საიჯარო გადახდები დისკონტირდება იჯარაში ნაგულისხმევი საპროცენტო განაკვეთით, თუ ამ განაკვეთის განსაზღვრა შესაძლებელია. თუ ეს შეუძლებელია, გამოიყენება იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის განსაზღვრული მოიჯარის ზღვრული სასესხო განაკვეთი. საიჯარო ვალდებულების შეფასებაში ცვლადი საიჯარო გადახდები მონაწილეობს იმ მოცულობით, რა მოცულობითაც დამოკიდებულია ინდექსზე ან განაკვეთზე. ცვლადი საიჯარო გადახდები თავდაპირველად ფასდება იჯარის ვადის დაწყების თარიღის მდგომარეობით ამ ინდექსის ან განაკვეთის გამოყენებით. სხვა ცვლადი საიჯარო გადახდები აღიარდება იმ პერიოდის ხარჯად, რომელსაც ისინი მიეკუთვნება. იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის, კომპანიის ვალდებულება საიჯარო გადასახდელების ანაზღაურებისთვის მოიცავს: თანხებს, რომელთა გადახდა მოსალოდნელია ნარჩენი ღირებულების გარანტიების მიხედვით; შესყიდვის არჩევანის უფლების ფასს, თუ საკმარისად სარწმუნოა, რომ მოიჯარე გამოიყენებს ამ უფლებას; იჯარის ვადამდე შეწყვეტისთვის ჯარიმებს, თუ იჯარის ვადა ასახავს მოიჯარის მიერ იჯარის ვადამდე შეწყვეტის არჩევანის უფლების გამოყენებას;

იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის კომპანია აქტივების გამოყენების უფლებას თვითღირებულებით აფასებს. აქტივების გამოყენების უფლების თვითღირებულება მოიცავს: - საიჯარო ვალდებულების თავდაპირველ შეფასებას, - საიჯარო გადახდებს, რომლებიც უკვე განხორციელებულია იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის, ან ამ თარიღამდე, მიღებული წამახალისებელი საიჯარო გადახდების გამოკლებით; - მოიჯარის მიერ გაწეულ თავდაპირველ პირდაპირ დანახარჯებს; და - იმ დანახარჯების შეფასებას, რომლებსაც მოიჯარე გასწევს საიჯარო აქტივის დემონტაჟისა და ლიკვიდაციის დროს საიჯარო აქტივის აღსადგენად ისეთ მდგომარეობაში მოყვანის მიზნით, რაც მოითხოვება საიჯარო ხელშეკრულების პირობებით.

- შემდგომი შეფასება

იჯარის ვადის დაწყების თარიღის შემდეგ დღევანდელი ღირებულებით შეფასებული საიჯარო ვალდებულება იზრდება პროცენტის დამატებით და მცირდება განხორციელებული საიჯარო გადახდებით. აქტივების გამოყენების უფლება მცირდება დაგროვილი ცვეთით და დაგროვილი გაუფასურების

გამოკლებით. თუ საიჯარო ხელშეკრულების თანახმად საიჯარო აქტივზე საკუთრების უფლება იჯარის ვადის დასრულებისას მოიჯარეს გადაეცემა, ან აქტივების გამოყენების უფლების თვითღირებულება ასახავს მოიჯარის განზრახვას, რომ ის გამოიყენებს აქტივის შესყიდვის არჩევანის უფლებას, აქტივს ცვეთა ერიცხება იჯარის ვადის დაწყების თარიღიდან საიჯარო აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის დასრულებამდე. სხვა შემთხვევაში, აქტივების გამოყენების უფლებას ცვეთა ერიცხება იჯარის ვადის დაწყების თარიღიდან შემდეგ ორ თარიღს შორის უფრო ადრინდელ თარიღამდე: აქტივების გამოყენების უფლების სასარგებლო მომსახურების ვადის დასრულებისა და იჯარის ვადის დასრულების თარიღი. საიჯარო აქტივი ამორტიზდება იჯარის ვადის შესაბამისად. იჯარის ვადის დაწყების თარიღის შემდეგ კომპანია ხელახლა აფასებს საიჯარო ვალდებულებას, საიჯარო გადახდების ცვლილებების ასახვის მიზნით. საიჯარო ვალდებულების ხელახალი შეფასების შედეგად მიღებული თანხა აღიარდება, როგორც აქტივების გამოყენების უფლების კორექტირება. თუმცა, თუ აქტივების გამოყენების უფლების საბალანსო ღირებულება მცირდება ნულამდე და ამავე დროს მცირდება საიჯარო ვალდებულების შეფასებაც, ხელახალი შეფასების თანხის დარჩენილი ნაწილი აღიარდება მოგება/ზარალში. საიჯარო ვალდებულება ხელახლა ფასდება გადასინჯული საიჯარო გადახდების და გადასინჯული დისკონტირების განაკვეთის გამოყენებით, ნებისმიერ შემდეგ შემთხვევაში, თუ: შეიცვალა იჯარის ვადა, ან შეიცვალა საიჯარო აქტივის შესყიდვის არჩევანის უფლების შეფასება. თუ შეიცვალა თანხები, რომელთა გადახდაც მოსალოდნელია ნარჩენი ღირებულების გარანტიის პირობის ფარგლებში ან შეიცვალა მომავალი საიჯარო გადახდები იმის გამო, რომ შეიცვალა ამ გადახდების განსაზღვრისთვის გამოსაყენებელი ინდექსი ან განაკვეთი, საიჯარო ვალდებულება ხელახლა ფასდება იჯარის ვადის დასაწყისში განსაზღვრული დისკონტირების განაკვეთის გამოყენებით, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც საიჯარო გადახდების ცვლილება გამოწვეულია საპროცენტო განაკვეთების ცვალებადობით. როცა კომპანია ახდენს იჯარის სახელშეკრულებო პირობების მოდიფიკაციას, ამ შემთხვევაში, აღრიცხვა დამოკიდებულია მოდიფიკაციის შინაარსზე: - იჯარის მოდიფიკაცია აისახება, როგორც განცალკევებული იჯარა, თუ მოდიფიკაციის შედეგად იზრდება იჯარის გამოყენების სფერო და იჯარის ანაზღაურება იზრდება გაზრდილი გამოყენების სფეროს შესაფერისი ანაზღაურებით. - იჯარის ისეთი მოდიფიკაციის შემთხვევაში, რომელიც არ აღირიცხება, როგორც განცალკევებული იჯარა, იჯარის მოდიფიკაციის ძალაში შესვლის თარიღისთვის მოიჯარე ხელახლა აფასებს საიჯარო ვალდებულებას გადასინჯული საიჯარო გადახდების დისკონტირებით გადასინჯული დისკონტირების განაკვეთის საფუძველზე. - იჯარის ისეთი მოდიფიკაციის შემთხვევაში, რომლის შედეგად მცირდება იჯარის მოქმედების სფერო, მცირდება აქტივების გამოყენების უფლების საბალანსო ღირებულება იჯარის ნაწილობრივ ან სრულად შეწყვეტის ასახვის მიზნით, მოგება/ზარალში აღიარდება ნებისმიერი შემოსულობა ან ზარალი, რომელიც დაკავშირებულია იჯარის ნაწილობრივ ან მთლიანად შეწყვეტასთან; საიჯარო ვალდებულება შემდგომში კორექტირდება იმგვარად, რომ მისმა საბალანსო ღირებულებამ ასახოს მოდიფიცირებული საიჯარო გადასახდელები მოდიფიცირებული ვადის განმავლობაში, რომლებიც დადისკონტირებულია მოდიფიკაციის თარიღისთვის არსებული განაკვეთით. ასეთ დროს, აქტივების გამოყენების უფლებაც შესაბამისი თანხით კორექტირდება. კომპანია არასაიჯარო კომპონენტებს გამოაცალკევებს საიჯარო კომპონენტებისგან.

- იჯარის ვადა

იჯარის ვადა არის იჯარის არაგაუქმებადი პერიოდი, რომლის განმავლობაშიც მოიჯარეს აქვს საიჯარო აქტივების გამოყენების უფლება, შემდეგ პერიოდებთან ერთად: ა) პერიოდები, რომლებსაც მოიცავს იჯარის გაგრძელების არჩევანის უფლებას (მათ შორის მიღებული საქმიანი პრაქტიკით გამოყარებული), თუ საკმარისად სარწმუნოა, რომ მოიჯარე ამ უფლებას გამოიყენებს; და ბ) პერიოდები, რომლებსაც მოიცავს იჯარის ვადამდე შეწყვეტის არჩევანის უფლება, თუ საკმარისად სარწმუნოა, რომ მოიჯარე ამ უფლებას არ გამოიყენებს. ხელმძღვანელობა იყენებს მსჯელობას იჯარის ვადის დადგენისას. იმის შესაფასებლად, საკმარისად სარწმუნოა თუ არა, რომ მოიჯარე გამოიყენებს იჯარის გაგრძელების უფლებას, ან არ გამოიყენებს იჯარის ვადამდე შეწყვეტის უფლებას, კომპანია განიხილავს ყველა სათანადო ფაქტს და გარემოებას, რომელიც მოიჯარეს ეკონომიკურ სტიმულს უქმნის, გამოიყენოს იჯარის გაგრძელების უფლება, ან არ გამოიყენოს იჯარის ვადამდე შეწყვეტის უფლება. კომპანია ხელახლა აფასებს, საკმარისად სარწმუნოა თუ არა, რომ ის გამოიყენებს იჯარის გაგრძელების არჩევანის უფლებას, ან არ გამოიყენებს იჯარის ვადამდე შეწყვეტის უფლებას, იმ შემთხვევაში, თუ მოხდება რაიმე მნიშვნელობანი მოვლენა, ან მნიშვნელოვნად შეიცვლება გარემოებები, რომლებიც: ა) მოიჯარის კონტროლს ექვემდებარება; და ბ) გავლენას ახდენს იმის შეფასებაზე, საკმარისად სარწმუნოა თუ არა, რომ მოიჯარე გამოიყენებს უფლებას, რომელიც ადრე გათვალისწინებული არ ჰქონდა იჯარის ვადის დადგენისას, ან არ გამოიყენებს ისეთ უფლებას, რომელიც ადრე გათვალისწინებული ჰქონდა იჯარის ვადის განსაზღვრისას. ხელმძღვანელობა ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსათვის ახდენს საიჯარო ვადების ხელახალ შეფასებას. საიჯარო

ვადების ცვლილების ეფექტით ხდება აქტივის გამოყენების უფლებისა და საიჯარო ვალდებულების დაკორექტირება.

- ზღვრული სასესხო განაკვეთი

ზღვრული სასესხო განაკვეთი არის, საპროცენტო განაკვეთი, რომლის გადახდაც მსგავს ეკონომიკურ გარემოში მოუწევდა მოიჯარეს აქტივების გამოყენების უფლების ღირებულების მსგავსი ღირებულების აქტივის მოსაპოვებლად საჭირო სესხით სარგებლობისთვის, რომელსაც მსგავსი ვადა და უზრუნველყოფა ექნებოდა. ხელმძღვანელობა იყენებს მსჯელობას ზღვრული სასესხო განაკვეთის დადგენისთვის. დაკვირვებადი მონაცემების გამოყენებით განისაზღვრება ძირითადი განაკვეთი, რომელიც კორექტირდება მოიჯარისთვის დამახასიათებელი სპეციფიკური ფაქტორებით და უზრუნველყოფის (იჯარის ობიექტის) მახასიათებლებით.

- საიჯარო გადახდები

ხშირად იჯარის ხელშეკრულება არ მოიცავს ჩანაწერს (ან მოიცავს არასრულ ჩანაწერს) იჯარის განახლების/გაგრძელების შესახებ. ზემოთხსენებული უფლების არსებობა გამყარებულია მიღებული საქმიანი პრაქტიკის შესაბამისად. კომპანია ამგვარ მიღებულ საქმიან პრაქტიკას განიხილავს ხელშეკრულების შემადგენელ ნაწილად. ასეთი შემთხვევებისთვის, საიჯარო ვალდებულების განსაზღვრისას შეფასებული საიჯარო გადახდები არის უცვლელი მთელი საიჯარო ვადის განმავლობაში განახლებადი პერიოდის ჩათვლით.

მოკლევადიანი იჯარა და გრძელვადიანი იჯარა, რომლის საიჯარო აქტივს დაბალი ღირებულება აქვს კომპანიამ გადაწყვიტა მოკლევადიან იჯარასთან და დაბალი ღირებულების მქონე საიჯარო აქტივის იჯარასთან მიმართებაში გამოიყენოს გათავისუფლება. ამ იჯარასთან დაკავშირებული საიჯარო გადახდები აღირიცხება ხარჯის სახით იჯარის ვადის განმავლობაში.

- იჯარების პორტფელური აღრიცხვა

კომპანია მსგავსი მახასიათებლების მქონე საიჯარო ხელშეკრულებების პორტფელს აღრიცხავს გამარტივებული მიდგომის სახით, მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ კომპანია ვარაუდობს, რომ ხელშეკრულებების პორტფელთან მიმართებით იჯარის სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენების გავლენა ანგარიშგებაზე არსებითად განსხვავებული არ იქნება პორტფელის შემადგენელი ცალკეული ხელშეკრულების მიმართ მისი გამოყენების შედეგისგან. ხელშეკრულებების პორტფელის მიხედვით აღრიცხვისას, კომპანია იყენებს ისეთ შეფასებებსა და დაშვებებს, რომლებიც ასახავს პორტფელის სიდიდესა და შემადგენლობას. კომპანია იყენებს ერთი დისკონტირების განაკვეთს საკმარისად მსგავსი მახასიათებლების მქონე საიჯარო ხელშეკრულებების პორტფელთან მიმართებით (როგორიცაა, მაგალითად მსგავსი კლასის საიჯარო აქტივების საიჯარო ხელშეკრულებები, რომლებსაც მსგავსი დარჩენილი იჯარის ვადა აქვთ ანალოგიურ ეკონომიკურ გარემოში და ნომინირებულია ერთი და იგივე ვალუტაში).

4.8 გადასახადები

- მოგების გადასახადი

2017 წლის 1 იანვრიდან საქართველოში ძალაშია მოგების გადასახადის ესტონური მოდელი. მის თანახმად მოგების გადასახადით დაბეგრის საგანს წარმოადგენს: დივიდენდების განაწილება; სხვაობა გარიგების ფასსა და საბაზრო ღირებულებას შორის; ხრჯები, რომლებიც არ მიეკუთვნება ეკონომიკურ საქმიანობას; დანაკლისები; უსასყიდლოდ გადაცემული საქონელი და მომსახურება; ლიმიტს ზემოთ გაწეული წარმომადგენლობითი ხარჯები.

მოგების გადასახადის ხარჯი აღიარდება იმ საანგარიშგებო პერიოდში, როდესაც კომპანია ზემოთ ჩამოთვლილი მოვლენების გარდა პირველისა შედეგად გაიანგარიშებს მოგების გადასახადს.

- გადავადებული გადასახადი

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობაში შესული სპეციფიკური ცვლილებების გამო 2017 წლიდან საქართველოს რეზიდენტი კომპანიებისთვის აქტივების და ვალდებულებების საბალანსო და საგადასახადო ღირებულებებს შორის არ არსებობს დროებითი სხვაობები, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს გადავადებული საგადასახადო აქტივების/ვალდებულებების წარმოქმნა.

- გადასახადები, გარდა მოგების გადასახადისა

გადასახადები გარდა მოგების გადასახადისა აღიარდება იმ საანგარიშგებო პერიოდში რა პერიოდშიც შესრულება დასაბეგრი ოპერაციები ან ქონების გადასახადის შემთხვევაში - რა პერიოდისთვისაც წარმოიშება საგადასახადო ვალდებულება კანონის თანახმად. წინასწარ გადახდილი გადასახადები, რომლისგანაც მოსალოდნელია მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აღიარდება აქტივად. გადასახდელი დამატებული ღირებულების გადასახადი, რომელიც დაკავშირებულია დასაბეგრ გარიგებებთან, საგადასახადო ორგანოებისათვის გადასახდელი ხდება მომხმარებლებისთვის საქონლის ან მომსახურების მიწოდების თვის მომდევნო თვის 15 რიცხვამდე (ან უშუალოდ მომდევნო დღემდე, თუ ეს თარიღი არასამუშაო დღეს წარმოადგენს). საგადასახადო კოდექსით დადგენილია დღგ-ზე ანგარიშსწორება გაყიდვასა და შესყიდვას დღგ-ებში სხვაობაზე. დღგ აღიარებულია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ასეთი სალდირების საფუძველზე.

4.9 ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებების ერთეულის საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით. თვითღირებულების კომპონენტები მოიცავს შეძენის, ტრანსპორტირების ფასსა და უშუალოდ დაკავშირებულ დანახარჯებს, რომელიც აუცილებელია აქტივის სამუშაო მდგომარეობაში მოსაყვანად. შემდგომი დანახარჯები ჩაირთვება აქტივის საბალანსო ღირებულებაში მხოლოდ მაშინ, როდესაც შესაძლებელია აღნიშნული ტიპის დანახარჯისაგან მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება და შესაძლებელია მისი ღირებულების საიმედოდ განსაზღვრა. ყველა სხვა სახის დანახარჯი, რომელიც დაკავშირებულია მიმდინარე რემონტებთან, აღიარდება როგორც ხარჯი მისი გაწევის პერიოდში. ძირითადი საშუალებები აღირიცხება ისტორიულ ღირებულებას, დაგროვილ ცვეთასა და გაუფასურების ზარალს შორის სხვაობის თანხით. ცვეთა ერიცხება აღნიშნულ აქტივთა ჯგუფს, მთლიანად მათი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში. კომპანია იყენებს ცვეთის წრფივი დარიცხვის მეთოდს ძირითადი საშუალებების ყველა ჯგუფისათვის.

სასარგებლო სამსახურის ვადა და ცვეთის მეთოდი გადაიხედება ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, ღირებულების ცვლილების ეფექტის გათვალისწინებით, პერსპექტიულ საფუძველზე. იმ შემთხვევაში, თუ ძირითადი საშუალებების თითოეულ კომპონენტს გააჩნია განსხვავებული ექსპლუატაციის პირობები, მაშინ ამდაგვარ აქტივთა ჯგუფი აღირიცხება ინდივიდუალურად. ძირითადი საშუალებების ჯგუფების სასარგებლო მომსახურების ვადები მეტწილად წარმოდგენილია შემდეგნაირად:

შენობები	30 - 50 წელი;
ნაგებობები (აგს-ების ნაგებობები)	20 - 30 წელი;
კომპ ტექნიკა და პერიფერია	5 წელი;
ავტო	8 - 10 წელი;
სატრანსპორტო საშუალებები	10 წელი;
სამრეწველო-სამშენებლო ტექნიკა	20 წელი;
იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	საიჯარო ხელშეკრულების მოქმედების ვადა

ძირითადი საშუალებების ცვეთის ხარჯი აღიარდება ხარჯებში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც აღნიშნული თანხა უნდა აღირიცხოს სხვა აქტივის საბალანსო ღირებულებაში. ძირითადი საშუალების ობიექტის აღიარება წყდება მისი გასხვისებისას ან როდესაც მისი შემდგომი გამოყენებიდან მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარ არის მოსალოდნელი. მოგება ან ზარალი ძირითადი საშუალებების გასვლის შედეგად განისაზღვრება საბალანსო ღირებულებისა და მიღებული წმინდა ანაზღაურების სხვაობით და აღიარდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

4.10 საინვესტიციო ქონება

საინვესტიციო ქონებას კომპანია აქტივად აღიარებს როდესაც: ა) მოსალოდნელია, რომ საწარმო მიიღებს ამ ქონებასთან დაკავშირებულ მომავალ ეკონომიკურ სარგებელს; ბ) შესაძლებელია საინვესტიციო ქონების თვითღირებულების საიმედოდ შეფასება. საინვესტიციო ქონება აღირიცხება ისტორიულ ღირებულებას, დაგროვილ ცვეთას და გაუფასურების ზარალს შორის სხვაობის თანხით. ცვეთა ერიცხება აღნიშნულ აქტივთა ჯგუფს, მთლიანად მათი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში. კომპანია იყენებს ცვეთის წრფივი დარიცხვის მეთოდს. საინვესტიციო ქონების სასარგებლო მომსახურების ვადა განისაზღვრება 20-40 წლით. კომპანიის საკუთრებაში არსებულ მიწას ცვეთა არ ერიცხება. საინვესტიციო ქონების აღიარება წყდება მისი გასხვისებისას ან მაშინ, როდესაც მისი შემდგომი გამოყენებიდან

მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარაა მოსალოდნელი. მოგება ან ზარალი საინვესტიციო ქონების გასვლის შედეგად განისაზღვრება საბალანსო ღირებულებისა და მიღებული წმინდა ანაზღაურების სხვაობით და ჩაირთვება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

4.11 აქტივების გაუფასურება

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს საწარმო მიმოიხილავს აქტივების საბალანსო ღირებულებას რათა განსაზღვროს, არსებობს თუ არა მინიშნება აქტივის გაუფასურების შესახებ. ასეთის არსებობის შემთხვევაში, კომპანია ახორციელებს აქტივების ანაზღაურებადი ღირებულების შეფასებას. თუ შეუძლებელია ცალკეული აქტივის ანაზღაურებადი ღირებულების შეფასება, კომპანია განსაზღვრავს იმ ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის ანაზღაურებად ღირებულებას, რომელსაც განეკუთვნება მოცემული აქტივი. აქტივის ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეული წარმოადგენს აქტივების უმცირეს ჯგუფს, რომელიც მოიცავს მოცემულ აქტივს და წარმოქმნის ფულად სახსრებს უწყვეტი გამოყენების შედეგად, რომელთა მიღება, უმეტესწილად, დამოკიდებული არ არის სხვა აქტივებიდან ან აქტივთა ჯგუფიდან ფულადი სახსრების მიღებაზე. აქტივის (ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის) ანაზღაურებადი ღირებულება წარმოადგენს გასვლის დანახარჯებით შემცირებულ რეალურ ღირებულებასა და გამოყენების ღირებულებას შორის უდიდეს თანხას.

აქტივის გამოყენების ღირებულება არის აქტივიდან ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულიდან მომავალში მისაღები ფულადი ნაკადების დისკონტირებული ღირებულება. აქტივის (ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის) საბალანსო ღირებულება უნდა შემცირდეს მის ანაზღაურებად ღირებულებამდე იმ შემთხვევაში, თუ მოცემული აქტივის (ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის) ანაზღაურებადი ღირებულება ნაკლებია მის საბალანსო ღირებულებაზე. შემცირების თანხა წარმოადგენს გაუფასურების ზარალს და აღიარდება ხარჯის სახით მოგება-ზარალის ან სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში. ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს კომპანია განსაზღვრავს არსებობს თუ არა რაიმე ნიშანი, რომლის მიხედვით წინა წლებში აღიარებული აქტივის (ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის) გაუფასურების ზარალი შესაძლოა აღარ არსებობდეს ან შემცირებული იყოს. მისი არსებობის შემთხვევაში, კომპანია აფასებს მოცემული აქტივის (ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის) ანაზღაურებად ღირებულებას. გაუფასურების ზარალის კომპენსირების შემთხვევაში იზრდება აქტივის (ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის) საბალანსო ღირებულება, მაგრამ არაუმეტეს იმ საბალანსო ღირებულებისა, რომელიც მიღებული იქნებოდა წინა წლებში გაუფასურების ზარალის აღიარება რომ არ მომხდარიყო.

4.12 სასაქონლო-მატერიალური მარაგები

კომპანიაში მარაგების შეფასება ხდება უმცირესი თანხით თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის. მარაგების თვითღირებულება მოიცავს მათ შეძენასა და გადამუშავებასთან დაკავშირებულ დანახარჯებს, აგრეთვე იმ დანახარჯებს რომელიც გაწეულია მის მოცემულ ადგილამდე ტრანსპორტირებისა და სათანადო მდგომარეობაში მოყვანისათვის. სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების შეძენის დანახარჯები მოიცავს მათი შეძენის ღირებულებას, საიმპორტო საბაჟო გადასახადს და სხვა არადაბრუნებად გადასახადებს, სატრანსპორტო, დატვირთვა-გადმოტვირთვის დანახარჯებს და მარაგების შეძენასთან უშუალოდ დაკავშირებულ სხვა დანახარჯებს. ყველა სახის სავაჭრო ფასდაკლება ამცირებს შეძენის დანახარჯებს. მარაგების ნეტო სარეალიზაციო ღირებულება არის შეფასებითი გასაყიდი ფასი გაყიდვისათვის საჭირო შეფასებითი დანახარჯების გამოკლებით.

4.13 დივიდენდები

გასაცემი დივიდენდები ღვინდება კომპანიის დამფუძნებელი პარტნიორების გადაწყვეტილების საფუძველზე. დივიდენდები აღიარდება როგორც ვალდებულება და შესაბამისი თანხით მცირდება კაპიტალი. საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ ფინანსური ანგარიშგების დამტკიცებამდე გამოქვეყნებული დივიდენდები განიმარტება ბალანსის შემდგომ მოვლენებში.

4.16 ანარიცხები და პირობითი ვალდებულებები

პირობითი ვალდებულებები არ აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის გასვლა კომპანიიდან და შესაძლებელია ამ ვალდებულების საიმედოდ შეფასება. ფინანსურ ანგარიშგებაში ასევე არ აისახება პირობითი აქტივები. მაგრამ ისეთი ფინანსური აქტივების შესახებ ინფორმაცია, რომლებთან დაკავშირებული ეკონომიკური სარგებლის

შემოსვლა კომპანიაში მოსალოდნელია აისახება განმარტებით შენიშვნებში. იმ შემთხვევაში, თუ კომპანიას აქვს რწმუნება, რომ ეკონომიკური სარგებელი შემოვა კომპანიაში, მაშინ მასთან დაკავშირებული აქტივი და შემოსავალი აისახება იმ პერიოდის ფინანსურ ანგარიშგებაში, როდესაც ადგილი ჰქონდა შეფასების ცვლილებას. ანარიცხი წარმოადგენს ვალდებულებას, რომელიც დაკავშირებულია რაოდენობრივ და დროით განუსაზღვრელობებთან. კომპანიაში ანარიცხი აღიარდება, როდესაც კომპანიას აქვს მიმდინარე მოვალეობა (იურიდიული ან კონსტრუქციული), რომელიც წარმოიქმნება წარსული მოვლენის შედეგად და სავარაუდოა, რომ მოვალეობის დასაფარად საჭირო იქნება ეკონომიკურ სარგებელში განივთებული რესურსების გასვლა; და შესაძლებელია ვალდებულების თანხის საიმედოდ შეფასება.

5. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა

კომპანიის ოპერაციებისთვის დამახასიათებელი ძირითადი რისკებია:

- საკრედიტო რისკი;
 - სავალუტო რისკი;
 - ლიკვიდურობის რისკი;
- საოპერაციო რისკი

კომპანია საოპერაციო საქმიანობის ნაწილში დგას ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენებიდან წარმოქმნილი რისკების წინაშე. ეს განმარტებითი შენიშვნა აღწერს კომპანიის მიზნებს, პოლიტიკებსა და პროცედურებს რისკების მართვისათვის და რისკების შეფასების მეთოდებს. ამ რისკებთან დაკავშირებული დამატებითი რაოდენობრივი ინფორმაცია წარმოდგენილია ფინანსურ ანგარიშგებაში.

ფინანსური ინსტრუმენტების ძირითადი კატეგორიები

კომპანიის ძირითადი ფინანსური ვალდებულებები მოიცავს სავაჭრო და სხვა ვალდებულებებს, საიჯარო ვალდებულებებს. ამ ფინანსური ინსტრუმენტების მთავარი მიზანია კომპანიის ფინანსური უზრუნველყოფა. კომპანიას გააჩნია ისეთი ფინანსური აქტივები როგორიცაა სავაჭრო და სხვა მოთხოვნები, ფული და ფულის ეკვივალენტები. ფინანსური ინსტრუმენტების ძირითადი კატეგორიები წარმოდგენილია შემდეგნაირად:

დასახელება	31/12/24	31/12/23
ფული და ფულის ეკვივალენტები	222,888	190,711
მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	13,026,944	11,851,663
სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	80,398	92,543
გადახდილი ავანსები	1,823,555	2,010,977
მიმდინარე ვალდებულებები მოწ. და მომს.	1,123,247	1,101,010
საგადასახადო ვალდებულებები	300,689	73,032
გადასახდელი ხელფასები	105,978	
სხვა მიმდინარე ვალდებულებები	700	98,555
გრძელვადიანი საიჯარო ვალდებულებები	584,707	769,561
გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები	3,501,658	2,913,563

- ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულება

რეალური ღირებულება არის საფასური, რომელიც მიიღება აქტივის გაყიდვისას ან გადაიხდება ვალდებულების გადასაცემად ორგანიზებულ ოპერაციაში საბაზრო მონაწილეებს შორის შეფასების დღეს, ან ასეთის არ არსებობის შემთხვევაში იმ ბაზრის მიხედვით რომელზეც აქვს წვდომა კომპანიას და ყველაზე ხელსაყრელია მოცემული თარიღისათვის. როცა შესაძლებელია, ინსტრუმენტის რეალურ ღირებულებას კომპანია განსაზღვრავს მოცემული ინსტრუმენტის მოქმედ ბაზარზე კოტირებული ფასით. ბაზარი მოქმედად ითვლება, თუ აქტივებისა და ვალდებულებების ოპერაციები მიმდინარეობს საკმარისი სიხშირითა და მოცულობით, რათა უზრუნველყოს ინფორმაცია ფასების თაობაზე მუდმივ რეჟიმში. თუ მოქმედ ბაზარზე არ არსებობს კოტირებული ფასი, კომპანია რეალურ ღირებულებას განსაზღვრავს შეფასების მეთოდების გამოყენებით. შერჩეული შეფასების მეთოდი მაქსიმალურად იყენებს დაკვირვებად საბაზრო მონაცემებს, მინიმალურად ეყრდნობა არასაბაზრო მონაცემებს და ითვალისწინებს ყველა იმ

ფაქტორს, რომლებსაც ბაზრის მონაწილეები ფასის დადგენისას მიიღებდნენ მხედველობაში. თავდაპირველი აღიარებისას ამა თუ იმ ფინანსური ინსტრუმენტის რეალური ღირებულების საუკეთესო მტკიცებულება არის გარიგების ფასი, ანუ გადახდილი ან მიღებული საკომპენსაციო თანხის რეალური ღირებულება. თუ კომპანია გადაწყვეტს, რომ რეალური ღირებულება თავდაპირველი აღიარებისას განსხვავდება გარიგების ფასისგან და რეალური ღირებულება არ დასტურდება იდენტური აქტივის ან ვალდებულების მოქმედ ბაზარზე არსებული კოტირებული ფასით, ასევე, ეს ღირებულება არ ეფუძნება შეფასებას ისეთი მეთოდის საფუძველზე, რომლის ცვლადებიც მოიცავენ მხოლოდ დაკვირვებადი ბაზრების მონაცემებს, ასეთ შემთხვევაში ფინანსური ინსტრუმენტი თავდაპირველად შეფასდება რეალური ღირებულებით, რომელიც დაკორექტირდება სხვაობით ამ ღირებულებასა და გარიგების ღირებულებას შორის. ნებისმიერი სხვაობა ამ ღირებულებასა და შეფასების მეთოდით მიღებულ თავდაპირველ ღირებულებას შორის მოგვიანებით სათანადო წესით აღიარდება მოგებაში ან ზარალში, ინსტრუმენტის სასიცოცხლო ვადის განმავლობაში, მაგრამ არაუგვიანეს იმ დროისა, როცა შეფასება მთლიანად ეყრდნობა დაკვირვებადი ბაზრის მონაცემებს ან როდესაც გარიგება დაიხურება. კომპანია ადგენს რეალურ ღირებულებას შემდეგი იერარქიის გამოყენებით, რომელიც ასახავს შეფასების გაკეთებისას გამოყენებული მონაცემების მნიშვნელობას: დონე 1: კოტირებული საბაზრო ფასი (კორექტირების გარეშე) მოქმედ ბაზარზე ანალოგიური ფინანსური ინსტრუმენტისთვის; დონე 2: მონაცემები გარდა იმისა, რაც შედის პირველ დონეში და რომლებიც თვალსაჩინოა როგორც პირდაპირ (ფასები), ასევე ირიბად (ფასებისაგან წარმოებული). ეს კატეგორია მოიცავს ინსტრუმენტებს, რომლებიც ფასდება შემდეგი მონაცემების გამოყენებით: მოქმედ ბაზრებზე კოტირებული საბაზრო ფასები მსგავსი ფინანსური ინსტრუმენტებისთვის; კოტირებული ფასები მსგავსი ინსტრუმენტებისთვის, რომლებიც ნაკლებად აქტიურად მიიჩნევა; ან შეფასების სხვა მეთოდები, რომლის ფარგლებშიც ყველა მნიშვნელოვანი მონაცემი არის პირდაპირ ან ირიბად თვალსაჩინო, საბაზრო მონაცემებიდან გამომდინარე; დონე 3: არათვალსაჩინო მონაცემები. აღნიშნული კატეგორია მოიცავს ყველა ინსტრუმენტს, რომლის ფარგლებში შეფასების მეთოდიცა მოიცავს მონაცემებს, რომლებიც არ ეყრდნობიან თვალსაჩინო მონაცემებს და არათვალსაჩინო მონაცემები მნიშვნელოვან გავლენას ახდენენ ინსტრუმენტის შეფასებაზე. აღნიშნული კატეგორია მოიცავს ინსტრუმენტებს, რომელთა შეფასება ხდება მსგავსი ინსტრუმენტებისთვის კოტირებული ფასების საფუძველზე, რომლის ფარგლებში მნიშვნელოვანი არათვალსაჩინო კორექტირებები ან დაშვებებია საჭირო, რათა აისახოს სხვაობები ინსტრუმენტებს შორის. რეალური ღირებულების შეფასება, რომელიც გამოყენებულია ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული ფინანსური ინსტრუმენტებისთვის - სხვა ინვესტიციები, სავაჭრო და სხვა მოთხოვნები, გაცემული სესხები, სავაჭრო და სხვა ვალდებულებები, საიჯარო ვალდებულებები მოხდა მე-2 და მე-3 იერარქიის საფუძველზე. აღნიშნული იერარქიებისთვის მოხდა დისკონტირებული ფულადი ნაკადების მეთოდის გამოყენებით. რეალური ღირებულების შეფასება არაკოტირებული ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთის მქონე ფინანსური ინსტრუმენტებისთვის მოხდა მოსალოდნელი მომავალი ფულადი ნაკადების საფუძველზე, რომელიც დადისკონტირებულია მიმდინარე საპროცენტო განაკვეთით, რომელიც დამახასიათებელია მსგავსი საკრედიტო რისკის და დაფარვის ვადის მქონე ახალი ფინანსური ინსტრუმენტისთვის. 2024 და 2023 წლების 31 დეკემბერს დასრულებული წლებისთვის არ მომხდარა ცვლილება მე-2 და მე-3 დონის შეფასების იერარქიისთვის გამოყენებულ შეფასების მეთოდოლოგიაში. ფული და ფულის ეკვივალენტების რეალური ღირებულება შეფასებულია პირველი დონის

- კაპიტალის მართვა

კომპანია თავის კაპიტალთან დაკავშირებულ რისკს მართავს იმისათვის, რომ უზრუნველყოს ფუნქციონირებად საწარმოდ დარჩენა და ამავდროულად დაინტერესებული მხარეების უკუგების მაქსიმუმაცია, მოზიდული და საკუთარი კაპიტალის ოპტიმალური ბალანსის დაცვის გზით. კომპანიის მენეჯმენტი რეგულარულად მიმოიხილავს კაპიტალის სტრუქტურას. ზოგადი მიზნები, პოლიტიკა და პროცესები კომპანიის ხელმძღვანელობას გააჩნია საერთო პასუხისმგებლობა კომპანიის რისკების მართვის მიზნებისა და პოლიტიკის განსაზღვრისთვის, ამასთანავე, პასუხისმგებლობის შენარჩუნებასთან ერთად, მიზნებისა და პროცესების ეფექტურად დანერგვისთვის მას დელეგირებული აქვს პროცესების შემუშავებისა და ოპერირების უფლება კომპანიის ფინანსური მხარისთვის. კომპანიის მენეჯმენტი ღებულობს ყოველთვიურ ანგარიშგებას კომპანიის ფინანსური მხარისგან, მიმოიხილავს თავიანთი დასახული მიზნებისა და პოლიტიკის შესრულებისათვის განხორციელებული პროცესების ეფექტურობას. კომპანიის მენეჯმენტის მთავარი მიზანი არის დაიცვას კომპანია რისკის მიუღებელი დონისაგან და საშუალება მისცეს მას მიაღწიოს საქმიანობის მიზანს. აღნიშნულ პოლიტიკასთან დაკავშირებული დამატებითი ინფორმაცია მოცემულია ქვემოთ.

- სავალუტო რისკი

სავალუტო რისკი განისაზღვრება, როგორც რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტების ღირებულება მერყევი იქნება სავალუტო კურსის ცვალებადობის გამო. უცხოურ ვალუტაში არსებული ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულება წარმოდგენილია შემდეგნაირად:

დასახელება	31/12/24	31/12/23
ფული აშშ დოლარის საბანკო ანგარიშებზე	არაარსებითი 659USD	არაარსებითი 8USD
ფული ევროს საბანკო ანგარიშებზე	არაარსებითი 39EUR	არაარსებითი 27EUR
ფული რუბლის საბანკო ანგარიშზე	არაარსებითი 2107RUB	არაარსებითი 5101RUB
ფული იუანის საბანკო ანგარიშზე	არაარსებითი 228YUAN	
გადახდილი ავანსები	1,823,555ლ	2,010,977ლ

უცხოურ ვალუტაში რიცხული ფინანსური აქტივების კლასი - ფულადი სახსრები და ექვივალენტები არარსებითი მოცულობისაა და მათთან დაკავშირებული რისკები უმნიშვნელოა.

რაც შეეხება მეორე კლასს - გადახდილი ავანსები, წარმოადგენს საქონლისათვის გადახდილ თანხებს პროფორმა ინვოისებისა და კონტრაქტების საფუძველზე დაფიქსირებული მოსაწოდებელი საქონლის ფასებით და რაოდენობებით (მათი ცვლილების დაუშვებლობით). ამდენად, რისკი სავალუტოდან გადადის საკრედიტო რისკში ხანდაზმულობით ერთ თვემდე, გაუფასურების ნულოვანი თანხით.

- საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი არის ფულადი ზარალის მიღების რისკი დებიტორის ან სხვა კონტრაგენტის მიერ დავალიანების დაუფარავობის შემთხვევაში. კომპანიის საფრთხეს საკრედიტო რისკთან დაკავშირებით განაპირობებს თითოეული მომხმარებლის მახასიათებლები. კომპანიის საკრედიტო რისკი განპირობებულია გადახდილი ავანსებით, სავაჭრო და სხვა მოთხოვნებით და ფული და ფულის ექვივალენტებით (გარდა ნაღდი ფულისა). კომპანია საკრედიტო რისკს მართავს გარკვეული პრინციპების საფუძველზე, რომლებიც ითვალისწინებს ყველა დაუფარავი საკრედიტო თანხის დაფარვის კონტროლს და პრობლემური ფინანსური აქტივების ინტენსიურ მართვას. საკრედიტო რისკის მონიტორინგის მიზნით, კომპანია მომხმარებლებს აერთიანებს მათი ვადაგადაცილების სტატუსის მიხედვით. საკრედიტო რისკის სამართავად კომპანია განიხილავს არის თუ არა დებიტორი სახელმწიფო, დაკავშირებული მხარე ან სხვა იურიდიული პირი. ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულება წარმოადგენს მაქსიმალურ საკრედიტო რისკს (გარდა ნაღდი ფულისა). კომპანია საკრედიტო რისკის მართვის პოლიტიკის ფარგლებში ახორციელებს ფინანსური აქტივების საკრედიტო ხარისხის ანალიზს. სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საკრედიტო ხარისხის ანალიზი 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

დასახელება	31/12/24	31/12/23
მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	13,026,944	11,851,663
სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	80,398	92,543
გადახდილი ავანსები	1,823,555	2,010,977

დებიტორების რეიტინგები დაახლოებით თანაბარია, ამიტომ კომპანია, გამომდინარე თავისი გამოცდილებიდან, არ ახდენს მათ დაყოფას კლასებად და მოსალოდნელ საკრედიტო რისკებს აფასებს ჯგუფურად, დავალიანებათა ხანდაზმულობის მიხედვით:

დასახელება	სულ	ხანდაზმულობა				
	31/12/24	თვემდე	3 თვემდე	180 დღემდე	წლამდე	წელზე მეტი
მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	13,026,944	7,660,525	4,320,200	760,042	84,511	201,666
სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	80,398		6,098		74,300	0
გადახდილი ავანსები	1,823,555	1,740,394	83,161			0

ჯამი	14,930,896	9,400,919	4,409,458	760,042	158,811	201,666
გაუფასურება %		0%	5%	15%	50%	100%
გაუფასურება თანხა	615,550	0	220,473	114,006	79,406	201,666

ამდენად, წმინდა მოთხოვნების ოდენობა შეადგენს 12,411,393 ლ-ს.

იგივე გაანგარიშება შესაღარიისი პერიოდისათვის:

დასახელება	სულ	ხანდაზმულობა				
	31/12/23	თვემდე	3 თვემდე	180 დღემდე	წლამდე	წელზე მეტი
მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	11,851,663	6,480,897	4,511,824	660,811	101,616	96,515
სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	92,543		92,543			0
გადახდილი ავანსები	2,010,977	1,804,225	206,752			0
ჯამი	13,955,183	8,285,122	4,811,119	660,811	101,616	96,515
გაუფასურება %		0%	5%	15%	50%	100%
გაუფასურება თანხა	487,001	0	240,556	99,122	50,808	96,515

- ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკში იგულისხმება საკმარისი ფინანსური რესურსის არსებობა, რათა მოხდეს ფინანსური ვალდებულებების დაფარვა შესაბამის ვადაში. ლიკვიდურობის რისკის მართვისთვის ხელმძღვანელობა ახორციელებს სისტემატიურ ზედამხედველობას მოსალოდნელ მომავალ ფულად ნაკადებზე, რომელიც წარმოადგენს აქტივებისა და ვალდებულებების მართვის პროცესის ნაწილს. კომპანია ახდენს ლიკვიდურობის რისკების კონტროლს ვადიანობის ანალიზის მიხედვით და განსაზღვრავს კომპანიის სტრატეგიას მომავალი ფინანსური პერიოდისთვის. ქვემოთ ცხრილში მოცემულია ჯგუფის ფინანსური ვალდებულებების დაფარვის ვადების ანალიზი. ლიკვიდურობის ანალიზი 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

	1 წლამდე	5 წლამდე	5 წ-ზე მეტი
მიმდინარე ვალდებულებები მოწ. და მომს.	1,123,247		
საგადასახადო ვალდებულებები	300,689		
გადასახდელი ხელფასები	105,978		
სხვა მიმდინარე ვალდებულებები	700		
გრძელვადიანი საიჯარო ვალდებულებები		584,707	
გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები			3,501,658

იგივე 2022 წლის 31 დეკ მდგომარეობით:

	1 წლამდე	5 წლამდე	5 წ-ზე მეტი
მიმდინარე ვალდებულებები მოწ. და მომს.	1,101,010		
საგადასახადო ვალდებულებები	73,032		
გადასახდელი ხელფასები			
სხვა მიმდინარე ვალდებულებები	98,555		
გრძელვადიანი საიჯარო ვალდებულებები		769,561	
გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები			2,913,563

ფული და ფულის ექვივალენტები 0,22 მლნ ლ, მარაგები 5,1 მლნ ლ, ავანსების შესაბამისად მარაგების მოსალოდნელი მატება 1,8 მლნ ლ-ით და ანაზღაურებადი მოკლევადიანი მოთხოვნები, შეფასებული 12,4 მლნ ლ-ად. კომპანიას საფუძველა აძლევს მიაჩნდეს, რომ აქვს საკმარისი ლიკვიდობა, შეასრულოს მიმდინარე ვალდებულებები.

6. ა1 ფული და ფულის ეკვივალენტები

	31/12/2024	31/12/2023
--	------------	------------

1110 ნაღდი ფული ეროვნულ ვალუტაში	8,998.11	1,991.97
1120 ნაღდი ფული უცხოურ ვალუტაში	78,654.80	140.25
1210 ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში	133,254.15	188,575.48
1220 უცხოური ვალუტა რეზიდენტ ბანკში	1,980.49	1.74
ჯამი	222,888	190,710

ფულის და ფულის ეკვივალენტების საბალანსო ღირებულება შეესაბამება მათ რეალურ ღირებულებას. დამატებითი ინფორმაცია ფულის და ფულის ეკვივალენტების შესახებ იხილეთ მე-5 შენიშვნაში.

ა2. მოკლევადიანი მოთხოვნები

დასახელება	31/12/24	31/12/23
მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	13,026,944	11,851,663

დამატებითი ინფორმაცია სავაჭრო და სხვა მოთხოვნების შესახებ იხილეთ მე-5 შენიშვნაში.

ა4. მარაგები

დასახელება	31/12/24	31/12/23
სასაქონლო მატერიალური მარაგი	5,127,402	4,966,004

კომპანიამ წლის ბოლოს გადახედა მარაგს, რათა შეეფასებინა უმცირესი ღირებულებით თვითღირებულებასა და შესაძლო სარეალიზაციო ღირებულებას შორის. ვადაგასული და გასაყიდად გაუვარგისებული საქონლის არაარსებითი რაოდენობის გამო კორექციის საჭიროება არ დამდგარა.

ა5. გადახდილი ავანსები.

დასახელება	31/12/24	31/12/23
გადახდილი ავანსები	1,823,555	2,010,977

საქონლის შესყიდვა უცხოელი მომწოდებლებისაგან უმეტეს წილად ხდება წინასწარი ანგარიშსწორებით. ამ სახის მოთხოვნები მოკლევადიანია და დამატებითი ინფორმაცია სავაჭრო და სხვა მოთხოვნების შესახებ იხილეთ მე-5 შენიშვნაში.

ა6. ძირითადი საშუალებები და მიწის ნაკვეთები

	საწყისი ნაშთი			საანგარიშო პერიოდი			საანგარიშო პერიოდის ბოლოს		
	ისტორიული ღირებულება	აკუმულირებული ცვლათა	საბალანსო ღირებულება	შემოსვლა	გასვლა	ცვლათა	ისტორიული ღირებულება	აკუმულირებული ცვლათა	საბალანსო ღირებულება
მიწის ნაკვეთები				700,000			700,000		700,000
დაუმთავრებელი მშენებლობა				639,862			639,862		639,862
შენობები	151,704	23,925	127,779			4,585	151,704	28,510	123,194
ნაგებობები									
მანქანა-დანადგარები	333,083	156,405	176,678	136,885		67,710	469,968	224,115	245,853
ოფისის აღჭურვილობა	107,305	86,757	20,548	15,915		6,966	123,220	93,723	29,497

ავეჯი და სხვა ინვენტარი	35,656	34,656	1,000			92	35,656	34,748	909
სატრანსპორტო საშუალებები	812,516	508,275	304,241	612,153	46,633	200,939	1,378,036	709,213	668,822
იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	20,929	20,929	0				20,929	20,929	0
	1,461,193	830,947	630,247	2,104,815	46,633	280,292	3,519,375	1,111,239	2,408,137

სასარგებლო სამსახურის ვადები განსაზღვრულია შემდეგი ხანგრძლივობით:

ნაგებობები: 20 წელი;

შენობები: 50 წელი;

სატრანსპორტო საშუალებები - 10 წელი;

ავეჯი - 10 წელი;

საოფისე კომპიუტერული ტექნიკა და პერიფერია - 5 წელი;

შესადარის პერიოდში ძირითადი საშუალებების მონაცემებია:

შესადარის პერიოდი	მიწა და შენობა-ნაგებობები	მანქანა-დანადგარები	სატრანსპორტო საშუალებები	ავეჯი და მოწყობილობა	საოფისე აღჭურვილობა	იჯარით აღებული ქონება და სხვა აქტივები
<u>ისტორიული ღირებულება</u>						
შესადარის პერიოდის ნაშთი	151,704	198,440	658,701	35,656	98,716	20,929
დამატება		134,644	192,638		8,589	
გასვლა			-38,823			
ნაშთი პერიოდის ბოლოს	151,704	333,083	812,516	35,656	107,305	20,929
<u>ცვეთა და გაუფასურება</u>						
შესადარის პერიოდის ნაშთი (აკუმ ცვეთა 1/1/23-ის მდგომ)	19,340	109,244	449,447	34,312	79,497	20,929
წლის ხარჯი/დარიცხვა	4,585	47,162	95,651	344	7,260	
გაუფასურება						
გასვლა			-36,823			
ნეტო საბალანსო ღირებულება პერიოდის ბოლოს	127,779	176,678	304,241	1,000	20,548	0

ა7. გრძელვადიანი იჯარა, აქტივის გამოყენების უფლება და გრძელვადიანი საიჯარო ვალდებულება

ა) აქტივების გამოყენების უფლებების ცვეთის ხარჯი საიჯარო აქტივის კლასის შესაბამისად;	164,994	206,242
ბ) საიჯარო ვალდებულებებთან დაკავშირებული საპროცენტო ხარჯი;	78,068	95,590
გ) მე-6 პუნქტის გამოყენებით აღრიცხულ მოკლევადიან იჯარასთან დაკავშირებული ხარჯი. ეს ხარჯი არ უნდა მოიცავდეს ისეთ იჯარასთან დაკავშირებულ ხარჯს, რომლის ვადაა არაუმეტეს ერთი თვე	-	

დ) მე-6 პუნქტის გამოყენებით აღრიცხული ხარჯი, რომელიც დაკავშირებულია დაბალი ღირებულების მქონე აქტივების იჯარასთან. ეს ხარჯი არ უნდა მოიცავდეს დაბალი ღირებულების მქონე აქტივების ისეთ მოკლევადიან იჯარასთან დაკავშირებულ ხარჯს, რომელიც მითითებულია 53(გ) პუნქტში;	-	
ე) ცვლად საიჯარო გადახდებთან დაკავშირებული ხარჯი, რომელიც გათვალისწინებული არ იყო საიჯარო ვალდებულებების შეფასებაში;	-	
ვ) შემოსავალი, რომელიც მიღებულია გამოყენების უფლების აქტივების ქვეიჯარიდან;	-	
ზ) იჯარასთან დაკავშირებით საწარმოდან გასული ფულადი ნაკადების ჯამური თანხა;	275,050	261,650
თ) აქტივების გამოყენების უფლებების მატება;		890,876
ი) შემოსულობა და ზარალი, რომელიც მიღებულია უკუიჯარის პირობით გაყიდვის ოპერაციებიდან; და	-	
კ) აქტივების გამოყენების უფლებების საბალანსო ღირებულება საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, საიჯარო აქტივის კლასის შესაბამისად.	659,975	824,969

კომპანიის საიჯარო ხელშეკრულებები მოიცავს საოპერაციო საქმიანობისთვის განკუთვნილ სასაწყობო ფართების იჯარას. იჯარების სახელშეკრულებო პერიოდი ზოგ ხელშეკრულებაში მითითებულია გარკვეული ვადით, ავტომატური გაგრძელების შესაძლებლობით და ამიტომ შეფასებულია 5 წლით გასული პერიოდების გამოცდილების გათვალისწინებით. საიჯარო გადასახდელები ნომინირებულია ლარში და დოლარში. გამარტივებული მიდგომის სახით კომპანია პორტფელურად აღრიცხავს მსგავსი მახასიათებლების მქონე საიჯარო ხელშეკრულებებს, რადგან ვარაუდობს რომ ხელშეკრულებების პორტფელთან მიმართებით სტანდარტის გამოყენების გავლენა ფინანსურ ანგარიშგებაზე არსებითად განსხვავებული არ არის პორტფელის შემადგენელი ცალკეული ხელშეკრულების მიმართ მისი გამოყენების შედეგისგან. ხელშეკრულებების პორტფელის მიხედვით აღრიცხვისას, კომპანია იყენებს ისეთ შეფასებებსა და დაშვებებს, რომლებიც ასახავს პორტფელის სიდიდესა და შემადგენლობას.

აქტივის გამოყენების უფლება წარმოდგენილია შემდეგნაირად:

დასახელება	31/12/23	დარიცხული ცვტა	31/12/24
აქტივის გამოყენების უფლება	824,969	164,994	659,975

საიჯარო ვალდებულებები წარმოდგენილია შემდეგნაირად:

დასახელება	31/12/23	ვალდ შემცირება	31/12/24
გრძელვად საიჯარო ვალდ-ბი	769,561	184,854	584,707

იჯარას მოდიფიკაცია არ განუცდია

კომპანია უმეტესი იჯარის შემთხვევაში აღიარებს აქტივის გამოყენების უფლების სახით არსებულ აქტივს და საიჯარო ვალდებულებას. აქტივების გამოყენების უფლება აღიარებულია საიჯარო ვალდებულებების ტოლი თანხით შესწორებული წინასწარი გადახდებით და დარიცხული ვალდებულებით. საიჯარო ვალდებულებები აღიარებულია მომავალი საიჯარო გადასახდელების ზღვრული სასესხო განაკვეთით დისკონტირებული ღირებულებით. ზღვრული სასესხო განაკვეთი არის საპროცენტო განაკვეთი, რომლის გადახდაც მსგავს ეკონომიკურ გარემოში მოუწევდა მოიჯარეს აქტივების გამოყენების უფლების ღირებულების მსგავსი ღირებულების აქტივის მოსაპოვებლად საჭირო სესხით სარგებლობისთვის,

რომელსაც მსგავსი ვადა და უზრუნველყოფა ექნებოდა. დოლარში არსებულ საიჯარო ხელშეკრულებებზე წლიური 8,3% - 10,1% და ლარში არსებულ საიჯარო ხელშეკრულებებზე - 8%-12%.

ა8. არამატერიალური აქტივები

	საწყისი ნაშთი			საანგარიშო პერიოდი			საანგარიშო პერიოდის ბოლოს		
	ისტორიული ღირებულება	აკუმულირებული ცვლათა	საბალანსო ღირებულება	შემოსვლა	გასვლა	ცვლათა	ისტორიული ღირებულება	აკუმულირებული ცვლათა	საბალანსო ღირებულება
2510 ლიცენზიები	1,875	563	1,313			188	1,875	750	1,125
2530 პატენტები	63,336	55,590	7,746	1,987		6,532	65,323	62,122	3,201
2590 სხვა არამატერიალური აქტივები	35,811	36,126	-316	1,396			37,207	36,126	1,080
	101,021	92,278	8,743	3,383		6,720	104,404	98,998	5,406

ა9. მოკლევადიანი ვალდებულებები

დასახელება	31/12/24	31/12/23
მიმდინარე ვალდებულებები მოწ. და მომს.	1,123,247	1,101,010

ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული სავაჭრო (ვალდებულებები საქონლის მოწოდებიდან) ფინანსური ვალდებულებების საბალანსო ღირებულება უახლოვდება სამართლიან ღირებულებას მათი მოკლევადიანი ხასიათის გამო.

ა10, ა11 ა12 საგადასახადო, სახელფასო და სხვა მიმდინარე ვალდებულებები

დასახელება	31/12/24	31/12/23
საგადასახადო ვალდებულებები	300,689	73,032
გადასახდელი ხელფასები	105,978	
სხვა მიმდინარე ვალდებულებები	700	98,555

წარმოადგენს უკიდურესად მოკლევადიანი ხასიათის ვალდებულებებს, დაფარულს საანგარიშო პერიოდის დასრულებიდან უმოკლეს ვადაში.

ა13. გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები

დასახელება	31/12/24	31/12/23
გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები	3,501,658	2,913,563

წარმოადგენს დამფუძნებლის მიმართ 5 წლიან სასესხო ვალდებულებას.

ა14. კაპიტალი

	საწესდებო კაპიტალი	მოგება ან/და ზარალი	სულ კაპიტალი
	ბალანსი 31.12.2022 მდგომარეობით	14,689,936	14,689,936
2023			

	წმინდა მოგება პერიოდში	2,326,444	
	გადახდილი დივიდენდი	-1,396,105	
	საწესდებო კაპიტალის ზრდა/კლება		
	სააღრიცხვო შეფასების ცვლილება		
	ბალანსი 31.12.2023 მდგომარეობით	15,620,275	15,620,275
2024	წმინდა მოგება პერიოდში	2,746,850	
	გადახდილი დივიდენდი	-629,400	
	საწესდებო კაპიტალის ზრდა/კლება		
	სააღრიცხვო შეფასების ცვლილება		
	ბალანსი 31.12.2024 მდგომარეობით	17,737,725	17,737,725

კაპიტალი გაზრდილია საანგარიშო პერიოდის წმინდა მოგებით, შემცირებულია გამოცხადებული და გაცემული დივიდენდებით. სხვა ცვლილებები არ განხორციელებულა.

ბ1.1 ბ1.2 შემოსავლები საქონლის რეალიზაციიდან, სხვა საოპერაციო შემოსავლები

დასახელება	2024 წ	2023 წ
(ბ1.1) შემოსავალი საქონლის რეალიზიციიდან	53,084,947	48,683,247
(ბ1.2) სხვა საოპერაციო შემოსავლები	47,940	51,313

რეალიზებული საქონელი არის შაქარი, ზეთი, ფქვილი, ბურღულეული, ბაკალეა, გაყიდული პრაქტიკულად მთლიანად საბითუმო პარტიებით, პრესეილის მეთოდით. სხვა საოპერაციო შემოსავლებია საოფისე და სასაწყობე ფართების იჯარები.

ბ1.3 სხვა არასაოპერაციო შემოსავლები

დასახელება	2024 წ	2023 წ
სხვა არასაოპერაციო შემოსავლები	45,407	13,757

პროცენტები დაერიცხა ბანში არსებულ ნაშთებს, რომლებიც განთავსდა მაღალპროცენტიანი ანაბრების ან ანაბრებთან გათანაბრებული ტიპის ანგარიშებზე.

ბ2.1 რეალიზებული საქონლის ღირებულება (საქ რეალიზაციის შემოსავალთან და საერთო მოგებასთან ერთად)

დასახელება	2024 წ	2023 წ
შემოსავალი საქონლის რეალიზიციიდან	53,084,947	48,683,247
რეალიზებული საქონლის თვითღირებულება	-45,344,377	-42,210,665
საერთო მოგება	7,740,569	6,472,582

ბ2.3 ადმინისტრაციული და ზედნადები ხარჯები

დასახელება	2024 წ	2023 წ

შრომის ანაზღაურება	-2,716,329	-2,471,040
საწვავის ხარჯი	-280,688	-256,020
აგუ ცვეთა	-164,994	-206,242
რემონტი	-135,999	-151,659
დაზღვევის ხარჯი	-1,022	-18,260
ცვეთა და ამორტიზაცია	-287,012	-155,001
სხვა საერთო ხარჯი	-217,841	-98,250
გეზის ხარჯი	-106,393	-96,727
აგუ საპროცენტო ხარჯი	-78,068	-95,590
საეჭვო მოთხოვნ. დაკავშირებული ხარჯები		-15,014
აუდიტის ხარჯი	-12,871	-11,250
კომუნიკაციის ხარჯები	-30,013	-8,164
ტრანსპორტირებისა და შენახვის ხარჯები		-3,970
საგადასახადო ხარჯები	-123,299	-5,820
საგადასახადო ზარალი (ჯარიმა)	-692	-3,084
კონვერტაციის ხარჯები	-106,038	
სხვა საოპერაციო ხარჯი	-4,626	
ჯამი	-4,265,884	-3,596,093

ბ2.4 სხვა არასაოპერაციო ხარჯები

დასახელება	2024 წ	2023 წ
სხვა არასაოპერაციო ხარჯები	-223,103	-88,244

საპროცენტო და სხვა მცირე არასაოპერაციო ხარჯები

ბ2.5 სხვა სრული შემოსულობები და ხარჯები

დასახელება	2024 წ	2023 წ
სხვა სრული შემოსულობები და ხარჯები	-74,625	-77,608

წარმოადგენს ვალუტის კურსის ცვლილებით გამოწვეულ მონეტარული ანგარიშების წარსადგენ ვალუტაში გადაფასების შედეგს.

2024 და 2023 წლების 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის აუდიტორულ კომპანიაზე გაწეული წლიური ფინანსური ანგარიშების აუდიტის მომსახურების ღირებულება შეადგენს 17 და 15 ათას ლარს, შესაბამისად.

23. პირობითი ვალდებულებები

სასამართლო დავები.

კომპანიას არ ქვს მიმდინარე სასამართლო დავა

გადასახადები

კომპანიას მიაჩნია, რომ ყველა გადასახადი გაანგარიშებული და დეკლარირებული აქვს ზუსტად და ღრულად. ამიტომ არანაირი ანარიცხი არ წარადგინა ფინანსურ ანგარიშგებაში.

თავდებობა

კომპანია თავდებში არ უდგას არავის.

24. დაკავშირებული მხარეები

კომპანიის დაკავშირებული მხარეები არიან: დამფუძნებელი პარტნიორები, დირექტორი, შვილობილი და მეკავშირე საწარმოები. დაკავშირებული მხარის იდენტიფიკაციისათვის გაითვალისწინება არა მხოლოდ წმინდა იურიდიული მხარე, არამედ მისი შინაარსი. კომპანიას დაკავშირებულ მხარეებთან სავაჭრო, სასესხო ან სხვა მოთხოვნა-ვალდებულებები არ აქვს, არ აქვს არსებითი ოპერაციებიც, გარდა დირექტორის ხელფასისა. ყველა სხვა მაჩვენებელი განმარტებულია შესაბამის შენიშვნაში.

დირექტორი: ირაკლი ციხისთავი, 20001018110

პარტნიორი: კობა კურდელაშვილი, 01005002328 100 ცალი, 100% წილი

25. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო წლის შემდეგ კომპანიაში მნიშვნელოვან მოვლენებს ადგილი არ ჰქონია.

დირექტორი:
29/9/2025

ირაკლი ციხისთავი

შპს „ალფა“ (ს/ნ 401943929) ინდივიდუალური ფინანსური და
მმართველობის ანგარიშგება,
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა
2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

სარჩევი

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა	2
მმართველობის ანგარიშგება	5
ფინანსური ანგარიშგება	
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	8
მოგების ან/და ზარალის და სხვა სრული შემოსულობების ანგარიშგება	9
ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება	10
კაპიტალის მოძრაობის ანგარიში	11
ფინანსურ მდგომარეობასთან არსებული განმარტებითი შენიშვნები	12

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა
შპს ალფას (ს/6 401943929) 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
დასრულებული საანგარიშო პერიოდის ინდივიდუალური ფინანსური და მმართველობის
ანგარიშგების შედეგების შესახებ

აუდიტორის მოსაზრება ფინანსურ ანგარიშგებაზე

ჩვენ ჩავატარეთ შპს ალფას (401943929) (შემდგომში „კომპანია“) ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც მოიცავს 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით დასრულებული საანგარიშგებო პერიოდის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას, აღნიშნული თარიღით დასრულებული წლის მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებას, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებას, ფულადი ნაკადების მოძრაობის შესახებ ანგარიშგებას და ფინანსურ ანგარიშგებაზე დართულ განმარტებით შენიშვნებს, მათ შორის მნიშვნელოვანი საადრიცხვო პოლიტიკების მოკლე მიმოხილვას.

ჩვენი აზრით თანდართული ფინანსური ანგარიშგება უტყუარად და სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას მის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად და სათანადოდ მომზადდა ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად;

მოსაზრების საფუძველი

ჩვენ ჩავატარეთ აუდიტი აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობები დეტალურად აღწერილია ჩვენი ანგარიშის - „აუდიტორთა პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“ ნაწილში. ჩვენ დამოუკიდებელი ვართ კომპანიისგან ბუღალტრთა ეთიკის სტანდარტების საერთაშორისო საბჭოს „პროფესიონალ ბუღალტრთა ეთიკის კოდექსის“ (IESBA კოდექსი) შესაბამისად და შევასრულეთ ჩვენი სხვა ეთიკური ვალდებულებები, მოცემული მოთხოვნების თანახმად. დარწმუნებული ვართ, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

ჩვენი ანგარიშის გამოყენება

წინამდებარე ანგარიში მასში მოცემული მოსაზრების ჩათვლით, მომზადდა მხოლოდ კომპანიის ხელმძღვანელობისათვის და არა სხვა მიზნებისთვის. აღნიშნული მოსაზრების გამოთქმით ჩვენ არ ვიღებთ პასუხისმგებლობას რომელიმე სხვა მიზნისთვის ან რომელიმე სხვა პირის წინაშე, ვისაც აღნიშნული ანგარიში შეიძლება წარედგინოს, ან ვის ხელშიც ის შეიძლება აღმოჩნდეს გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც აღნიშნული ცალსახად, წინასწარ იყო შეთანხმებული წერილობითი ფორმით.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა ფინანსურ და მმართველობის ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური და მმართველობის ანგარიშგებების მომზადებასა და უტყუარად და სამართლიანად წარდგენაზე მის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, ასევე ისეთ შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება შეაფასოს კომპანიის ფუნქციონირებადობის უნარი და აუცილებლობის შემთხვევაში გაასაჯაროვოს ინფორმაცია, რომელიც დაკავშირებულია საწარმოს ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არ

აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის ანგარიში, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ყველა არსებით უზუსტობას, რომლებიც შეიძლება არსებობდნენ.

უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაეყრდნობიან მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებას.

ასს-ების შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. გარდა ამისა, ჩვენ:

ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ, ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას;

ჩვენ შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე;

ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებულ საადრიცხვო პოლიტიკის მიზანშე- წონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრულ საადრიცხვო შეფასებების დასაბუ- თებულობასა და შესაბამისი ინფორმაციის გასაჯაროებას;

დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა კომპანიის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის ანგარიშში ყურადღების გამახვილება ფინანსურ ანგარიშგებაში შესაბამის ინფორმაციის გასაჯაროებას, ან, თუ ამგვარი გასაჯაროებული ინფორმაცია ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის ანგარიშის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება კომპანია უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო;

ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, ინფორმაციის გასაჯაროებას და ასევე, ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს, სხვა საკითხებთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

ანგარიში სხვა საკანონმდებლო და მარეგულირებელ მოთხოვნებზე

ჩვენი ვალდებულებაა ჩატარებული პროცედურების საფუძველზე გამოვთქვათ მოსაზრება 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით დასრულებული საანგარიშგებო პერიოდის მმართველობის ანგარიშგების „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, ამავე მუხლის მე-3, მე-6 და მე-10 პუნქტების მოთხოვნებთან შესაბამისობაზე და არსებითი უზუსტობების შემთხვევაში მივუთითოთ მათ არსზე, ასევე განვაცხადოთ მმართველობის ანგარიშგებაში კანონით განსაზღვრული რაიმე ინფორმაციის წარმოუდგენლობის შესახებ.

მოსაზრება მმართველობის ანგარიშგებაზე

ჩვენი აზრით კომპანიის 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით დასრულებული საანგარიშგებო პერიოდის მმართველობის ანგარიშგების კანონით განსაზღვრული ნაწილები შეესაბამება კანონის მოთხოვნებს ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით.

კონსტანტინე ჭანტურიძე

რეგისტრირებული აუდიტორი,

ინდ. რეგ. ნომ. № SARAS-A-768413

შპს ბიზნეს კონსალტინგის (სკ 402191953, გუდიტორული ფირმის სარეგ. ნომ: SARAS-F-604338) სახელით



29 სექტემბერი 2025 წ.

**მმართველობის ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული პერიოდისათვის
შპს ალფა ს/კ 401943929**

საქმიანობის განვითარება, შედეგებისა და მდგომარეობის აღწერა, საზოგადოების განვითარების გეგმა

კომპანიის საქმიანობის ძირითადი მიმართულებებია საკვები პროდუქტების: ბურღულეულის, მაკარონის, სუფრის მარილის, საკვები ცხიმების, შაქრის იმპორტი, მსხვილი საბითუმო რეალიზაცია, დისტრიბუცია.

კომპანიის მიერ დაკავებული ბაზრის წილი ძირითად მიმართულებებზე 20-25%-ის ფარგლებშია.

კომპანიის საქმიანობის ძირითადი მარეგულირებელი დოკუმენტებია:

- საქართველოს საგადასახადო კოდექსი;
- საბაჟო კოდექსი;
- საქართველოს კანონი „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“;
- საქართველოს კანონი „სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის კოდექსი“;
- საქართველოს კანონი „პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი“;
- საქართველოს კანონი „სურსათად/ცხოველის საკვებად განკუთვნილი გენეტიკურად მოდიფიცირებული ორგანიზმებისა და მათგან წარმოებული გენმოდიფიცირებული პროდუქტის ეტიკეტირების შესახებ“;
- საქართველოს მთავრობის 2018 წლის 5 ივნისის დადგენილება №317-„მოთხოვნები სურსათთან შეხებისათვის განკუთვნილი მასალებისა და საგნების მიმართ“;
- საქართველოს მთავრობის 2016 წლის 1 ივლისის დადგენილება №301-„ტექნიკური რეგლამენტის - მომხმარებლისათვის სურსათის შესახებ ინფორმაციის მიწოდების თაობაზე დამტკიცების შესახებ“;
- სხვა ნორმატიული აქტები.

კომპანია საქონელს საბითუმოდ (მათ შორის წვრილი საბითუმო პარტიებით) ყიდის საქართველოს მთელ ტერიტორიაზე, აგრეთვე ახორციელებს ექსპორტს მცირე რაოდენობით.

ინფორმაცია კომპანიის ობიექტების შესახებ: კომპანიის იურიდიული მისამართია თბილისი, თევდორე მღვდლის #53. შენობები ხელახლა გადაინომრა და ახალი ნუმერაციით შენობას მიენიჭა N55. აღნიშნულ მისამართზე მდებარეობს კომპანიის ძირითადი საწყობი და ადმინისტრაციული ოფისი. დაქირავებულ ფართებში დასაწყობებულია საქონელი თბილისში, ბათუმსა და ქუთაისში.

კვლევების სფეროში საანგარიშგებო პერიოდში რაიმე სამუშაო არ ჩატარებულა.

**საქმიანობის ძირითადი მაჩვენებლები
ფინანსური მაჩვენებლები**

კომპანიის საქმიანობის ბოლო წლების ძირითადი ფინანსური მაჩვენებლები წარმოდგენილია ქვემოთ მოყვანილ ცხრილში

	31/12/24	31/12/23	ზრდა / კლება	
მიმდინარე აქტივები	20,281,185	19,111,898	6%	↑
გრძელვადიანი აქტივები	3,073,518	1,464,099	110%	↑
სულ აქტივები	23,354,703	20,575,997	14%	↑
მიმდინარე ვალდებულებები	1,530,613	1,272,597	20%	↑
გრძელვადიანი ვალდებულებები	4,086,364	3,683,124	11%	↑
სულ ვალდებულებები	5,616,978	4,955,721	13%	↑
საწესდებო კაპიტალი				
გაუნაწილებელი მოგება	17,737,725	15,620,275	14%	↑
სულ კაპიტალი	17,737,725	15,620,275	14%	↑
შემოსავალი რელიზაციიდან	53,084,947	48,683,247	9%	↑
რპთ	-45,344,377	-42,210,665	7%	↑
საერთო მოგება	7,740,569	6,472,582	20%	↑

საანგარიშო წელს შემოსავლები გასულ წელთან შედარებით გაუმჯობესებულია როგორც თანხობრივად, ასევე რაოდენობრივად. გაზრდილია საერთო (საოპერაციო) მოგებაც, გაზრდილია ადმინ და ზედნაღები ხარჯები შრომის ანაზღაურების ხარჯზე.

ფინანსური მდგრადობის ძირითადი მაჩვენებლები

მაჩვენებელი	მნიშვნელობა		ცვლილება
	წინა წელი	მიმდინარე წელი	
ავტონომიურობის კოეფიციენტი	0.76	0.77	0.01
ფინანსური ლევერიჯის კოეფიციენტი	0.32	0.31	-0.01
საკუთარი საბრუნავი სახსრებით უზრუნველყოფის კოეფიციენტი	0.74	0.72	-0.02
მუდმივი აქტივების ინდექსი	0.09	0.17	0.07
ინვესტიციის დაფარვის კოეფიციენტი	0.94	0.94	0.00
საკუთარი კაპიტალის მანევრირების კოეფიციენტი	0.91	0.80	-0.11
ქონების მობილობის კოეფიციენტი	0.93	0.87	-0.06
საბრუნავი საშუალებების მობილობის კოეფიციენტი	0.01	0.01	0.00
მარაგის უზრუნველყოფის კოეფიციენტი	2.85	2.86	0.01
მოკლევადიანი დავალიანების კოეფიციენტი	0.26	0.27	0.02

ლიკვიდობის კოეფიციენტები

მაჩვენებელი	მნიშვნელობა	ცვლილება
-------------	-------------	----------

	წინა წელი	მიმდინარე წელი	
მიმდინარე (საერთო) ლიკვიდობის კოეფიციენტი	15.02	15.26	(0.24)
სწრაფი (შუალედური) ლიკვიდობის კოეფიციენტი	11.04	9.85	1.20
აბსოლუტური ლიკვიდობის კოეფიციენტი	0.15	0.15	0.00

ძირითადი რისკები და გაურკვევლობები

საბაზრო რისკი

საბაზრო რისკი არის იმის რისკი, რომ კომპანიის მოგება ან კაპიტალი, ან მისი უნარი, მიაღწიოს ბიზნეს ამოცანებს, გაუარესდება საბაზრო განაკვეთების, ფასების ცვლილების ან მერყეობის შედეგად. საბაზრო რისკი მოიცავს მარჟის განაკვეთის რისკს, სავალუტო რისკს და ფასდაღებასთან დაკავშირებულ სხვა რისკებს, რომელსაც ექვემდებარება კომპანია.

კომპანიის ხელმძღვანელობა აწარმოებს კომპანიის მიმდინარე ფინანსური მდგომარეობის მონიტორინგს, აფასებს მის დამოკიდებულებას მარჟის ცვალებადობის მიმართ და მის ზეგავლენას კომპანიის მომგებიანობაზე.

სავალუტო რისკი

კომპანია ექვემდებარება ძირითადი უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსების რყევის გავლენას მის ფინანსურ მდგომარეობასა და ფულად ნაკადებზე.

ხელმძღვანელობა სავალუტო რისკს აკონტროლებს ლარის გაუფასურების და სხვა მაკროეკონომიკური ინდიკატორების მონიტორინგით, რაც მას აძლევს საშუალებას მინიმუმამდე დაიყვანოს ეროვნულ ვალუტასთან მიმართებაში სავალუტო კურსის ცვალებადობის შედეგად განცდილი დანაკარგები.

საფასო რისკი

საფასო რისკი არის საბაზრო ფასების ცვალებადობის შედეგად შემოსავლების მერყეობის რისკი, მიუხედავად იმისა, აღნიშნული ცვალებადობა გამოწვეულია ინდივიდუალური ფაქტორებით, თუ ბაზარზე არსებული ფაქტორებით. კომპანიაზე გავლენას ახდენს მისი საქონლის საფასო რისკი, რომელიც ექვემდებარება ძირითად და სპეციფიურ საბაზრო რყევებს.

საფასო რისკს პოტენციური დანაკარგების პერიოდული შეფასებით მართავს. აღნიშნული დანაკარგები შესაძლებელია გამოიწვიოს საბაზრო პირობების გაუარესებამ და დანაკარგების შესაჩერებელი შესაბამისი ლიმიტების, მარჟებისა შენარჩუნებამ.

საოპერაციო რისკი

საოპერაციო რისკი წარმოადგენს რისკს, რომელიც წარმოიშობა სისტემის მოშლის, ადამიანური შეცდომის, თაღლითობისა და გარე მოვლენების შედეგად. კონტროლის არარსებობის შემთხვევაში საოპერაციო რისკმა შეიძლება გამოიწვიოს რეპუტაციის გაუარესება, იურიდიული სირთულეები, ფინანსური ზარალი და საქმიანობის შეჩერება. კომპანია ვერ შეამცირებს ყველა საოპერაციო რისკს, მაგრამ უნდა ეცადოს ამ რისკების მართვას კონტროლის გარემოსა და პოტენციური რისკების მონიტორინგისა და მათზე ადეკვატური რეაგირების საშუალებით. კონტროლი გულისხმობს მოვალეობების გადანაწილებას, წვდომის, ავტორიზაციისა და შედარების პროცედურებს, შიდა და გარე აუდიტს, პერსონალის განათლებასა და პროცესების შეფასებას.

დირექტორი:

29/9/2025



ფინანსური მდგომარეობის ანგარიში 2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

ვალუტა: ლარი

დასახელება	31/12/24	31/12/23	შენიშვნა
ფული და ფულის ექვივალენტები	222,888	190,711	ა1
მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	13,026,944	11,851,663	ა2
სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	80,398	92,543	ა3
სასაქონლო მატერიალური მარაგი	5,127,402	4,966,004	ა4
გადახდილი ავანსები	1,823,555	2,010,977	ა5
სულ მიმდინარე აქტივები	20,281,185	19,111,898	
ძირითადი საშუალებები	2,408,137	630,247	ა6
აქტივის გამოყენების უფლება	659,975	824,969	ა7
არამატერიალური აქტივები	5,406	8,884	ა8
სულ გრძელვადიანი აქტივები	3,073,518	1,464,099	
სულ აქტივები	23,354,703	20,575,997	
მიმდინარე ვალდებულებები მოწ. და მომს.	1,123,247	1,101,010	ა9
საგადასახადო ვალდებულებები	300,689	73,032	ა10
გადასახდელი ხელფასები	105,978		ა11
სხვა მიმდინარე ვალდებულებები	700	98,555	ა12
სულ მიმდინარე ვალდებულებები	1,530,613	1,272,597	
გრძელვადიანი საიჯარო ვალდებულებები	584,707	769,561	ა7
გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები	3,501,658	2,913,563	ა13
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები	4,086,364	3,683,124	
სულ ვალდებულებები	5,616,978	4,955,721	
საწესდებო კაპიტალი			
გაუნაწილებელი მოგება	17,737,725	15,620,275	ა14
სულ კაპიტალი	17,737,725	15,620,275	
სულ ვალდებულებები და კაპიტალი	23,354,703	20,575,996	

დირექტორი:

ირაკლი ციხისთავი



მოგების ან/და ზარალის და სხვა სრული შემოსულობების ანგარიში 2024 წლის 31 დეკემბრით
დასრულებული წლისათვის

ვალუტა: ლარი

დასახელება	2024 წ	2023 წ	შენიშვნა
შემოსავალი საქონლის რეალიზიციიდან	53,084,947	48,683,247	ბ1.1
რეალიზებული საქონლის თვითღირებულება	-45,344,377	-42,210,665	ბ2.1
საერთო მოგება	7,740,569	6,472,582	
სხვა საოპერაციო შემოსავლები	47,940	51,313	ბ1.2
მიწოდების ხარჯები	-523,454	-449,263	ბ2.2
ადმინისტრაციული და ზედნადები ხარჯები	-4,265,883	-3,596,093	ბ2.3
საოპერაციო მოგება	2,999,171	2,478,539	
სხვა არასაოპერაციო შემოსავლები	45,407	13,757	ბ1.3
სხვა არასაოპერაციო ხარჯები	-223,103	-88,244	ბ2.4
სხვა სრული შემოსულობები და ხარჯები	-74,625	-77,608	ბ2.5
მოგება დაბეგვრამდე	2,746,850	2,326,445	
მოგების გადასახადი			
წმინდა მოგება	2,746,850	2,326,445	

დირექტორი:

ირაკლი ციხისთავი



შპს ალფა (სკ 401943929)
ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიში 2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული
წლისათვის

ვალუტა: ლარი

საოპერაციო საქმიანობა	31/12/24	31/12/23
მომხმარებლებისაგან მიღებული ფულადი სახსრები	62,811,526	57,539,738
მომწოდებლებზე, თანამშრომლებზე გადახდილი ფულადი სახსრები და გადასახადები	-60,246,689	-56,100,230
საოპერაციო საქმიანობა სულ	2,564,838	1,439,509
საინვესტიციო საქმიანობა		
კაპიტალური დანახარჯები	-2,357,700	-396,325
საინვესტიციო საქმიანობა სულ	-2,357,700	-396,325
საფინანსო საქმიანობა		
გაცემული დივიდენდები	-629,400	-1,326,300
მიღებული/დაბრუნებული სესხები	505,908	-856,010
შენატანები კაპიტალში		
საფინანსო საქმიანობა	-123,492	-2,182,310
ფულადი სახსრების შემოსვლა/გასვლა	83,646	-1,139,126
ვალუტის კურსის ცვლილების გავლენა ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე	-51,469	-52,320
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	190,711	1,382,157
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	222,888	190,711

დირექტორი:

ირაკლი ციხისთავი



შპს ალფა (სკ 401943929)

კაპიტალის მოძრაობის ანგარიში 2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

ვალუტა: ლარი

	საწესდებო კაპიტალი	მოგება ან/და ზარალი	სულ კაპიტალი
	ბალანსი 31.12.2022 მდგომარეობით	14,689,936	14,689,936
2023	წმინდა მოგება პერიოდში	2,326,444	
	გადახდილი დივიდენდი	-1,396,105	
	საწესდებო კაპიტალის ზრდა/კლება საადრიცხვო შეფასების ცვლილება		
	ბალანსი 31.12.2023 მდგომარეობით	15,620,275	15,620,275
2024	წმინდა მოგება პერიოდში	2,746,850	
	გადახდილი დივიდენდი	-629,400	
	საწესდებო კაპიტალის ზრდა/კლება საადრიცხვო შეფასების ცვლილება		
	ბალანსი 31.12.2024 მდგომარეობით	17,737,725	17,737,725

დირექტორი:

ირაკლი ციხისთავი



**შპს „ალფა“ ფინანსურ ანგარიშგებასთან არსებული შენიშვნები 2024 წლის 31 დეკემბრით
დასრულებული წლისათვის**

1. ზოგადი ინფორმაცია

საფირმო სახელწოდება:	შპს ალფა
სამართლებრივი ფორმა:	შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
საიდენტიფიკაციო ნომერი:	401943929
რეგისტრაციის ნომ, თარი:	10/02/2010
მარეგისტრირებული ორგანო:	სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო
იურიდიული მისამართი:	საქართველო, თბილისი, დიდუბის რაიონი, თევდორე მღვდლის ქუჩა, N53

ხელმძღვ./წარმომადგ: დირექტორი ირაკლი ციხისთავი, 20001018110

პარტნიორები:

კობა კურდღელაშვილი, 01005002328 100 ცალი, 100% წილი

ცვლილებები:

საანგარიშო პერიოდში სარეგისტრაციო მონაცემებში ცვლილებები არ განხორციელებულა.

კომპანიის საქმიანობის ძირითადი მიმართულებებია საკვები პროდუქტების: ბურღულეულის, მაკარონის, სუფრის მარილის, საკვები ცხიმების, შაქრის იმპორტი, მსხვილი საბითუმო რეალიზაცია, დისტრიბუცია საქართველოს ტერიტორიაზე. იშვიათ შემთხვევებში ადგილი აქვს საქონლის ექსპორტს. კომპანიის მიერ დაკავებული ბაზრის წილი ძირითად მიმართულებებზე 20-25%-ის ფარგლებშია.

2. მომზადების საფუძველი

მოცემული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების კომიტეტის (ბასკ) მიერ გამოშვებული მსს ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად. ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია კომპანიის საქმიანობის უწყვეტობის საფუძველზე იმ დაშვებით, რომ კომპანია განაგრძობს ფუნქციონირებას პროგნოზირებად მომავალში. კომპანიის ხელმძღვანელობასა და დამფუძნებლებს სურვილი აქვთ განავითარონ კომპანიის საქმიანობა საქართველოში. ხელმძღვანელობასა და დამფუძნებლებს სურვილი აქვთ განავითარონ კომპანიის საქმიანობა საქართველოში. ხელმძღვანელობას სჯერა, რომ უწყვეტობის პრინციპის გამოყენება შესაფერისია კომპანიისთვის. კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს კალენდარულ წელს. ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულებების საფუძველზე. ანგარიშგების სტანდარტის მიხედვით მომზადება კომპანიის ხელმძღვანელობისაგან ითხოვს გარკვეული შეფასებების გაკეთებას, რაც გავლენას იქონიებს აქტივებისა და ვალდებულებების საანგარიშო ღირებულებაზე ანგარიშგების შედგენის თარიღისათვის, ასევე იმოქმედებს შემოსავლისა და ხარჯების ოდენობაზე საანგარიშო პერიოდის განმავლობაში. ფაქტობრივი შედეგები შესაძლოა განსხვავდებოდეს მიმდინარე შეფასებისაგან. შეფასებები პერიოდულად გადაიხედება. კორექტირებები, რამაც სააღრიცხვო შეფასებების ცვლილებები გამოიწვია, მიეკუთვნება იმ პერიოდის ფინანსურ შედეგებს, როცა ეს ცვლილებები მოხდა. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებების შესახებ განმარტებები მოცემულია მე-3 შენიშვნაში. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკა მოცემულია მე-4 შენიშვნაში.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები

კომპანია ახდენს გარკვეული სააღრიცხვო შეფასებებისა და გადაწყვეტილებების შემუშავებას მომავალი პერიოდებისათვის. ისინი შემუშავებულია გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, რომელიც ითვალისწინებს კომპანიის ფუნქციონირებას განსაზღვრული მომავლის პირობებში. ქვემოთ მოყვანილია შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მომდევნო ფინანსურ წელში აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებში არსებითი ცვლილებების რისკის მატარებელია:

ა) ძირითადი საშუალებების და საინვესტიციო ქონების სასარგებლო მომსახურების ვადები - ძირითადი საშუალებების და საინვესტიციო ქონების ცვეთის დარიცხვა ხდება მათი სასარგებლო მომსახურების ვადის მიხედვით. სასარგებლო მომსახურების ვადების განსაზღვრა დამოკიდებულია ხელმძღვანელობის შეფასებებზე. სასარგებლო მომსახურების ვადები პერიოდულად გადაიხედება. შეფასების ცვლილებამ შესაძლოა არსებითი ცვლილება გამოიწვიოს ცალკეულ პერიოდებში საბალანსო ღირებულებასა და სრული შემოსავლის ანგარიშგებაში ასახულ თანხებში.

ბ) ფინანსური აქტივების გაუფასურება - კომპანია ხელმძღვანელობს „მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგების“ (ECL) მოდელით. ეს საჭიროებს მსჯელობას იმის შესახებ თუ როგორ იმოქმედებს ეკონომიკური ფაქტორები ECL მოდელზე, რაც განისაზღვრება შეწონილი ალბათობის საფუძველზე. ზარალის ანარიცხის განსაზღვრა ხდება შემდეგნაირად: ა) 12-თვიანი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი - მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი, რომელიც გამოწვეულია იმ დეფოლტის მოვლენებისგან ფინანსური ინსტრუმენტებზე, რომელთა მოხდენაც შესაძლებელია შემდგომი 12 თვის განმავლობაში. ბ) არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი - მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი, რომელიც გამოწვეულია ყველა შესაძლო დეფოლტის მოვლენისგან, რომელთა მოხდენაც შესაძლებელია ფინანსური ინსტრუმენტის მოსალოდნელი არსებობის მანძილზე. არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასების მოდელი მოქმედებს მაშინ, როდესაც ფინანსური აქტივის საკრედიტო რისკი ანგარიშგების პერიოდისათვის მნიშვნელოვნად გაზრდილია მის თავდაპირველ აღიარებასთან შედარებით, ხოლო თუ არ არის გაზრდილი 12-თვიანი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი. კომპანიას შეუძლია განსაზღვროს რომ ფინანსური აქტივის საკრედიტო რისკი არ გაზრდილა მნიშვნელოვნად, იმ შემთხვევაში თუ აქტივს აქვს დაბალი საკრედიტო რისკი საანგარიშგებო წლისთვის. ზემოაღნიშნული მიდგომა აქვს გამოყენებული კომპანიას გაცემული სესხების გაუფასურების ანალიზისას. არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის მოქმედება ყოველთვის ვრცელდება სავაჭრო და სხვა მოთხოვნებზე. დეტალები სავაჭრო და სხვა მოთხოვნების და გაცემული სესხების გაუფასურების შესახებ იხილეთ მე-4 და მე-5 შენიშვნაში. მომავალ პერიოდთან დაკავშირებული განუსაზღვრელობებიდან გამომდინარე ფაქტობრივი შედეგი შესაძლებელია მნიშვნელოვნად განსხვავდებოდეს იმ შედეგისგან, რომელიც აღრიცხულია ფინანსურ ანგარიშგებაში.

გ) იჯარის ვადა, ზღვრული სასესხო განაკვეთი და საიჯარო გადასახდელები - კომპანია იყენებს მსჯელობას იჯარის ვადის დადგენისას. განიხილავს ყველა სათანადო ფაქტს და გარემოებას, რომელიც მოიქარეს ეკონომიკურ სტიმულს უქმნის, გამოიყენოს იჯარის გაგრძელების უფლება, ან არ გამოიყენოს იჯარის ვადამდე შეწყვეტის უფლება. კომპანია ხელახლა აფასებს, საკმარისად სარწმუნოა თუ არა, რომ ის გამოიყენებს იჯარის გაგრძელების არჩევანის უფლებას, ან არ გამოიყენებს იჯარის ვადამდე შეწყვეტის უფლებას, იმ შემთხვევაში, თუ მოხდება რაიმე მნიშვნელოვანი მოვლენა, ან მნიშვნელოვნად შეიცვლება გარემოებები, რომლებიც: ა) მოიქარის კონტროლს ექვემდებარება; და ბ) გავლენას ახდენს იმის შეფასებაზე, საკმარისად სარწმუნოა თუ არა, რომ მოიქარე გამოიყენებს უფლებას, რომელიც ადრე გათვალისწინებული არ ჰქონდა ან არ გამოიყენებს ისეთ უფლებას, რომელიც ადრე გათვალისწინებული ჰქონდა. კომპანია იყენებს მსჯელობას ზღვრული სასესხო განაკვეთის დადგენისთვის. დაკვირვებადი მონაცემების გამოყენებით განისაზღვრება ძირითადი განაკვეთი, რომელიც კორექტირდება მოიჯარისთვის დამახასიათებელი სპეციფიკური ფაქტორებით და უზრუნველყოფის (იჯარის ობიექტის) მახასიათებლებით. საქართველოში ხშირად იჯარის ხელშეკრულება არ მოიცავს ჩანაწერს იჯარის გაგრძელების შესახებ. ზემოთხსენებული უფლების არსებობა გამყარებულია მიღებული საქმიანი პრაქტიკით. კომპანია ამგვარ საქმიან პრაქტიკას განიხილავს ხელშეკრულების შემადგენელ ნაწილად. ასეთი შემთხვევებისთვის საიჯარო ვალდებულების განსაზღვრისას შეფასებული საიჯარო გადახდები არის უცვლელი მთელი საიჯარო ვადის განმავლობაში განახლებადი პერიოდის ჩათვლით. მომავალ პერიოდთან დაკავშირებული განუსაზღვრელობებიდან გამომდინარე ფაქტობრივი საიჯარო გადახდები შესაძლებელია მნიშვნელოვნად განსხვავდებოდეს იმისგან, რაც წარდგენილია ფინანსურ ანგარიშგებაში.

დ) ინვესტიცია წილობრივ ინსტრუმენტებში სამართლიანი ღირებულების შეფასება - წილობრივ ინსტრუმენტებში არსებული ინვესტიციების სამართლიანი ღირებულება განისაზღვრა ფულადი სახსრების დისკონტირების ტექნიკის გამოყენებით, მოსალოდნელი ფულადი სახსრების საფუძველზე, რომელიც კლასიფიცირებულია როგორც სამართლიანი ღირებულების შეფასების მე-3 დონის იერარქია, შეფასების გაკეთებისას გამოყენებული მონაცემების მნიშვნელობიდან გამომდინარე.

4. არსებითი საადრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

4.1 შეფასების და წარდგენის ვალუტა

ფინანსური ანგარიშგების შეფასების და წარდგენის (პრეზენტაციის) ვალუტად კომპანია იყენებს ქართულ ლარს. ოპერაციები შეფასების ვალუტისგან განსხვავებულ ვალუტაში განიხილება, როგორც ოპერაცია უცხოურ ვალუტაში და აღირიცხება „სავალუტო კურსების ცვლილებათა გავლენა“ მოთხოვნების შესაბამისად. უცხოურ ვალუტაში ასახული მონეტარული აქტივები და ვალდებულებები გადაიანგარიშება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ვალუტის გაცვლის ოფიციალური კურსის შესაბამისად ბალანსის შედგენის თარიღისათვის. კონვერტაციის დროს წარმოშობილი კურსთაშორის სხვაობები აისახება მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში. უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები აღირიცხება ოპერაციის განხორციელების დღეს არსებული გაცვლითი (სპოტ) კურსის შესაბამისად.

4.2 ინვესტიციები შვილობილ საწარმოში

კომპანიას გააჩნია კონტროლი საწარმოზე, როდესაც ის ექვემდებარება რისკებს, რომლებიც დაკავშირებულია ინვესტირებულ საწარმოში მისი მონაწილეობიდან ცვალებადი შემოსავლების მიღებასთან, ან გააჩნია ინვესტირებული საწარმოდან ცვალებადი შემოსავლების მიღების უფლება და ასევე ამ შემოსავალზე ზემოქმედების შესაძლებლობა, ინვესტირებულ საწარმოსთან მიმართებით თავისი უფლებამოსილების მეშვეობით. შვილობილი (ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაში) და მეკავშირე (ერთობლივი საწარმოები არ აქვს) კომპანიების ინვესტიციის აღირიცხვა ხდება თვითღირებულებით.

4.3 ამონაგები

კომპანია აღიარებს შემოსავალს საქონლისა და მომსახურების მომხმარებლებისთვის გადაცემისას, იმ ანაზღაურების ოდენობით, რომლის მიღების უფლებაც კომპანია მოელის ამ საქონლისა და მომსახურების გადაცემის სანაცვლოდ. კომპანია იყენებს ხუთსაფეხურიან მოდელს მომხმარებელთან გაფორმებული ხელშეკრულებების მიმართ:

- მომხმარებელთან ხელშეკრულების იდენტიფიცირება;
- სახელშეკრულებო ვალდებულებების დადგენა;
- გარიგების ფასის განსაზღვრა;
- გარიგების ფასის მიკუთვნება სახელშეკრულებო ვალდებულებასთან;
- შემოსავლის აღიარება, როდესაც პირი სახელშეკრულებო ვალდებულებას შეასრულებს.

კომპანია შემოსავალს აღიარებს სახელშეკრულებო ვალდებულების შესრულებისას, ანუ მაშინ, როდესაც კონტრაქტით გათვალისწინებულ მისაწოდებელ საქონელზე „კონტროლი“ მომხმარებელს გადაეცემა ან შესრულება ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურება.

შესასრულებელი ვალდებულება და შემოსავლის აღიარების მომენტი

კომპანიას შემოსავლის ძირითად ნაწილს იღებს პროდუქციის გაყიდვიდან, რომელიც აღიარდება დროის იმ მომენტში, მაშინ როცა ხდება მოცემულ საქონელთან დაკავშირებული კონტროლის მომხმარებლისთვის გადაცემა. კონტროლი შესაძლოა გადავიდეს მომხმარებელზე, როგორც გაგზავნის ისე მიღების ადგილას. ეს განსაზღვრულია მომხმარებელთან წერილობითი ან ზეპირი ხელშეკრულების საფუძველზე.

საკონტრაქტო ღირებულების განსაზღვრა

კომპანიის შემოსავლის ძირითადი საკონტრაქტო ღირებულება არის ფიქსირებული და შესაბამისად, თითოეული კონტრაქტიდან მისაღები შემოსავლის განსაზღვრა ხდება მოცემული ფიქსირებული ფასების მიხედვით.

კომპანია არ განიხილავს დაფინანსების მნიშვნელოვან კომპონენტს, როდესაც აქტივზე მომხმარებლისთვის კონტროლის გადაცემის თარიღსა და მიღებული ანაზღაურების თარიღებს შორის სხვაობა არის ერთ წელზე ნაკლები;

4.4 ფინანსური ინსტრუმენტები

კომპანია ფინანსურ აქტივებსა და ვალდებულებებს აღიარებს მაშინ, როდესაც ხდება ინსტრუმენტთან დაკავშირებული სახელშეკრულებო ვალდებულების მხარე. კომპანია ფინანსურ აქტივებს ჰყოფს შემდეგ კატეგორიებად - „ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივი“, „რეალური

ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივი, ცვლილებების მოგებაში ან ზარალში ასახვით“, „რეალური ღირებულებით შეფასებული, ცვლილებების სხვა სრულ შემოსავალში ასახვით“. კომპანიის ხელმძღვანელობამ შეაფასა, თუ რომელი ბიზნეს მოდელი შეესაბამება კომპანიის ფინანსურ აქტივებს და ფინანსური აქტივები დააკლასიფიცირა შემდეგ კატეგორიებად - „ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივი“ და „რეალური ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივი, ცვლილებების მოგებაში ან ზარალში ასახვით“. წინა საანგარიშო პერიოდებში მომზადებულ ფინანსურ ანგარიშგებაში კომპანიის ფინანსური აქტივები წარმოდგენილია სავაჭრო და სხვა მოთხოვნებით, გაცემული სესხებით და ფული და ფულის ეკვივალენტებით. ფული და ფულის ეკვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულსა და ფულს მიმდინარე საბანკო ანგარიშებზე.

- ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივები

მოცემული აქტივები წარმოიქმნება მომხმარებლებისთვის საქონლისა და მომსახურების მიწოდებიდან, ასევე მოიცავს სხვა სახის ფინანსურ აქტივებს, რომლის ფლობის მიზანია სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღება და ეს ფულადი ნაკადები წარმოადგენს მხოლოდ ძირს და მასზე დარიცხულ პროცენტს. ისინი საწყისი აღიარებისას შეფასებულია რეალური ღირებულებით დამატებული გარიგების ის დანახარჯები, რომლებიც უშუალოდ დაკავშირებულია ფინანსური აქტივის შეძენასთან ან გამოშვებასთან და შემდგომში აღრიცხულია ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით, შემცირებული გაუფასურების რეზერვის მოცულობით.

- ინვესტიციები წილობრივ ინსტრუმენტებში

ფინანსური აქტივები, რომლებიც აკმაყოფილებენ კაპიტალის განმარტებას ემიტენტის მხრიდან ე.ი. ინსტრუმენტები, რომლებიც არ შეიცავს ხელშეკრულებით ვალდებულებას ფულადი სახსრების გადახდაზე და წარმოადგენს ნარჩენ პროცენტს, კომპანიის მიერ განიხილება, როგორც ინვესტიცია წილობრივ ინსტრუმენტებში. კომპანიის პოლიტიკით ინვესტიციები წილობრივ ინსტრუმენტებში აღირიცხება რეალური ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით (FVTPL), რადგან მათი ფლობის მიზანი არის საინვესტიციო შემოსავლის მიღება და არ არის გამიზნული სავაჭროდ. კომპანია მოგებაში ან ზარალში აღიარებს ინვესტიციებიდან მიღებულ დივიდენდებს. თავდაპირველი აღიარებისას ფინანსური ინსტრუმენტის რეალური ღირებულების საუკეთესო შეფასება არის გარიგების ფასი. არ ყოფილა შმთხვევა, როდესაც კომპანიას გადაწყვიტოს, რომ თავდაპირველი აღიარებისას შეფასებული რეალური ღირებულება განსხვავდება გარიგების ფასისგან.

- გაუფასურება

კომპანიას ევალება მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგების აღრიცხვა თავის ფასიან ქაღალდებზე, სესხებსა და სავაჭრო მოთხოვნების ანგარიშებზე 12 თვიანი პერიოდისთვის ან მათი მთლიანი ვადისთვის. გაუფასურებასთან დაკავშირებული მოთხოვნების მიზანია, ფინანსური ინსტრუმენტების არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის აღიარება ყველა ფინანსურ ინსტრუმენტთან მიმართებით, რომლის საკრედიტო რისკი თავდაპირველი აღიარების შემდეგ მნიშვნელოვნად გაიზარდა, მიუხედავად იმისა, გაუფასურება ინდივიდუალურად შეფასდა თუ ჯგუფურად, რისთვისაც კომპანია ითვალისწინებს ყველა გონივრულ ინფორმაციას.

- სავაჭრო და სხვა მოთხოვნები და სახელშეკრულებო აქტივები

კომპანია იყენებს გამარტივებულ მიდგომას და მოსალოდნელ ზარალს აღრიცხავს სავაჭრო და სხვა მოთხოვნების მუხლზე და სახელშეკრულებო აქტივზე. აღნიშნული მიდგომის მიხედვით არსებობის მანძილზე სავაჭრო მოთხოვნების მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი გამოითვლება რეზერვების მატრიცის გამოყენებით. გამარტივებული მიდგომა განიხილავს ზარალს სრულად მთელი პორტფელისთვის, განურჩევლად იმისა ადგილი ჰქონდა თუ არა საკრედიტო რისკის მნიშვნელოვან ზრდას პირველადი აღიარების შემდგომ. კომპანია სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურებას ახორციელებს მეთოდოლოგიის საფუძველზე:

- ინდივიდუალურად განიხილავს დაკავშირებული მხარეებისგან მისაღებ თანხებს;
- ინდივიდუალურად განიხილავს მნიშვნელოვანი დებიტორული დავალიანების მქონე დებიტორებს;
- ჯგუფურად ფასდება ყველა სხვა დებიტორული დავალიანება, რადგან კომპანიის გამოცდილებით დარჩენილი ერთობლიობა არ მოიცავს ინდივიდუალურად მნიშვნელოვან ელემენტებს;

- დაკავშირებული მხარეებისგან მისაღები თანხები

კომპანია ინდივიდუალურად განიხილავს გაუფასურებაზე დაკავშირებულ მხარეებთან არსებულ მოთხოვნებს და მხედველობაში იღებს სხვადასხვა ფაქტორებსა და ინდივიდუალურ გარემოებებს,

რომელიც კომპანიას შესაძლოა გააჩნდეს მის დაკავშირებულ მხარეებთან ბიზნეს საქმიანობის პროცესში. აღნიშნული ანალიზის საფუძველზე კომპანიის ხელმძღვანელობა აფასებს მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის მოცულობას, რომელიც განისაზღვრება წარსულის გამოცდილების საფუძველზე. კომპანია არ აღიარებს დაკავშირებული მხარეების მიმართ არსებული სავაჭრო და სხვა მოთხოვნების გაუფასურების რეზერვს, რადგან კომპანიას არ გააჩნია აღნიშნული მოთხოვნების საკრედიტო გაუფასურების ნეგატიური გამოცდილება.

- მნიშვნელოვანი დავალიანების მქონე დებიტორები

შეფასებისას კომპანია მხედველობაში იღებს სხვადასხვა ფაქტორებსა გარემოებებს, რომელიც შესაძლოა მოიცავდეს: ა) დებიტორის რეიტინგს, ბ) ფინანსურ მდგომარეობას, გ) მისაღები თანხების ვადაგადაცილების ხანგრძლივობას, დ) ნებისმიერ ხელმისაწვდომ სხვა, მ.შ. არაფინანსურ ინფორმაციას.

- ჯგუფურად შეფასებული სავაჭრო მოთხოვნები

იმისათვის, რათა განისაზღვროს მოსალოდნელი გაუფასურების დანაკარგი ჯგუფურად შეფასებულ სავაჭრო მოთხოვნებზე, მოთხოვნები ჯგუფდება მსგავსი საკრედიტო რისკისა და ხანდაზმულობის მიხედვით. სავაჭრო და სხვა მოთხოვნებს აქვს მსგავსი რისკიანობის მახასიათებელი. მოსალოდნელი გაუფასურების დანაკარგის განაკვეთები ეფუძნება კომპანიის საკრედიტო გაუფასურების წარსულ გამოცდილებას. ისტორიული მოსალოდნელი გაუფასურების დანაკარგის განაკვეთი კორექტირდება არსებული და სამომავლო მაკროეკონომიკური ფაქტორების გათვალისწინებით, რომელიც გავლენას ახდენს კომპანიის მომხმარებლებზე.

- ფულადი სახსრების და მათი ეკვივალენტების გაუფასურება

ფულადი სახსრების და მათი ეკვივალენტების მუხლზე კომპანია არ ახორციელებს გაუფასურების აღიარებას.

- ფინანსური აქტივების აღიარების შეწყვეტა

კომპანია წყვეტს ფინანსური აქტივის აღიარებას მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც: ფინანსური აქტივიდან მისაღები ფულადი სახსრების მიღების საკონტრაქტო უფლებებს ვადა გასდის ან იგი გადასცემს ფინანსურ აქტივთან დაკავშირებული ფულადი ნაკადების მიღების უფლებას, ან შედის ისეთ გარიგებაში, როდესაც: ა) აქტივის გასვლასთან ერთად ხდება ყველა არსებითი რისკისა და სარგებლის კომპანიიდან გასვლა; ბ) კომპანია არ გადასცემს აქტივის ფლობასთან დაკავშირებულ არსებით რისკსა და სარგებელს, მაგრამ ასევე არ ინარჩუნებს კონტროლს ამ აქტივზე.

- ფინანსური ვალდებულებები

კომპანია მის ფინანსურ ვალდებულებებს აკლასიფიცირებს შემდეგი კატეგორიებიდან ერთ-ერთით: რეალური ღირებულებით, მოგებაში ან ზარალში ასახვით და სხვა ფინანსურ ვალდებულებებად. ფინანსური ვალდებულებები მოიცავს სავაჭრო და სხვა ვალდებულებებს, საიჯარო ვალდებულებებს. ფინანსური ვალდებულებები საწყისი აღიარებისას შეფასებულია რეალური ღირებულებით დამატებული გარიგების ის დანახარჯები, რომლებიც უშუალოდ დაკავშირებულია ფინანსური ვალდებულებების გამოშვებასთან. მსგავსი პროცენტის მატარებელი ვალდებულებები შემდგომში აღრიცხულია ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით, რომელიც უზრუნველყოფს მუდმივი განაკვეთით ფინანსური ვალდებულების საბალანსო ღირებულებაზე საპროცენტო ხარჯის ღარიცხვას. ნებისმიერი ფინანსური ვალდებულებისთვის საპროცენტო ხარჯი მოიცავს საწყის გარიგების ხარჯებს და ნებისმიერ დამატებით გადასახდელს ვალდებულების გამოსყიდვისთვის. ფინანსური აქტივები და ვალდებულებები ერთმანეთში გაიქვითება და ფინანსურ ანგარიშგებებში წარდგება სალდირებულიად, თუ არსებობს შესაბამისი იურიდიული საფუძველი აღნიშნული თანხების ურთიერთჩათვლისთვის.

4.5 საპროცენტო შემოსავალი

1-ელ და მე-2 ეტაპზე მყოფი ფინანსური ინსტრუმენტებისთვის კომპანია საპროცენტო შემოსავალს აღრიცხავს ეფექტური საპროცენტო განაკვეთის (EIR) გამოყენებით მთლიან საბალანსო თანხაზე. მე-3 ეტაპზე არსებული ფინანსური ინსტრუმენტებისთვის საპროცენტო შემოსავალი დაიანგარიშება EIR-ის გამოყენებით სესხების ამორტიზებულ ღირებულებაზე.

4.6 ხარჯები

ხარჯების აღიარება ხდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, თუ წარმოიშობა მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირება, რაც დაკავშირებულია აქტივის შემცირებასა ან ვალდებულების ზრდასთან, რაც შეიძლება საიმედოდ განისაზღვროს. ხარჯები გაწევისთანავე აღიარდება მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში, თუ ხარჯებისგან ეკონომიკური სარგებლის მოტანა მომავალში აღარ არის მოსალოდნელი ან თუ მომავალი ეკონომიკური სარგებელი აღარ აკმაყოფილებს ბალანსში აქტივად აღიარების კრიტერიუმებს. თუ ეკონომიკური სარგებელი მოსალოდნელია, რომ წარმოიქმნება რამდენიმე საადრიცხვო პერიოდის განმავლობაში, მასთან დაკავშირებული ხარჯები სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარდება გონივრული, სარგებლის მიღების პროპორციული განაწილების საფუძველზე.

4.7 იჯარა

- იდენტიფიკაცია

ხელშეკრულების დაწყებისას კომპანია აფასებს, მთლიანად ხელშეკრულება არის თუ არა იჯარა, ან შეიცავს თუ არა იჯარას. ხელშეკრულება არის საიჯარო ხელშეკრულება, ან შეიცავს იჯარას, თუ ხელშეკრულების მეშვეობით ხდება იდენტიფიცირებული აქტივის კონტროლის უფლების გადაცემა გარკვეული პერიოდის განმავლობაში ანაზღაურების მიღების სანაცვლოდ. იმის დასადგენად, ესა თუ ის ხელშეკრულება გადასცემს თუ არა მომხმარებელს იდენტიფიცირებული აქტივის გამოყენების კონტროლის უფლებას გარკვეული პერიოდის განმავლობაში, კომპანია აფასებს, გამოყენების პერიოდის განმავლობაში მომხმარებელს გააჩნია თუ არა უფლებები: - ხელშეკრულებაში იდენტიფიცირებული აქტივიდან პრაქტიკულად მთლიანი სარგებლის მიღების უფლება და - იდენტიფიცირებული აქტივის გამოყენების წესის განსაზღვრის უფლება.

- თავდაპირველი აღიარება

იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის კომპანია აღიარებს აქტივების გამოყენების უფლებას და საიჯარო ვალდებულებას, გარდა იჯარისა, რომლის საიჯარო აქტივს დაბალი ღირებულება აქვს და - იჯარისა, რომლის ვადა 12 თვეზე ნაკლებია. იჯარა კომპანიის ანგარიშგებაში აღიარდება როგორც აქტივი, რომელიც წარმოადგენს იჯარის ვადის განმავლობაში, იჯარის ობიექტის გამოყენების უფლებას და ვალდებულება საიჯარო გადასახდელების ანაზღაურებისთვის.

იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის კომპანია საიჯარო ვალდებულებას აფასებს იმ საიჯარო გადახდების დღევანდელი ღირებულების მიხედვით, რომლებიც ამ თარიღისთვის განხორციელებული არ არის. საიჯარო გადახდები დისკონტირდება იჯარაში ნაგულისხმევი საპროცენტო განაკვეთით, თუ ამ განაკვეთის განსაზღვრა შესაძლებელია. თუ ეს შეუძლებელია, გამოიყენება იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის განსაზღვრული მოიჯარის ზღვრული სასესხო განაკვეთი. საიჯარო ვალდებულების შეფასებაში ცვლადი საიჯარო გადახდები მონაწილეობს იმ მოცულობით, რა მოცულობითაც დამოკიდებულია ინდექსზე ან განაკვეთზე. ცვლადი საიჯარო გადახდები თავდაპირველად ფასდება იჯარის ვადის დაწყების თარიღის მდგომარეობით ამ ინდექსის ან განაკვეთის გამოყენებით. სხვა ცვლადი საიჯარო გადახდები აღიარდება იმ პერიოდის ხარჯად, რომელსაც ისინი მიეკუთვნება. იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის, კომპანიის ვალდებულება საიჯარო გადასახდელების ანაზღაურებისთვის მოიცავს: თანხებს, რომელთა გადახდა მოსალოდნელია ნარჩენი ღირებულების გარანტიების მიხედვით; შესყიდვის არჩევანის უფლების ფასს, თუ საკმარისად სარწმუნოა, რომ მოიჯარე გამოიყენებს ამ უფლებას; იჯარის ვადამდე შეწყვეტისთვის ჯარიმებს, თუ იჯარის ვადა ასახავს მოიჯარის მიერ იჯარის ვადამდე შეწყვეტის არჩევანის უფლების გამოყენებას;

იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის კომპანია აქტივების გამოყენების უფლებას თვითღირებულებით აფასებს. აქტივების გამოყენების უფლების თვითღირებულება მოიცავს: - საიჯარო ვალდებულების თავდაპირველ შეფასებას, - საიჯარო გადახდებს, რომლებიც უკვე განხორციელებულია იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის, ან ამ თარიღამდე, მიღებული წამახალისებელი საიჯარო გადახდების გამოკლებით; - მოიჯარის მიერ გაწეულ თავდაპირველ პირდაპირ დანახარჯებს; და - იმ დანახარჯების შეფასებას, რომლებსაც მოიჯარე გასწევს საიჯარო აქტივის დემონტაჟისა და ლიკვიდაციის დროს საიჯარო აქტივის აღსადგენად ისეთ მდგომარეობაში მოყვანის მიზნით, რაც მოითხოვება საიჯარო ხელშეკრულების პირობებით.

- შემდგომი შეფასება

იჯარის ვადის დაწყების თარიღის შემდეგ დღევანდელი ღირებულებით შეფასებული საიჯარო ვალდებულება იზრდება პროცენტის დამატებით და მცირდება განხორციელებული საიჯარო გადახდებით. აქტივების გამოყენების უფლება მცირდება დაგროვილი ცვეთით და დაგროვილი გაუფასურების

გამოკლებით. თუ საიჯარო ხელშეკრულების თანახმად საიჯარო აქტივზე საკუთრების უფლება იჯარის ვადის დასრულებისას მოიჯარეს გადაეცემა, ან აქტივების გამოყენების უფლების თვითღირებულება ასახავს მოიჯარის განზრახვას, რომ ის გამოიყენებს აქტივის შესყიდვის არჩევანის უფლებას, აქტივის ცვეთა ერიცხება იჯარის ვადის დაწყების თარიღიდან საიჯარო აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის დასრულებამდე. სხვა შემთხვევაში, აქტივების გამოყენების უფლებას ცვეთა ერიცხება იჯარის ვადის დაწყების თარიღიდან შემდეგ ორ თარიღს შორის უფრო ადრინდელ თარიღამდე: აქტივების გამოყენების უფლების სასარგებლო მომსახურების ვადის დასრულებისა და იჯარის ვადის დასრულების თარიღი. საიჯარო აქტივი ამორტიზდება იჯარის ვადის შესაბამისად. იჯარის ვადის დაწყების თარიღის შემდეგ კომპანია ხელახლა აფასებს საიჯარო ვალდებულებას, საიჯარო გადახდების ცვლილებების ასახვის მიზნით. საიჯარო ვალდებულების ხელახალი შეფასების შედეგად მიღებული თანხა აღიარდება, როგორც აქტივების გამოყენების უფლების კორექტირება. თუმცა, თუ აქტივების გამოყენების უფლების საბალანსო ღირებულება მცირდება ნულამდე და ამავე დროს მცირდება საიჯარო ვალდებულების შეფასებაც, ხელახალი შეფასების თანხის დარჩენილი ნაწილი აღიარდება მოგება/ზარალში. საიჯარო ვალდებულება ხელახლა ფასდება გადასინჯული საიჯარო გადახდების და გადასინჯული დისკონტირების განაკვეთის გამოყენებით, ნებისმიერ შემდეგ შემთხვევაში, თუ: შეიცვალა იჯარის ვადა, ან შეიცვალა საიჯარო აქტივის შესყიდვის არჩევანის უფლების შეფასება. თუ შეიცვალა თანხები, რომელთა გადახდაც მოსალოდნელია ნარჩენი ღირებულების გარანტიის პირობის ფარგლებში ან შეიცვალა მომავალი საიჯარო გადახდები იმის გამო, რომ შეიცვალა ამ გადახდების განსაზღვრისთვის გამოსაყენებელი ინდექსი ან განაკვეთი, საიჯარო ვალდებულება ხელახლა ფასდება იჯარის ვადის დასაწყისში განსაზღვრული დისკონტირების განაკვეთის გამოყენებით, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც საიჯარო გადახდების ცვლილება გამოწვეულია საპროცენტო განაკვეთების ცვალებადობით. როცა კომპანია ახდენს იჯარის სახელშეკრულებო პირობების მოდიფიკაციას, ამ შემთხვევაში, აღრიცხვა დამოკიდებულია მოდიფიკაციის შინაარსზე: - იჯარის მოდიფიკაცია აისახება, როგორც განცალკევებული იჯარა, თუ მოდიფიკაციის შედეგად იზრდება იჯარის გამოყენების სფერო და იჯარის ანაზღაურება იზრდება გაზრდილი გამოყენების სფეროს შესაფერისი ანაზღაურებით. - იჯარის ისეთი მოდიფიკაციის შემთხვევაში, რომელიც არ აღირიცხება, როგორც განცალკევებული იჯარა, იჯარის მოდიფიკაციის ძალაში შესვლის თარიღისთვის მოიჯარე ხელახლა აფასებს საიჯარო ვალდებულებას გადასინჯული საიჯარო გადახდების დისკონტირებით გადასინჯული დისკონტირების განაკვეთის საფუძველზე. - იჯარის ისეთი მოდიფიკაციის შემთხვევაში, რომლის შედეგად მცირდება იჯარის მოქმედების სფერო, მცირდება აქტივების გამოყენების უფლების საბალანსო ღირებულება იჯარის ნაწილობრივ ან სრულად შეწყვეტის ასახვის მიზნით, მოგება/ზარალში აღიარდება ნებისმიერი შემოსულობა ან ზარალი, რომელიც დაკავშირებულია იჯარის ნაწილობრივ ან მთლიანად შეწყვეტასთან; საიჯარო ვალდებულება შემდგომში კორექტირდება იმგვარად, რომ მისმა საბალანსო ღირებულებამ ასახოს მოდიფიცირებული საიჯარო გადასახდელები მოდიფიცირებული ვადის განმავლობაში, რომლებიც დადისკონტირებულია მოდიფიკაციის თარიღისთვის არსებული განაკვეთით. ასეთ დროს, აქტივების გამოყენების უფლებაც შესაბამისი თანხით კორექტირდება. კომპანია არასაიჯარო კომპონენტებს გამოაცალკევებს საიჯარო კომპონენტებისგან.

- იჯარის ვადა

იჯარის ვადა არის იჯარის არაგაუქმებადი პერიოდი, რომლის განმავლობაშიც მოიჯარეს აქვს საიჯარო აქტივების გამოყენების უფლება, შემდეგ პერიოდებთან ერთად: ა) პერიოდები, რომლებსაც მოიცავს იჯარის გაგრძელების არჩევანის უფლებას (მათ შორის მიღებული საქმიანი პრაქტიკით გამყარებული), თუ საკმარისად სარწმუნოა, რომ მოიჯარე ამ უფლებას გამოიყენებს; და ბ) პერიოდები, რომლებსაც მოიცავს იჯარის ვადამდე შეწყვეტის არჩევანის უფლება, თუ საკმარისად სარწმუნოა, რომ მოიჯარე ამ უფლებას არ გამოიყენებს. ხელმძღვანელობა იყენებს მსჯელობას იჯარის ვადის დადგენისას. იმის შესაფასებლად, საკმარისად სარწმუნოა თუ არა, რომ მოიჯარე გამოიყენებს იჯარის გაგრძელების უფლებას, ან არ გამოიყენებს იჯარის ვადამდე შეწყვეტის უფლებას, კომპანია განიხილავს ყველა სათანადო ფაქტს და გარემოებას, რომელიც მოიჯარეს ეკონომიკურ სტიმულს უქმნის, გამოიყენოს იჯარის გაგრძელების უფლება, ან არ გამოიყენოს იჯარის ვადამდე შეწყვეტის უფლება. კომპანია ხელახლა აფასებს, საკმარისად სარწმუნოა თუ არა, რომ ის გამოიყენებს იჯარის გაგრძელების არჩევანის უფლებას, ან არ გამოიყენებს იჯარის ვადამდე შეწყვეტის უფლებას, იმ შემთხვევაში, თუ მოხდება რაიმე მნიშვნელობის მოვლენა, ან მნიშვნელოვნად შეიცვლება გარემოებები, რომლებიც: ა) მოიჯარის კონტროლს ექვემდებარება; და ბ) გავლენას ახდენს იმის შეფასებაზე, საკმარისად სარწმუნოა თუ არა, რომ მოიჯარე გამოიყენებს უფლებას, რომელიც ადრე გათვალისწინებული არ ჰქონდა იჯარის ვადის დადგენისას, ან არ გამოიყენებს ისეთ უფლებას, რომელიც ადრე გათვალისწინებული ჰქონდა იჯარის ვადის განსაზღვრისას. ხელმძღვანელობა ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსათვის ახდენს საიჯარო ვადების ხელახალ შეფასებას. საიჯარო

ვადების ცვლილების უფქვით ხდება აქტივის გამოყენების უფლებისა და საიჯარო ვალდებულების დაკორექტირება.

- ზღვრული სასესხო განაკვეთი

ზღვრული სასესხო განაკვეთი არის, საპროცენტო განაკვეთი, რომლის გადახდაც მსგავს ეკონომიკურ გარემოში მოუწევდა მოიჯარეს აქტივების გამოყენების უფლების ღირებულების მსგავსი ღირებულების აქტივის მოსაპოვებლად საჭირო სესხით სარგებლობისთვის, რომელსაც მსგავსი ვადა და უზრუნველყოფა ექნებოდა. ხელმძღვანელობა იყენებს მსჯელობას ზღვრული სასესხო განაკვეთის დადგენისთვის. დაკვირვებადი მონაცემების გამოყენებით განისაზღვრება ძირითადი განაკვეთი, რომელიც კორექტირდება მოიჯარისთვის დამახასიათებელი სპეციფიკური ფაქტორებით და უზრუნველყოფის (იჯარის ობიექტის) მახასიათებლებით.

- საიჯარო გადახდები

ხშირად იჯარის ხელშეკრულება არ მოიცავს ჩანაწერს (ან მოიცავს არასრულ ჩანაწერს) იჯარის განახლების/გაგრძელების შესახებ. ზემოთხსენებული უფლების არსებობა გამყარებულია მიღებული საქმიანი პრაქტიკის შესაბამისად. კომპანია ამგვარ მიღებულ საქმიან პრაქტიკას განიხილავს ხელშეკრულების შემადგენელ ნაწილად. ასეთი შემთხვევებისთვის, საიჯარო ვალდებულების განსაზღვრისას შეფასებული საიჯარო გადახდები არის უცვლელი მთელი საიჯარო ვადის განმავლობაში განახლებადი პერიოდის ჩათვლით.

მოკლევადიანი იჯარა და გრძელვადიანი იჯარა, რომლის საიჯარო აქტივს დაბალი ღირებულება აქვს კომპანიამ გადაწყვიტა მოკლევადიან იჯარასთან და დაბალი ღირებულების მქონე საიჯარო აქტივის იჯარასთან მიმართებაში გამოიყენოს გათავისუფლება. ამ იჯარასთან დაკავშირებული საიჯარო გადახდები აღირიცხება ხარჯის სახით იჯარის ვადის განმავლობაში.

- იჯარების პორტფელური აღრიცხვა

კომპანია მსგავსი მახასიათებლების მქონე საიჯარო ხელშეკრულებების პორტფელს აღრიცხავს გამარტივებული მიდგომის სახით, მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ კომპანია ვარაუდობს, რომ ხელშეკრულებების პორტფელთან მიმართებით იჯარის სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენების გავლენა ანგარიშგებაზე არსებითად განსხვავებული არ იქნება პორტფელის შემადგენელი ცალკეული ხელშეკრულების მიმართ მისი გამოყენების შედეგისგან. ხელშეკრულებების პორტფელის მიხედვით აღრიცხვისას, კომპანია იყენებს ისეთ შეფასებებსა და დაშვებებს, რომლებიც ასახავს პორტფელის სიდიდესა და შემადგენლობას. კომპანია იყენებს ერთი დისკონტირების განაკვეთს საკმარისად მსგავსი მახასიათებლების მქონე საიჯარო ხელშეკრულებების პორტფელთან მიმართებით (როგორიცაა, მაგალითად მსგავსი კლასის საიჯარო აქტივების საიჯარო ხელშეკრულებები, რომლებსაც მსგავსი დარჩენილი იჯარის ვადა აქვთ ანალოგიურ ეკონომიკურ გარემოში და ნომინირებულია ერთი და იგივე ვალუტაში).

4.8 გადასახადები

- მოგების გადასახადი

2017 წლის 1 იანვრიდან საქართველოში ძალაშია მოგების გადასახადის ესტონური მოდელი. მის თანახმად მოგების გადასახადით დაბეგვრის საგანს წარმოადგენს: დივიდენდების განაწილება; სხვაობა გარიგების ფასსა და საბაზრო ღირებულებას შორის; ხრჯები, რომლებიც არ მიეკუთვნება ეკონომიკურ საქმიანობას; დანაკლისები; უსასყიდლოდ გადაცემული საქონელი და მომსახურება; ლიმიტს ზემოთ გაწეული წარმომადგენლობითი ხარჯები.

მოგების გადასახადის ხარჯი აღიარდება იმ საანგარიშგებო პერიოდში, როდესაც კომპანია ზემოთ ჩამოთვლილი მოვლენების გარდა პირველისა შედეგად გაიანგარიშებს მოგების გადასახადს.

- გადავადებული გადასახადი

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობაში შესული სპეციფიკური ცვლილებების გამო 2017 წლიდან საქართველოს რეზიდენტი კომპანიებისთვის აქტივების და ვალდებულებების საბალანსო და საგადასახადო ღირებულებებს შორის არ არსებობს დროებითი სხვაობები, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს გადავადებული საგადასახადო აქტივების/ვალდებულებების წარმოქმნა.

- გადასახადები, გარდა მოგების გადასახადისა

გადასახადები გარდა მოგების გადასახადისა აღიარდება იმ საანგარიშგებო პერიოდში რა პერიოდშიც შესრულდება დასაბეგრი ოპერაციები ან ქონების გადასახადის შემთვევაში - რა პერიოდისთვისაც წარმოიშვება საგადასახადო ვალდებულება კანონის თანახმად. წინასწარ გადახდილი გადასახადები, რომლისგანაც მოსალოდნელია მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აღიარდება აქტივად. გადასახდელი დამატებული ღირებულების გადასახადი, რომელიც დაკავშირებულია დასაბეგრ გარიგებებთან, საგადასახადო ორგანოებისათვის გადასახდელი ხდება მომხმარებლებისთვის საქონლის ან მომსახურების მიწოდების თვის მომდევნო თვის 15 რიცხვამდე (ან უშუალოდ მომდევნო დღემდე, თუ ეს თარიღი არასამუშაო დღეს წარმოადგენს). საგადასახადო კოდექსით დადგენილია დღგ-ზე ანგარიშსწორება გაყიდვასა და შესყიდვას დღგ-ებში სხვაობაზე. დღგ აღიარებულია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ასეთი სალდირების საფუძველზე.

4.9 ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებების ერთეულის საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით. თვითღირებულების კომპონენტები მოიცავს შეძენის, ტრანსპორტირების ფასსა და უშუალოდ დაკავშირებულ დანახარჯებს, რომელიც აუცილებელია აქტივის სამუშაო მდგომარეობაში მოსაყვანად. შემდგომი დანახარჯები ჩაირთვება აქტივის საბალანსო ღირებულებაში მხოლოდ მაშინ, როდესაც შესაძლებელია აღნიშნული ტიპის დანახარჯისაგან მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება და შესაძლებელია მისი ღირებულების საიმედოდ განსაზღვრა. ყველა სხვა სახის დანახარჯი, რომელიც დაკავშირებულია მიმდინარე რემონტებთან, აღიარდება როგორც ხარჯი მისი გაწევის პერიოდში. ძირითადი საშუალებები აღირიცხება ისტორიულ ღირებულებას, დაგროვილ ცვეთასა და გაუფასურების ზარალს შორის სხვაობის თანხით. ცვეთა ერიცხება აღნიშნულ აქტივთა ჯგუფს, მთლიანად მათი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში. კომპანია იყენებს ცვეთის წრფივი დარიცხვის მეთოდს ძირითადი საშუალებების ყველა ჯგუფისათვის.

სასარგებლო მომსახურის ვადა და ცვეთის მეთოდი გადაიხედება ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, ღირებულების ცვლილების ეფექტის გათვალისწინებით, პერსპექტიულ საფუძველზე. იმ შემთხვევაში, თუ ძირითადი საშუალებების თითოეულ კომპონენტს გააჩნია განსხვავებული ექსპლუატაციის პირობები, მაშინ ამდაგვარ აქტივთა ჯგუფი აღირიცხება ინდივიდუალურად. ძირითადი საშუალებების ჯგუფების სასარგებლო მომსახურების ვადები მუდმივად წარმოდგენილია შემდეგნაირად:

შენობები	30 - 50 წელი;
ნაგებობები (აგს-ების ნაგებობები)	20 - 30 წელი;
კომპ ტექნიკა და პერიფერია	5 წელი;
ავტო	8 - 10 წელი;
სატრანსპორტო საშუალებები	10 წელი;
სამრეწველო-სამშენებლო ტექნიკა	20 წელი;
იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა საიჯარო ხელშეკრულების მოქმედების ვადა	

ძირითადი საშუალებების ცვეთის ხარჯი აღიარდება ხარჯებში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც აღნიშნული თანხა უნდა აღირიცხოს სხვა აქტივის საბალანსო ღირებულებაში. ძირითადი საშუალებების ობიექტის აღიარება წყდება მისი გასხვისებისას ან როდესაც მისი შემდგომი გამოყენებიდან მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარ არის მოსალოდნელი. მოგება ან ზარალი ძირითადი საშუალებების გასვლის შედეგად განისაზღვრება საბალანსო ღირებულებისა და მიღებული წმინდა ანაზღაურების სხვაობით და აღიარდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

4.10 საინვესტიციო ქონება

საინვესტიციო ქონებას კომპანია აქტივად აღიარებს როდესაც: ა) მოსალოდნელია, რომ საწარმო მიიღებს ამ ქონებასთან დაკავშირებულ მომავალ ეკონომიკურ სარგებელს; ბ) შესაძლებელია საინვესტიციო ქონების თვითღირებულების საიმედოდ შეფასება. საინვესტიციო ქონება აღირიცხება ისტორიულ ღირებულებას, დაგროვილ ცვეთას და გაუფასურების ზარალს შორის სხვაობის თანხით. ცვეთა ერიცხება აღნიშნულ აქტივთა ჯგუფს, მთლიანად მათი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში. კომპანია იყენებს ცვეთის წრფივი დარიცხვის მეთოდს. საინვესტიციო ქონების სასარგებლო მომსახურების ვადა განისაზღვრება 20-40 წლით. კომპანიის საკუთრებაში არსებულ მიწას ცვეთა არ ერიცხება. საინვესტიციო ქონების აღიარება წყდება მისი გასხვისებისას ან მაშინ, როდესაც მისი შემდგომი გამოყენებიდან

მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარაა მოსალოდნელი. მოგება ან ზარალი საინვესტიციო ქონების გასვლის შედეგად განისაზღვრება საბალანსო ღირებულებისა და მიღებული წმინდა ანაზღაურების სხვაობით და ჩაირთვება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

4.11 აქტივების გაუფასურება

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს საწარმო მიმოიხილავს აქტივების საბალანსო ღირებულებას რათა განსაზღვროს, არსებობს თუ არა მინიშნება აქტივის გაუფასურების შესახებ. ასეთის არსებობის შემთხვევაში, კომპანია ახორციელებს აქტივების ანაზღაურებადი ღირებულების შეფასებას. თუ შეუძლებელია ცალკეული აქტივის ანაზღაურებადი ღირებულების შეფასება, კომპანია განსაზღვრავს იმ ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის ანაზღაურებად ღირებულებას, რომელსაც განეკუთვნება მოცემული აქტივი. აქტივის ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეული წარმოადგენს აქტივების უმცირეს ჯგუფს, რომელიც მოიცავს მოცემულ აქტივს და წარმოქმნის ფულად სახსრებს უწყვეტი გამოყენების შედეგად, რომელთა მიღება, უმეტესწილად, დამოკიდებული არ არის სხვა აქტივებიდან ან აქტივთა ჯგუფიდან ფულადი სახსრების მიღებაზე. აქტივის (ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის) ანაზღაურებადი ღირებულება წარმოადგენს გასვლის დანახარჯებით შემცირებულ რეალურ ღირებულებასა და გამოყენების ღირებულებას შორის უდიდეს თანხას.

აქტივის გამოყენების ღირებულება არის აქტივიდან ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულიდან მომავალში მისაღები ფულადი ნაკადების დისკონტირებული ღირებულება. აქტივის (ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის) საბალანსო ღირებულება უნდა შემცირდეს მის ანაზღაურებად ღირებულებამდე იმ შემთხვევაში, თუ მოცემული აქტივის (ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის) ანაზღაურებადი ღირებულება ნაკლებია მის საბალანსო ღირებულებაზე. შემცირების თანხა წარმოადგენს გაუფასურების ზარალს და აღიარდება ხარჯის სახით მოგება-ზარალის ან სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში. ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს კომპანია განსაზღვრავს არსებობს თუ არა რაიმე ნიშანი, რომლის მიხედვით წინა წლებში აღიარებული აქტივის (ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის) გაუფასურების ზარალი შესაძლოა აღარ არსებობდეს ან შემცირებული იყოს. მისი არსებობის შემთხვევაში, კომპანია აფასებს მოცემული აქტივის (ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის) ანაზღაურებად ღირებულებას. გაუფასურების ზარალის კომპენსირების შემთხვევაში იზრდება აქტივის (ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის) საბალანსო ღირებულება, მაგრამ არაუმეტეს იმ საბალანსო ღირებულებისა, რომელიც მიღებული იქნებოდა წინა წლებში გაუფასურების ზარალის აღიარება რომ არ მომხდარიყო.

4.12 სასაქონლო-მატერიალური მარაგები

კომპანიაში მარაგების შეფასება ხდება უმცირესი თანხით თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის. მარაგების თვითღირებულება მოიცავს მათ შეძენასა და გადამუშავებასთან დაკავშირებულ დანახარჯებს, აგრეთვე იმ დანახარჯებს რომელიც გაწეულია მის მოცემულ ადგილამდე ტრანსპორტირებისა და სათანადო მდგომარეობაში მოყვანისათვის. სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების შეძენის დანახარჯები მოიცავს მათი შეძენის ღირებულებას, საიმპორტო საბაჟო გადასახადს და სხვა არადაბრუნებად გადასახადებს, სატრანსპორტო, დატვირთვა-გადმოტვირთვის დანახარჯებს და მარაგების შეძენასთან უშუალოდ დაკავშირებულ სხვა დანახარჯებს. ყველა სახის სავაჭრო ფასდაკლება ამცირებს შეძენის დანახარჯებს. მარაგების ნეტო სარეალიზაციო ღირებულება არის შეფასებითი გასაყიდი ფასი გაყიდვისათვის საჭირო შეფასებითი დანახარჯების გამოკლებით.

4.13 დივიდენდები

გასაცემი დივიდენდები დგინდება კომპანიის დამფუძნებელი პარტნიორების გადაწყვეტილების საფუძველზე. დივიდენდები აღიარდება როგორც ვალდებულება და შესაბამისი თანხით მცირდება კაპიტალი. საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ ფინანსური ანგარიშგების დამტკიცებამდე გამოქვეყნებული დივიდენდები განიმარტება ბალანსის შემდგომ მოვლენებში.

4.16 ანარიცხები და პირობითი ვალდებულებები

პირობითი ვალდებულებები არ აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის გასვლა კომპანიიდან და შესაძლებელია ამ ვალდებულების საიმედოდ შეფასება. ფინანსურ ანგარიშგებაში ასევე არ აისახება პირობითი აქტივები. მაგრამ ისეთი ფინანსური აქტივების შესახებ ინფორმაცია, რომლებთან დაკავშირებული ეკონომიკური სარგებლის

შემოსვლა კომპანიაში მოსალოდნელია აისახება განმარტებით შენიშვნებში. იმ შემთხვევაში, თუ კომპანიას აქვს რწმუნება, რომ ეკონომიკური სარგებელი შემოვა კომპანიაში, მაშინ მასთან დაკავშირებული აქტივი და შემოსავალი აისახება იმ პერიოდის ფინანსურ ანგარიშგებაში, როდესაც ადგილი ჰქონდა შეფასების ცვლილებას. ანარიცხი წარმოადგენს ვალდებულებას, რომელიც დაკავშირებულია რაოდენობრივ და დროით განუსაზღვრელობებთან. კომპანიაში ანარიცხი აღიარდება, როდესაც კომპანიას აქვს მიმდინარე მოვალეობა (იურიდიული ან კონსტრუქციული), რომელიც წარმოიქმნება წარსული მოვლენის შედეგად და სავარაუდოა, რომ მოვალეობის დასაფარად საჭირო იქნება ეკონომიკურ სარგებელში განივთებული რესურსების გასვლა; და შესაძლებელია ვალდებულების თანხის საიმედოდ შეფასება.

5. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა

კომპანიის ოპერაციებისთვის დამახასიათებელი ძირითადი რისკებია:

- საკრედიტო რისკი;
- სავალუტო რისკი;
- ლიკვიდურობის რისკი;

საოპერაციო რისკი

კომპანია საოპერაციო საქმიანობის ნაწილში დგას ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენებიდან წარმოქმნილი რისკების წინაშე. ეს განმარტებითი შენიშვნა აღწერს კომპანიის მიზნებს, პოლიტიკებსა და პროცედურებს რისკების მართვისათვის და რისკების შეფასების მეთოდებს. ამ რისკებთან დაკავშირებული დამატებითი რაოდენობრივი ინფორმაცია წარმოდგენილია ფინანსურ ანგარიშგებაში.

ფინანსური ინსტრუმენტების ძირითადი კატეგორიები

კომპანიის ძირითადი ფინანსური ვალდებულებები მოიცავს სავაჭრო და სხვა ვალდებულებებს, საიჯარო ვალდებულებებს. ამ ფინანსური ინსტრუმენტების მთავარი მიზანია კომპანიის ფინანსური უზრუნველყოფა. კომპანიას გააჩნია ისეთი ფინანსური აქტივები როგორიცაა სავაჭრო და სხვა მოთხოვნები, ფული და ფულის ეკვივალენტები. ფინანსური ინსტრუმენტების ძირითადი კატეგორიები წარმოდგენილია შემდეგნაირად:

დასახელება	31/12/24	31/12/23
ფული და ფულის ეკვივალენტები	222,888	190,711
მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	13,026,944	11,851,663
სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	80,398	92,543
გადახდილი ავანსები	1,823,555	2,010,977
მიმდინარე ვალდებულებები მოწ. და მომს.	1,123,247	1,101,010
საგადასახადო ვალდებულებები	300,689	73,032
გადასახდელი ხელფასები	105,978	
სხვა მიმდინარე ვალდებულებები	700	98,555
გრძელვადიანი საიჯარო ვალდებულებები	584,707	769,561
გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები	3,501,658	2,913,563

- ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულება

რეალური ღირებულება არის საფასური, რომელიც მიიღება აქტივის გაყიდვისას ან გადაიხდება ვალდებულების გადასაცემად ორგანიზებულ ოპერაციაში საბაზრო მონაწილეებს შორის შეფასების დღეს, ან ასეთის არ არსებობის შემთხვევაში იმ ბაზრის მიხედვით რომელზეც აქვს წვდომა კომპანიას და ყველაზე ხელსაყრელია მოცემული თარიღისათვის. როცა შესაძლებელია, ინსტრუმენტის რეალურ ღირებულებას კომპანია განსაზღვრავს მოცემული ინსტრუმენტის მოქმედ ბაზარზე კოტირებული ფასით. ბაზარი მოქმედად ითვლება, თუ აქტივებისა და ვალდებულებების ოპერაციები მიმდინარეობს საკმარისი სიხშირითა და მოცულობით, რათა უზრუნველყოს ინფორმაცია ფასების თაობაზე მუდმივ რეჟიმში. თუ მოქმედ ბაზარზე არ არსებობს კოტირებული ფასი, კომპანია რეალურ ღირებულებას განსაზღვრავს შეფასების მეთოდების გამოყენებით. შერჩეული შეფასების მეთოდი მაქსიმალურად იყენებს დაკვირვებად საბაზრო მონაცემებს, მინიმალურად ეყრდნობა არასაბაზრო მონაცემებს და ითვალისწინებს ყველა იმ

ფაქტორს, რომლებსაც ბაზრის მონაწილეები ფასის დადგენისას მიიღებდნენ მხედველობაში. თავდაპირველი აღიარებისას ამა თუ იმ ფინანსური ინსტრუმენტის რეალური ღირებულების საუკეთესო მტკიცებულება არის გარიგების ფასი, ანუ გადახდილი ან მიღებული საკომპენსაციო თანხის რეალური ღირებულება. თუ კომპანია გადაწყვეტს, რომ რეალური ღირებულება თავდაპირველი აღიარებისას განსხვავდება გარიგების ფასისგან და რეალური ღირებულება არ დასტურდება იდენტური აქტივის ან ვალდებულების მოქმედ ბაზარზე არსებული კოტირებული ფასით, ასევე, ეს ღირებულება არ ეფუძნება შეფასებას ისეთი მეთოდის საფუძველზე, რომლის ცვლადებიც მოიცავენ მხოლოდ დაკვირვებადი ბაზრების მონაცემებს, ასეთ შემთხვევაში ფინანსური ინსტრუმენტი თავდაპირველად შეფასდება რეალური ღირებულებით, რომელიც დაკორექტირდება სხვაობით ამ ღირებულებასა და გარიგების ღირებულებას შორის. ნებისმიერი სხვაობა ამ ღირებულებასა და შეფასების მეთოდით მიღებულ თავდაპირველ ღირებულებას შორის მოგვიანებით სათანადო წესით აღიარდება მოგებაში ან ზარალში, ინსტრუმენტის სასიცოცხლო ვადის განმავლობაში, მაგრამ არაუგვიანეს იმ დროისა, როცა შეფასება მთლიანად ეყრდნობა დაკვირვებადი ბაზრის მონაცემებს ან როდესაც გარიგება დაიხურება. კომპანია ადგენს რეალურ ღირებულებას შემდეგი იერარქიის გამოყენებით, რომელიც ასახავს შეფასების გაკეთებისას გამოყენებული მონაცემების მნიშვნელობას: დონე 1: კოტირებული საბაზრო ფასი (კორექტირების გარეშე) მოქმედ ბაზარზე ანალოგიური ფინანსური ინსტრუმენტისთვის; დონე 2: მონაცემები გარდა იმისა, რაც შედის პირველ დონეში და რომლებიც თვალსაჩინოა როგორც პირდაპირ (ფასები), ასევე ირიბად (ფასებისაგან წარმოებული). ეს კატეგორია მოიცავს ინსტრუმენტებს, რომლებიც ფასდება შემდეგი მონაცემების გამოყენებით: მოქმედ ბაზრებზე კოტირებული საბაზრო ფასები მსგავსი ფინანსური ინსტრუმენტებისთვის; კოტირებული ფასები მსგავსი ინსტრუმენტებისთვის, რომლებიც ნაკლებად აქტიურად მიიჩნევა; ან შეფასების სხვა მეთოდები, რომლის ფარგლებშიც ყველა მნიშვნელოვანი მონაცემი არის პირდაპირ ან ირიბად თვალსაჩინო, საბაზრო მონაცემებიდან გამომდინარე; დონე 3: არათვალსაჩინო მონაცემები. აღნიშნული კატეგორია მოიცავს ყველა ინსტრუმენტს, რომლის ფარგლებში შეფასების მეთოდიცა მოიცავს მონაცემებს, რომლებიც არ ეყრდნობიან თვალსაჩინო მონაცემებს და არათვალსაჩინო მონაცემები მნიშვნელოვან გავლენას ახდენენ ინსტრუმენტის შეფასებაზე. აღნიშნული კატეგორია მოიცავს ინსტრუმენტებს, რომელთა შეფასება ხდება მსგავსი ინსტრუმენტებისთვის კოტირებული ფასების საფუძველზე, რომლის ფარგლებში მნიშვნელოვანი არათვალსაჩინო კორექტირებები ან დაშვებებია საჭირო, რათა აისახოს სხვაობები ინსტრუმენტებს შორის. რეალური ღირებულების შეფასება, რომელიც გამოყენებულია ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული ფინანსური ინსტრუმენტებისთვის - სხვა ინვესტიციები, სავაჭრო და სხვა მოთხოვნები, გაცემული სესხები, სავაჭრო და სხვა ვალდებულებები, საიჯარო ვალდებულებები მოხდა მე-2 და მე-3 იერარქიის საფუძველზე. აღნიშნული იერარქიებისთვის მოხდა დისკონტირებული ფულადი ნაკადების მეთოდის გამოყენებით. რეალური ღირებულების შეფასება არაკოტირებული ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთის მქონე ფინანსური ინსტრუმენტებისთვის მოხდა მოსალოდნელი მომავალი ფულადი ნაკადების საფუძველზე, რომელიც დადისკონტირებულია მიმდინარე საპროცენტო განაკვეთით, რომელიც დამახასიათებელია მსგავსი საკრედიტო რისკის და დაფარვის ვადის მქონე ახალი ფინანსური ინსტრუმენტისთვის. 2024 და 2023 წლების 31 დეკემბერს დასრულებული წლებისთვის არ მომხდარა ცვლილება მე-2 და მე-3 დონის შეფასების იერარქიისთვის გამოყენებულ შეფასების მეთოდოლოგიაში. ფული და ფულის ეკვივალენტების რეალური ღირებულება შეფასებულია პირველი დონის

- კაპიტალის მართვა

კომპანია თავის კაპიტალთან დაკავშირებულ რისკს მართავს იმისათვის, რომ უზრუნველყოს ფუნქციონირებად საწარმოდ დარჩენა და ამავდროულად დაინტერესებული მხარეების უკუგების მაქსიმიზაცია, მოზიდული და საკუთარი კაპიტალის ოპტიმალური ბალანსის დაცვის გზით. კომპანიის მენეჯმენტი რეგულარულად მიმოიხილავს კაპიტალის სტრუქტურას. ზოგადი მიზნები, პოლიტიკა და პროცესები კომპანიის ხელმძღვანელობას გააჩნია საერთო პასუხისმგებლობა კომპანიის რისკების მართვის მიზნებისა და პოლიტიკის განსაზღვრისთვის, ამასთანავე, პასუხისმგებლობის შენარჩუნებასთან ერთად, მიზნებისა და პროცესების ეფექტურად დანერგვისთვის მას დელეგირებული აქვს პროცესების შემუშავებისა და ოპერირების უფლება კომპანიის ფინანსური მხარისთვის. კომპანიის მენეჯმენტი დებულობს ყოველთვიურ ანგარიშგებას კომპანიის ფინანსური მხარისგან, მიმოიხილავს თავიანთი დასახული მიზნებისა და პოლიტიკის შესრულებისათვის განხორციელებული პროცესების ეფექტურობას. კომპანიის მენეჯმენტის მთავარი მიზანი არის დაიცვას კომპანია რისკის მიუღებელი დონისაგან და საშუალება მისცეს მას მიაღწიოს საქმიანობის მიზანს. აღნიშნულ პოლიტიკასთან დაკავშირებული დამატებითი ინფორმაცია მოცემულია ქვემოთ.

- სავალუტო რისკი

სავალუტო რისკი განისაზღვრება, როგორც რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტების ღირებულება მერყევი იქნება სავალუტო კურსის ცვალებადობის გამო. უცხოურ ვალუტაში არსებული ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულება წარმოდგენილია შემდეგნაირად:

დასახელება	31/12/24	31/12/23
ფული აშშ დოლარის საბანკო ანგარიშებზე	არაარსებითი 659USD	არაარსებითი 8USD
ფული ევროს საბანკო ანგარიშებზე	არაარსებითი 39EUR	არაარსებითი 27EUR
ფული რუბლის საბანკო ანგარიშზე	არაარსებითი 2107RUB	არაარსებითი 5101RUB
ფული იუანის საბანკო ანგარიშზე	არაარსებითი 228YUAN	
გადახდილი ავანსები	1,823,555ლ	2,010,977ლ

უცხოურ ვალუტაში რიცხული ფინანსური აქტივების კლასი - ფულადი სახსრები და ექვივალენტები არაარსებითი მოცულობისაა და მათთან დაკავშირებული რისკები უმნიშვნელოა. რაც შეეხება მეორე კლასს - გადახდილი ავანსები, წარმოადგენს საქონლისათვის გადახდილ თანხებს პროფორმა ინვოისებისა და კონტრაქტების საფუძველზე დაფიქსირებული მოსაწოდებელი საქონლის ფასებით და რაოდენობებით (მათი ცვლილების დაუშვებლობით). ამდენად, რისკი სავალუტოდან გადადის საკრედიტო რისკში ხანდაზმულობით ერთ თვემდე, გაუფასურების ნულოვანი თანხით.

- საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი არის ფულადი ზარალის მიღების რისკი დებიტორის ან სხვა კონტრაგენტის მიერ დავალთანების დაუფარავობის შემთხვევაში. კომპანიის საფრთხეს საკრედიტო რისკთან დაკავშირებით განაპირობებს თითოეული მომხმარებლის მახასიათებლები. კომპანიის საკრედიტო რისკი განპირობებულია გადახდილი ავანსებით, სავაჭრო და სხვა მოთხოვნებით და ფული და ფულის ეკვივალენტებით (გარდა ნაღდი ფულისა). კომპანია საკრედიტო რისკს მართავს გარკვეული პრინციპების საფუძველზე, რომლებიც ითვალისწინებს ყველა დაუფარავი საკრედიტო თანხის დაფარვის კონტროლს და პრობლემური ფინანსური აქტივების ინტენსიურ მართვას. საკრედიტო რისკის მონიტორინგის მიზნით, კომპანია მომხმარებლებს აერთიანებს მათი ვადაგადაცილების სტატუსის მიხედვით. საკრედიტო რისკის სამართავად კომპანია განიხილავს არის თუ არა დებიტორი სახელმწიფო, დაკავშირებული მხარე ან სხვა იურიდიული პირი. ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულება წარმოადგენს მაქსიმალურ საკრედიტო რისკს (გარდა ნაღდი ფულისა). კომპანია საკრედიტო რისკის მართვის პოლიტიკის ფარგლებში ახორციელებს ფინანსური აქტივების საკრედიტო ხარისხის ანალიზს. სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საკრედიტო ხარისხის ანალიზი 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

დასახელება	31/12/24	31/12/23
მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	13,026,944	11,851,663
სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	80,398	92,543
გადახდილი ავანსები	1,823,555	2,010,977

დებიტორების რეიტინგები დაახლოებით თანაბარია, ამიტომ კომპანია, გამომდინარე თავისი გამოცდილებიდან, არ ახდენს მათ დაყოფას კლასებად და მოსალოდნელ საკრედიტო რისკებს აფასებს ჯგუფურად, დავალიანებათა ხანდაზმულობის მიხედვით:

დასახელება	სულ		ხანდაზმულობა			
	31/12/24	თვემდე	3 თვემდე	180 დღემდე	წლამდე	წელზე მეტი
მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	13,026,944	7,660,525	4,320,200	760,042	84,511	201,666
სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	80,398		6,098		74,300	0
გადახდილი ავანსები	1,823,555	1,740,394	83,161			0

ჯამი	14,930,896	9,400,919	4,409,458	760,042	158,811	201,666
გაუფასურება %		0%	5%	15%	50%	100%
გაუფასურება თანხა	615,550	0	220,473	114,006	79,406	201,666

ამდენად, წმინდა მოთხოვნების ოდენობა შეადგენს 12,411,393 ლ-ს.

იგივე გაანგარიშება შესაძარისი პერიოდისათვის:

დასახელება	სულ	ხანდაზმულობა				
	31/12/23	თვემდე	3 თვემდე	180 დღემდე	წლამდე	წელზე მეტი
მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	11,851,663	6,480,897	4,511,824	660,811	101,616	96,515
სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	92,543		92,543			0
გადახდილი ავანსები	2,010,977	1,804,225	206,752			0
ჯამი	13,955,183	8,285,122	4,811,119	660,811	101,616	96,515
გაუფასურება %		0%	5%	15%	50%	100%
გაუფასურება თანხა	487,001	0	240,556	99,122	50,808	96,515

- ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკში იგულისხმება საკმარისი ფინანსური რესურსის არსებობა, რათა მოხდეს ფინანსური ვალდებულებების დაფარვა შესაბამის ვადაში. ლიკვიდურობის რისკის მართვისთვის ხელმძღვანელობა ახორციელებს სისტემატიურ ზედამხედველობას მოსალოდნელ მომავალ ფულად ნაკადებზე, რომელიც წარმოადგენს აქტივებისა და ვალდებულებების მართვის პროცესის ნაწილს. კომპანია ახდენს ლიკვიდურობის რისკების კონტროლს ვადიანობის ანალიზის მიხედვით და განსაზღვრავს კომპანიის სტრატეგიას მომავალი ფინანსური პერიოდისთვის. ქვემოთ ცხრილში მოცემულია ჯგუფის ფინანსური ვალდებულებების დაფარვის ვადების ანალიზი. ლიკვიდურობის ანალიზი 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

	1 წლამდე	5 წლამდე	5 წ-ზე მეტი
მიმდინარე ვალდებულებები მოწ. და მომს.	1,123,247		
საგადასახადო ვალდებულებები	300,689		
გადასახდელი ხელფასები	105,978		
სხვა მიმდინარე ვალდებულებები	700		
გრძელვადიანი საიჯარო ვალდებულებები		584,707	
გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები			3,501,658

იგივე 2022 წლის 31 დეკ მდგომარეობით:

	1 წლამდე	5 წლამდე	5 წ-ზე მეტი
მიმდინარე ვალდებულებები მოწ. და მომს.	1,101,010		
საგადასახადო ვალდებულებები	73,032		
გადასახდელი ხელფასები			
სხვა მიმდინარე ვალდებულებები	98,555		
გრძელვადიანი საიჯარო ვალდებულებები		769,561	
გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები			2,913,563

ფული და ფულის ექვივალენტები 0,22 მლნ ლ, მარაგები 5,1 მლნ ლ, ავანსების შესაბამისად მარაგების მოსალოდნელი მატება 1,8 მლნ ლ-ით და ანაზღაურებადი მოკლევადიანი მოთხოვნები, შეფასებული 12,4 მლნ ლ-ად. კომპანიას საფუძველად აძლევს მიაჩნდეს, რომ აქვს საკმარისი ლიკვიდობა, შეასრულოს მიმდინარე ვალდებულებები.

6. ა1 ფული და ფულის ეკვივალენტები

	31/12/2024	31/12/2023
--	------------	------------

1110 ნაღდი ფული ეროვნულ ვალუტაში	8,998.11	1,991.97
1120 ნაღდი ფული უცხოურ ვალუტაში	78,654.80	140.25
1210 ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში	133,254.15	188,575.48
1220 უცხოური ვალუტა რეზიდენტ ბანკში	1,980.49	1.74
ჯამი	222,888	190,710

ფულის და ფულის ეკვივალენტების საბალანსო ღირებულება შეესაბამება მათ რეალურ ღირებულებას. დამატებითი ინფორმაცია ფულის და ფულის ეკვივალენტების შესახებ იხილეთ მე-5 შენიშვნაში.

ა2. მოკლევადიანი მოთხოვნები

დასახელება	31/12/24	31/12/23
მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	13,026,944	11,851,663

დამატებითი ინფორმაცია სავაჭრო და სხვა მოთხოვნების შესახებ იხილეთ მე-5 შენიშვნაში.

ა4. მარაგები

დასახელება	31/12/24	31/12/23
სასაქონლო მატერიალური მარაგი	5,127,402	4,966,004

კომპანიამ წლის ბოლოს გადახედა მარაგს, რათა შეეფასებინა უმცირესი ღირებულებით თვითღირებულებასა და შესაძლო სარეალიზაციო ღირებულებას შორის. ვადაგასული და გასაყიდად გაუვარდისებული საქონლის არაარსებითი რაოდენობის გამო კორექციის საჭიროება არ დამდგარა.

ა5. გადახდილი ავანსები.

დასახელება	31/12/24	31/12/23
გადახდილი ავანსები	1,823,555	2,010,977

საქონლის შესყიდვა უცხოელი მომწოდებლებისაგან უმეტეს წილად ხდება წინასწარი ანგარიშსწორებით. ამ სახის მოთხოვნები მოკლევადიანია და დამატებითი ინფორმაცია სავაჭრო და სხვა მოთხოვნების შესახებ იხილეთ მე-5 შენიშვნაში.

ა6. ძირითადი საშუალებები და მიწის ნაკვეთები

	საწყისი ნაშთი			საანგარიშო პერიოდი			საანგარიშო პერიოდის ბოლოს		
	ისტორიული ღირებულება	აკუმულირებული ცვლათა	საბალანსო ღირებულება	შემოსვლა	გასვლა	ცვლათა	ისტორიული ღირებულება	აკუმულირებული ცვლათა	საბალანსო ღირებულება
მიწის ნაკვეთები				700,000			700,000		700,000
დაუმთავრებელი მშენებლობა				639,862			639,862		639,862
შენობები	151,704	23,925	127,779			4,585	151,704	28,510	123,194
ნაგებობები									
მანქანა-დანადგარები	333,083	156,405	176,678	136,885		67,710	469,968	224,115	245,853
ოფისის აღჭურვილობა	107,305	86,757	20,548	15,915		6,966	123,220	93,723	29,497

ავეჯი და სხვა ინვენტარი	35,656	34,656	1,000			92	35,656	34,748	909
სატრანსპორტო საშუალებები	812,516	508,275	304,241	612,153	46,633	200,939	1,378,036	709,213	668,822
იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	20,929	20,929	0				20,929	20,929	0
	1,461,193	830,947	630,247	2,104,815	46,633	280,292	3,519,375	1,111,239	2,408,137

სასარგებლო სამსახურის ვადები განსაზღვრულია შემდეგი ხანგრძლივობით:

ნაგებობები: 20 წელი;

შენობები: 50 წელი;

სატრანსპორტო საშუალებები - 10 წელი;

ავეჯი - 10 წელი;

საოფისე კომპიუტერული ტექნიკა და პერიფერია - 5 წელი;

შესადარის პერიოდში ძირითადი საშუალებების მონაცემებია:

შესადარის პერიოდი	მიწა და შენობა-ნაგებობები	მანქანა-დანადგარები	სატრანსპორტო საშუალებები	ავეჯი და მოწყობილობა	საოფისე აღჭურვილობა	იჯარით აღებული ქონება და სხვა აქტივები
<u>ისტორიული ღირებულება</u>						
შესადარის პერიოდის ნაშთი	151,704	198,440	658,701	35,656	98,716	20,929
დამატება		134,644	192,638		8,589	
გასვლა			-38,823			
ნაშთი პერიოდის ბოლოს	151,704	333,083	812,516	35,656	107,305	20,929
<u>ცვეთა და გაუფასურება</u>						
შესადარის პერიოდის ნაშთი (აკუმ ცვეთა 1/1/23-ის მდგომ)	19,340	109,244	449,447	34,312	79,497	20,929
წლის ხარჯი/დარიცხვა	4,585	47,162	95,651	344	7,260	
გაუფასურება						
გასვლა			-36,823			
ნეტო საბალანსო ღირებულება პერიოდის ბოლოს	127,779	176,678	304,241	1,000	20,548	0

ა7. გრძელვადიანი იჯარა, აქტივის გამოყენების უფლება და გრძელვადიანი საიჯარო ვალდებულება

ა) აქტივების გამოყენების უფლებების ცვეთის ხარჯი საიჯარო აქტივის კლასის შესაბამისად;	164,994	206,242
ბ) საიჯარო ვალდებულებებთან დაკავშირებული საპროცენტო ხარჯი;	78,068	95,590
გ) მე-6 პუნქტის გამოყენებით აღრიცხულ მოკლევადიან იჯარასთან დაკავშირებული ხარჯი. ეს ხარჯი არ უნდა მოიცავდეს ისეთ იჯარასთან დაკავშირებულ ხარჯს, რომლის ვადაა არაუმეტეს ერთი თვე	-	

დ) მე-6 პუნქტის გამოყენებით აღრიცხული ხარჯი, რომელიც დაკავშირებულია დაბალი ღირებულების მქონე აქტივების იჯარასთან. ეს ხარჯი არ უნდა მოიცავდეს დაბალი ღირებულების მქონე აქტივების ისეთ მოკლევადიან იჯარასთან დაკავშირებულ ხარჯს, რომელიც მითითებულია 53(გ) პუნქტში;	-	
ე) ცვლად საიჯარო გადახდებთან დაკავშირებული ხარჯი, რომელიც გათვალისწინებული არ იყო საიჯარო ვალდებულებების შეფასებაში;	-	
ვ) შემოსავალი, რომელიც მიღებულია გამოყენების უფლების აქტივების ქვეიჯარიდან;	-	
ზ) იჯარასთან დაკავშირებით საწარმოდან გასული ფულადი ნაკადების ჯამური თანხა;	275,050	261,650
თ) აქტივების გამოყენების უფლებების მატება;		890,876
ი) შემოსულობა და ზარალი, რომელიც მიღებულია უკუიჯარის პირობით გაყიდვის ოპერაციებიდან; და	-	
კ) აქტივების გამოყენების უფლებების საბალანსო ღირებულება საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, საიჯარო აქტივის კლასის შესაბამისად.	659,975	824,969

კომპანიის საიჯარო ხელშეკრულებები მოიცავს საოპერაციო საქმიანობისთვის განკუთვნილ სასაწყობო ფართების იჯარას. იჯარების სახელშეკრულებო პერიოდი ზოგ ხელშეკრულებაში მითითებულია გარკვეული ვადით, ავტომატური გაგრძელების შესაძლებლობით და ამიტომ შეფასებულია 5 წლით გასული პერიოდების გამოცდილების გათვალისწინებით. საიჯარო გადასახდელები ნომინირებულია ლარში და დოლარში. გამარტივებული მიდგომის სახით კომპანია პორტფელურად აღრიცხავს მსგავსი მახასიათებლების მქონე საიჯარო ხელშეკრულებებს, რადგან ვარაუდობს რომ ხელშეკრულებების პორტფელთან მიმართებით სტანდარტის გამოყენების გავლენა ფინანსურ ანგარიშგებაზე არსებითად განსხვავებული არ არის პორტფელის შემადგენელი ცალკეული ხელშეკრულების მიმართ მისი გამოყენების შედეგისგან. ხელშეკრულებების პორტფელის მიხედვით აღრიცხვისას, კომპანია იყენებს ისეთ შეფასებებსა და დაშვებებს, რომლებიც ასახავს პორტფელის სიდიდესა და შემადგენლობას.

აქტივის გამოყენების უფლება წარმოდგენილია შემდეგნაირად:

დასახელება	31/12/23	დარიცხული ცვეთა	31/12/24
აქტივის გამოყენების უფლება	824,969	164,994	659,975

საიჯარო ვალდებულებები წარმოდგენილია შემდეგნაირად:

დასახელება	31/12/23	ვალდ შემცირება	31/12/24
გრძელვად საიჯარო ვალდ-ბი	769,561	184,854	584,707

იჯარას მოდიფიკაცია არ განუცდია

კომპანია უმეტესი იჯარის შემთხვევაში აღიარებს აქტივის გამოყენების უფლების სახით არსებულ აქტივს და საიჯარო ვალდებულებას. აქტივების გამოყენების უფლება აღიარებულია საიჯარო ვალდებულებების ტოლი თანხით შესწორებული წინასწარი გადახდებით და დარიცხული ვალდებულებით. საიჯარო ვალდებულებები აღიარებულია მომავალი საიჯარო გადასახდელების ზღვრული სასესხო განაკვეთით დისკონტირებული ღირებულებით. ზღვრული სასესხო განაკვეთი არის საპროცენტო განაკვეთი, რომლის გადახდაც მსგავს ეკონომიკურ გარემოში მოუწევდა მოიჯარეს აქტივების გამოყენების უფლების ღირებულების მსგავსი ღირებულების აქტივის მოსაპოვებლად საჭირო სესხით სარგებლობისთვის,

რომელსაც მსგავსი ვადა და უზრუნველყოფა ექნებოდა. დოლარში არსებულ საიჯარო ხელშეკრულებებზე წლიური 8,3% - 10,1% და ლარში არსებულ საიჯარო ხელშეკრულებებზე - 8%-12%.

ა8. არამატერიალური აქტივები

	საწყისი ნაშთი			საანგარიშო პერიოდი			საანგარიშო პერიოდის ბოლოს		
	ისტორიული ღირებულება	აკუმულირებული ცვლათა	საბალანსო ღირებულება	შემოსვლა	გასვლა	ცვლათა	ისტორიული ღირებულება	აკუმულირებული ცვლათა	საბალანსო ღირებულება
2510 ლიცენზიები	1,875	563	1,313			188	1,875	750	1,125
2530 პატენტები	63,336	55,590	7,746	1,987		6,532	65,323	62,122	3,201
2590 სხვა არამატერიალური აქტივები	35,811	36,126	-316	1,396			37,207	36,126	1,080
	101,021	92,278	8,743	3,383		6,720	104,404	98,998	5,406

ა9. მოკლევადიანი ვალდებულებები

დასახელება	31/12/24	31/12/23
მიმდინარე ვალდებულებები მოწ. და მომს.	1,123,247	1,101,010

ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული სავაჭრო (ვალდებულებები საქონლის მოწოდებიდან) ფინანსური ვალდებულებების საბალანსო ღირებულება უახლოვდება სამართლიან ღირებულებას მათი მოკლევადიანი ხასიათის გამო.

ა10, ა11 ა12 საგადასახადო, სახელფასო და სხვა მიმდინარე ვალდებულებები

დასახელება	31/12/24	31/12/23
საგადასახადო ვალდებულებები	300,689	73,032
გადასახდელი ხელფასები	105,978	
სხვა მიმდინარე ვალდებულებები	700	98,555

წარმოადგენს უკიდურესად მოკლევადიანი ხასიათის ვალდებულებებს, დაფარულს საანგარიშო პერიოდის დასრულებიდან უმოკლეს ვადაში.

ა13. გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები

დასახელება	31/12/24	31/12/23
გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები	3,501,658	2,913,563

წარმოადგენს დამფუძნებლის მიმართ 5 წლიან სასესხო ვალდებულებას.

ა14. კაპიტალი

	საწყისი კაპიტალი	მოგება ან/და ზარალი	სულ კაპიტალი
ბალანსი 31.12.2022 მდგომარეობით		14,689,936	14,689,936
2023			

	წმინდა მოგება პერიოდში გადახდილი დივიდენდი საწესდებო კაპიტალის ზრდა/კლება სააღრიცხვო შეფასების ცვლილება	2,326,444 -1,396,105	
	ბალანსი 31.12.2023 მდგომარეობით	15,620,275	15,620,275
2024	წმინდა მოგება პერიოდში გადახდილი დივიდენდი საწესდებო კაპიტალის ზრდა/კლება სააღრიცხვო შეფასების ცვლილება	2,746,850 -629,400	
	ბალანსი 31.12.2024 მდგომარეობით	17,737,725	17,737,725

კაპიტალი გაზრდილია საანგარიშო პერიოდის წმინდა მოგებით, შემცირებულია გამოცხადებული და გაცემული დივიდენდებით. სხვა ცვლილებები არ განხორციელებულა.

ბ1.1 ბ1.2 შემოსავლები საქონლის რეალიზაციიდან, სხვა საოპერაციო შემოსავლები

დასახელება	2024 წ	2023 წ
(ბ1.1) შემოსავალი საქონლის რეალიზაციიდან	53,084,947	48,683,247
(ბ1.2) სხვა საოპერაციო შემოსავლები	47,940	51,313

რეალიზებული საქონელი არის შაქარი, ზეთი, ფქვილი, ბურღულეული, ბაკალეა, გაყიდული პრაქტიკულად მთლიანად საბითუმო პარტიებით, პრესეილის მეთოდით. სხვა საოპერაციო შემოსავლებია საოფისე და სასაწყობო ფართების იჯარები.

ბ1.3 სხვა არასაოპერაციო შემოსავლები

დასახელება	2024 წ	2023 წ
სხვა არასაოპერაციო შემოსავლები	45,407	13,757

პროცენტები დაერიცხა ბანში არსებულ ნაშთებს, რომლებიც განთავსდა მაღალპროცენტიანი ანაბრების ან ანაბრებთან გათანაბრებული ტიპის ანგარიშებზე.

ბ2.1 რეალიზებული საქონლის ღირებულება (საქ რეალიზაციის შემოსავალთან და საერთო მოგებასთან ერთად)

დასახელება	2024 წ	2023 წ
შემოსავალი საქონლის რეალიზაციიდან	53,084,947	48,683,247
რეალიზებული საქონლის თვითღირებულება	-45,344,377	-42,210,665
საერთო მოგება	7,740,569	6,472,582

ბ2.3 ადმინისტრაციული და ზედნადები ხარჯები

დასახელება	2024 წ	2023 წ

შრომის ანაზღაურება	-2,716,329	-2,471,040
საწვავის ხარჯი	-280,688	-256,020
აგუ ცვეთა	-164,994	-206,242
რემონტი	-135,999	-151,659
დაზღვევის ხარჯი	-1,022	-18,260
ცვეთა და ამორტიზაცია	-287,012	-155,001
სხვა საერთო ხარჯი	-217,841	-98,250
გეზის ხარჯი	-106,393	-96,727
აგუ საპროცენტო ხარჯი	-78,068	-95,590
საეჭვო მოთხოვნ. დაკავშირებული ხარჯები		-15,014
აუდიტის ხარჯი	-12,871	-11,250
კომუნიკაციის ხარჯები	-30,013	-8,164
ტრანსპორტირებისა და შენახვის ხარჯები		-3,970
საგადასახადო ხარჯები	-123,299	-5,820
საგადასახადო ზარალი (ჯარიმა)	-692	-3,084
კონვერტაციის ხარჯები	-106,038	
სხვა საოპერაციო ხარჯი	-4,626	
ჯამი	-4,265,884	-3,596,093

ბ2.4 სხვა არასაოპერაციო ხარჯები

დასახელება	2024 წ	2023 წ
სხვა არასაოპერაციო ხარჯები	-223,103	-88,244

საპროცენტო და სხვა მცირე არასაოპერაციო ხარჯები

ბ2.5 სხვა სრული შემოსულობები და ხარჯები

დასახელება	2024 წ	2023 წ
სხვა სრული შემოსულობები და ხარჯები	-74,625	-77,608

წარმოადგენს ვალუტის კურსის ცვლილებით გამოწვეულ მონეტარული ანგარიშების წარსადგენ ვალუტაში გადაფასების შედეგს.

2024 და 2023 წლების 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის აუდიტორულ კომპანიაზე გაწეული წლიური ფინანსური ანგარიშგების აუდიტის მომსახურების ღირებულება შეადგენს 17 და 15 ათას ლარს, შესაბამისად.

23. პირობითი ვალდებულებები

სასამართლო დავები.

კომპანიას არ ქვს მიმდინარე სასამართლო დავა

გადასახადები

კომპანიას მიაჩნია, რომ ყველა გადასახადი გაანგარიშებული და დეკლარირებული აქვს ზუსტად და დროულად. ამიტომ არანაირი ანარიცხი არ წარადგინა ფინანსურ ანგარიშგებაში.

თავდებობა

კომპანია თავდებში არ უდგას არავის.

24. დაკავშირებული მხარეები

კომპანიის დაკავშირებული მხარეები არიან: დამფუძნებელი პარტნიორები, დირექტორი, შვილობილი და მეკავშირე საწარმოები. დაკავშირებული მხარის იდენტიფიკაციისათვის გაითვალისწინება არა მხოლოდ წმინდა იურიდიული მხარე, არამედ მისი შინაარსი. კომპანიას დაკავშირებულ მხარეებთან სავაჭრო, სასესხო ან სხვა მოთხოვნა-ვალდებულებები არ აქვს, არ აქვს არსებითი ოპერაციებიც, გარდა დირექტორის ხელფასისა. ყველა სხვა მაჩვენებელი განმარტებულია შესაბამის შენიშვნაში.

დირექტორი: ირაკლი ციხისთავი, 20001018110

პარტნიორი: კობა კურდღელაშვილი, 01005002328 100 ცალი, 100% წილი

25. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო წლის შემდეგ კომპანიაში მნიშვნელოვან მოვლენებს აღგილი არ ჰქონია.

დირექტორი:
29/9/2025

ირაკლი ციხისთავი

